

წიგნაკრები საქართველო

ლიტერატურული საქართველო * LITERATURULI SAQARTVELO * ЛИТЕРАТУРУЛИ САҚАՐՏՎԵԼՈ

12 აპრილი 2024წ. №5 (4083) გამოცემის 93-ე წელი ვასი 2 ლარი

როსა მერალი დაახლოვდა ელოდა



ასეთებიც ხდება. მით უმეტეს ბოლო დროს. ჯოან როულინგი დაუპირისპირდა შოტლანდიის პრემიერ-მინისტრს, ჰამპა იუსუფს. რატომ? იმიტომ, რომ სწორედ ჰამპა იუსუფის ინიციატივით მიიღეს კანონი, რომელმაც სიძულვილისაგან უნდა დაიცვას მოქალაქეები შემდეგი ნიშნების მიხედვით: ასაკი, ხეობა, რელიგია, სექსუალური ორიენტაცია, ტრან-

სგენდერული იდენტობა ანუ ინტერსექსუალობა (ცოტა უფრო გასაგებად, მამაკაცისა და ქალის სქესობრივი ნიშან-თვისებების შერეული გამოვლენა). დანაშაულისთვის მაქსიმალურ სასჯელად განსაზღვრულია შვიდი წელი.

კანონი ძალაში 2024 წლის 1 აპრილიდან შევიდა. სწორედ 1 აპრილს გამოაქვეყნა „ჰარი პოტერის“ ავტორმა პოსტი, რომელშიც ტრანსგენდერ ქალებს ისე მიმართა, როგორც მამაკაცებს. „ტიტერში“ დაასახელა ათი „გოგონა“ და ბოლოში მიანერა: „პირველი აპრილია! ვხუმრობ. ზემოთ დასახელებული ადამიანები გოგონები კი არა, მამაკაცები არიან, ყველა, გამონაკლისის გარეშე“.

ხუმრობა იქით იყოს (ისე-დაც უკვე იქით არის) და საინტერესოა, რამ გააბრაზა ჯოან

როულინგი? როგორც თვითონვე განმარტავს, გააბრაზა იმან, რომ კანონმდებლები გაცილებით დიდ მნიშვნელობას ანიჭებენ გაქალებული მამაკაცების გრძობებს, ვიდრე ნამდვილი ქალებისა და გოგონების უფლებებს. როულინგის აზრით, ახალი კანონი ხელ-ფეხს უხსნის აქტივისტებს, რომლებიც ცდილობენ, გააჩუმონ ის ადამიანები, რომლებსაც სწამთ, რომ სქესი უცვლელია, რადგან ის ბუნების მიერ არის დადგენილი.

„დეილი მეილის“ ცნობით, პოლიციაში შევიდა ოთხი ათასი საჩივარი ჯოან როულინგის წინააღმდეგ. ზოგიერთი აქტივისტი მოკვლით ემუქრება მწერალს.

„ერთი სული მაქვს, როდის დამაბატირებენ“. – წერს თავის „ტიტერში“ ჯოან როულინგი.

სწორება

თამაზ ბიბილური – 90



წელიწადის უსასრულო დრონი

მეოცე საუკუნის ქართველ პროზაიკოსთა შორის თამაზ ბიბილური ერთ-ერთი გამორჩეული ოსტატია, მაგრამ, სამწუხაროდ, ეს ბევრმა არ იცის, რადგან მას არასოდეს ჰქონია რეკლამა და, კაცმა რომ თქვას, არც თვითონ უზრუნია სახელისათვის. სხვა კაცი იყო, სხვა სიმაღლისა, სხვა განცდისა...

პირველი მოთხრობები გამოაქვეყნა 1957 წელს „ცისკარში“; პირველი წიგნი სახელწოდებით „ჩქარა“ – 1973 წელს გამოსცა; ამას მოჰყვა საეტაპო მოთხრობა „ჩივილი“ – ეგზისტენციური მსოფლმხედვის შთამბეჭდავი ნიმუში; რომანები „ჟამი კითხულისა“ – ცნობიერების ნაკადის მანერით დაწერილი უაღრესად აქტუალური ნაწარმოები და „შვიდი ხმისა და ტოროლასათვის“ – ღრმად ფსიქოლოგიური თხრობა. ბოლოს კი გამოსცა საყმანელო წიგნი „წელიწადის დრონი“, რომლისთვისაც საქართველოს სახელმწიფო პრემია მიენიჭა.

საყმანელო-მეთქი, ვამბობ, მაგრამ სინამდვილეში ეს არის საყოველთაო წიგნი, რომელშიც აღდგენილი და გაცოცხლებულია გარდასული ყოფა-ცხოვრების ყველა ის მშვენიერი ნაწილი და დეტალი,

რომელთა გაქრობამ სამუდამოდ გააღარიბა სივრცე ჩვენი ყოფიერებისა.

„წელიწადის დრონი“ სვედიანი მოგონებაა ჩვენ თვალწინ გამქრალი სოფლისა, რომელიც ბუნების ნაწილი იყო და მინით სუნთქავდა. სოფელი მოსწყდა დედაბუნებას და ამით დაკარგა ღვთიური საფუძველი.

თამაზ ბიბილურმა შეგვახსენა ბუნებასთან კავშირის დაკარგული სიხარული და მიგვანიშნა, როგორ და რანაირად უნდა მოვიკრიბოთ ძალ-ღონე ამ კავშირის აღსადგენად.

თამაზ ბიბილური გაზაფხულით იწყებს, ბუნების გამოღვიძლებას აკვირდება, უფრო სწორად, ბუნების კარს აღებს, ყურს უგდებს გარემოს სასიცოცხლო გულისცემას და მკითხველიც ძალდაუტანებლად შეჰყავს განუმეორებელი მშვენიერების საუფლოში.

შემდეგ – ზაფხული, ზურმუხტისფერი მშვენიერება, მინდორში ერთ რიგად ჩამწკრივებული მთიანეები, თივის ზვინები, საძმე ურმები, მამითადი, მკა, კალო, ხორბლის განაივება, ნისკვილი, თონე, პურის ცხობა, ლხინი, „ბუზიკა“, ჭიდაობა და რამდენი რამ.

ახლა – შემოდგომა, სიცოცხლისა და სისავსის დღესასწაული და გულში შემოპარული სევდა, რომ ეს მშვენიერი დღეები სწრაფად, თვალის დახამამებამი გადიოდა.

„წელიწადის დრონი“ ზამთრის ეტიუდით მთავრდება, თუმცა, მართალი ითქვას, ამ წიგნს დასასრული არ აქვს, არ მთავრდება, ისევე, როგორც არ მთავრდება წელიწადის დრონი: ზამთარს კვლავ გაზაფხული მოჰყვება, გაზაფხულს – ზაფხული, ზაფხულს – შემოდგომა და ასე, დაუსრულებლად, ვიდრე არსებობს ეს მზისქვეშეთი.


თამაზ ბიბილურის ინდივიდუალური საავტორო სტილის თავისებურებას განსაზღვრავს აზროვნების სიღრმე, ინტერესთა მრავალმხრივობა და დახვეწილი გემოვნება. როგორც ჩვენში იტყვიან, სანდო მწერალია და, უპირველეს ყოვლისა, სწორედ ამით არის მიმზიდველი და საინტერესო. ამის დასტურია თუნდაც რამდენიმე ფრაგმენტი მისი ჩანაწერებიდან, რომლებიც აქვე, დღევანდელი ნომრის მესამე გვერდზე ქვეყნდება.

ივანე ამირხანაშვილი

ფერადი სამოთხე

გაბუა ალუდაურის ახალი ფოტოალბომი

ვაჟასეული ადგილები – ეს ხომ მთელი ქვეყნიერებაა, მისტიკა, ფიქრისა და განსჯის თემა. ალექსი ჭინჭარაულს უთქვამს: „ისეთ კონტექსტში აქვს ვაჟას თითოეული გეოგრაფიული სახელი ნახსენები, რომ ნაკითხვისთანავე მისი ნახვის სურვილი მოგეძალება“-ო. ნახავ და შემდეგ ფიქრობ, როგორ გამოხატო, როგორ გადასცე სხვებს ალტაცება, სიხარული, შინაგანი სისავსის, ამაღლებულისა და მშვენიერების განცდა. ვინ როგორ, ბაბუა ალუდაური კი მას ყველაზე ობიექტური, ნეიტრალური, სარწმუნო საშუალებით – ფოტოგრაფიით ახერხებს. ეს-ესაა გამოვიდა მისი მხატვრულ-ლიტერატურული ალბომი „ვაჟასეული ადგილები“: ვაჟა-ფშაველას ცხოვრებისა და შემოქმედების



ტურული ალბომი „ვაჟასეული ადგილები“: ვაჟა-ფშაველას ცხოვრებისა და შემოქმედების

დასასრული 80-2 83.

ანალიტიკური ფრაგმენტები გურამ პანაშვილი 83.4	საიდან ჩნდება ქარი? გურანდა ბორია 83.7	ორი რადიოპიანო ზურაბ კანდელაკი 83.8	პოეტის სილუატი შალვა სიორაძის სილუატი 83.14	გლობალიზაციის რეპრეზენტაცია ირაკლი ჯავახიშვილი 83.15
---	---	--	--	---

პირველი გვერდი

ფოტოანარეკლი, ფერადი სამოთხე. ცოტა ხნის წინ, 2020 წელს, გოდერძი ჩოხელის ადგილები გააცოცხლა ფოტოგრაფიაში, ახლა ვაჟა. გაერთიანდა გუდამაყრისა და ფშავ-ხევსურეთის პოეტური პარადიგმები ბაბუას ვერსიით. თუ არ ნახე და არ ნაიკითხე, ისე ძნელია წარმოდგენა, რამხელა შემოქმედებითი ცეცხლი ღვივის, თითოეულ ფოტოსურათში, არაგვი იქნება ეს თუ საჯიხვეები, ხომარის გორი თუ თამარის სალოცავი, ხანძარის ჯვარი თუ უკანაფშავის ქედები, ხევის პანორამა თუ მყინვარწვერი, ლაშარის გორი თუ რომი სერი, ვაჟას სახელობის მწვერვალები ტიან-შანში, არხოტის ხეობასა და ხევსურეთის ჭოხის მასივში, ვაჟასეული ადგილები თბილისში, გორში, დუშეთში, ქუთაისში, თიანეთში, პანკისში... სულ 120 ფერადი ფოტოა და თითოეულს აქვს წარწერა, ქვეშეწინაწერი, ეპიგრაფიკული გულისგახსნა ვაჟას პოეზიიდან – ისეთი ზუსტი, ისე ორგანულად მორგებული, გეგონება ჯერ ფოტო იყო და მერე ტექსტი.

ფილოლოგი ბაბუა ალუდაური ჩვენ თვალწინ ჩამოყალიბდა ფოტოხელოვან ბაბუა ალუდაურად. მას აქვს თავისი სტილი, მსოფლმხედვა, რაკურსი და თვალის უცხოებელი. სხვაგვარად ალბათ არც შეიძლება. მთაში დაბადებულ-გაზრდილი, ბუნებით პოეტი, პროფესიით კულტურული მემკვიდრეობის დამცველი, სხვა გზას ვერ აირჩევდა, თუნდაც იმიტომ, რომ მთას გულისგულიდან იცნობს. ამდენი მწვერვალი აქვს დაპყრობილი, მარტო მყინვარწვერზე თოთხმეტჯერ არის ასული, ამდენი უვლია, ამდენი განუცდია, მთელი საქართველო ფეხით შემოუვლია.

ტრადიციას იცავს, ტრადიციას აგრძელებს. იცის, რომ ცარიელზე არ მოსულა, წინ ჰყავდა ბრწყინვალე წინამორბედები: გურამ თიკანაძე, შოთა მირიანაშვილი, ალექსი არაბული, ზაალ ქიქოძე... მის გვერდით არიან ამირან არაბული და ეთერ თათარაიძე, აგრეთვე, მრავალი სხვა, ბევრი ახალგაზრდა, რომლებიც ახლა იწყებენ და ქარგავენ თავიანთ ფოტოტექსტებს მთის საქართველოზე.

ერთი სიტყვით, შეიკრა კულტურული ალბომი და ამისათვის მადლობას იმსახურებენ როგორც ავტორი, ისე გამომცემლობა „ფავორიტი სტილი“ – მაღალპროფესიონალი გამოცემისათვის და დუშეთის მუნიციპალიტეტის მერია და საკრებულო – ფინანსური დახმარებისთვის.

მათ მიგვაახლოვეს ვაჟასეულად გილოვებთან.

„ლს“ რედაქტორი

უნგრული კვალი რუსთველოლოგიაში

2024 წლის 28 თებერვალს შოთა რუსთაველის სახელობის ქართული ლიტერატურის ინსტიტუტის სააქტო დარბაზში უკვე ტრადიციადქცეული რუსთველოლოგიური სემინარის ფარგლებში რუსთველოლოგიის სამეცნიერო კვლევითი ცენტრის უფროსმა მეცნიერ-თანამშრომელმა, თსუ-ს პროფესორმა მაკა ელბაქიძემ წაიკითხა მოხსენება თემაზე „მიხაი ზიჩი და ვეფხისტყაოსანი“. მოხსენებას ესწრებოდნენ როგორც ლიტერატურის ინსტიტუტის, ისე სხვა სამეცნიერო ცენტრების მეცნიერ-მკვლევარნი, ქართველოლოგიის საკითხებით დაინტერესებული ფართო აუდიტორია და, რაც ყველაზე მნიშვნელოვანია,

რამდენიმე საჯარო სკოლის პედაგოგები და მოსწავლეები.

მომხსენებელმა ისაუბრა ცნობილი უნგრელი მხატვრის ცხოვრებისეულ და შემოქმედებით გზაზე, განსაკუთრებული აქცენტი კი გააკეთა იმ უდიდეს ღვაწლზე, რომელიც მიხაი ზიჩის მიუძღვის ქართული კულტურის წინაშე.

რუსეთის საიმპერატორო კარის მხატვარი და იმხანად უკვე რუსეთის სამხატვრო აკადემიის აკადემიკოსი, ზიჩი, თბილისს 1881 წელს ეწვია. საქართველოსა და ქართული მწერლობის, კერძოდ, „ვეფხისტყაოსნისადმი“ ინტერესი მას გაუღვივა იონა მეუნარგამ, რომელიც ზიჩიმ პარიზში ყოფნისას გაიც-

ნო. სწორედ ამ ინტერესმა უზიდა ილუსტრაციების დიდოსტატს, დაესურათებინა რუსთაველის პოემა, რომლის კრიტიკულ გამოცემასაც ამზადებდა „ვეფხისტყაოსნის“ აკადემიური ტექსტის დამდგენი კომისია.

მომხსენებელმა მდიდარი საილუსტრაციო მასალის მოხმობით ისაუბრა თბილისსა და ქუთაისში მიხაი ზიჩის მიერ დადგმულ „ვეფხისტყაოსნის“ ცოცხალ სურათებზე, რომელთა პერსონაჟებიც იმდროინდელი ქართველი არისტოკრატები, მწერლები თუ საზოგადო მოღვაწეები იყვნენ. ფაქტიურად, თბილისურ თუ ქუთაისურ პერფორმანსებზე მუშაობამ დაანახა

მხატვარს მომავალ ილუსტრაციათა სიუჟეტური ნახაზი.

მხატვარმა „ვეფხისტყაოსნის“ 12 ილუსტრაციის ნაცვლად 34 შექმნა და უანგაროდ უსახსოვრა ქართველ ხალხს, თუმცა მისი ღვაწლი ქართული კულტურის წინაშე ამით არ ამოწურულა. ზიჩიმ გააცნო ცნობილ უნგრელ მთარგმნელს, ბელა ვიკარს რუსთაველის პოემა და შესთავაზა ის უნგრულ ენაზე აქვეყნებინა.

მომხსენებელმა განსაკუთრებით გაეცხა ხაზი იმ ფაქტს, რომ სწორედ ისეთი გულსხმიერი ადამიანების ძალისხმევამ, როგორებიც იყვნენ მიხაი ზიჩი, ბელა ვიკარი და სხვები, ხელი შეუწყო ქართული კულტურის პოპულარიზაციას საზღვარგარეთ და აქცია ჩვენი ეროვნული მწერლობა მსოფლიო ლიტერატურის ნაწილად.

ბაქსი და რეხეფსია

27 მარტს შოთა რუსთაველის სახელობის ქართული ლიტერატურის ისტორიის საკონფერენციო დარბაზში გაიმართა სემინარი თემაზე „შოთა რუსთაველი – პოეტი, მოაზროვნე, ერისკაცი“. მოხსენებით კოლეგებისა და დამსწრე საზოგადოების წინაშე წარდგა რუსთველოლოგი, შოთა მესხიას ზუგდიდის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტის პროფესორი თინათინ ბიგანიშვილი.

მომხსენებელმა ყურადღება გაამახვილა რამდენიმე აქტუალურ საკითხზე. რუსთაველი, როგორც რიტორიკაში დახელოვებული, ორატორული ნიჭით დაჯილდოებული პოეტი, რომლის გამოცდილებაც, როგორც ორატორისა ჩანს მისივე პერსონაჟების მეტყველებაში, საუბარში, კამათსა და აზროვნება-მსჯელობაში. ამის საუკეთესო ნიმუშებს, მომხსენებლის აზრით, წარმოადგენს უშუალოდ პროლოგი,

ავთანდილის ანდერძი, ნესტან-დარეჯანის უკანასკნელი წერილი სატრფოს მიმართ და პოემის ერთი გამორჩეული ეპიზოდი – ავთანდილისა და ტარიელის კამათი მიჯნურობის კოდექსისა და ზნეობის კოდექსის შესახებ.


მომხსენებლის მტკიცებით, რუსთაველის რიტორიკული ხელოვნების საფუძველს მისივე მსოფლმხედველობა წარმოადგენს. მეორე მხრივ, რუსთაველი, როგორც მოაზროვნე, არის არეოპატივული სიბრძნის ადვოკატი.

მომხსენებელმა თავისი სიტყვის ბოლო ნაწილში ყურადღება გაამახვილა რუსთაველის ბიოგრაფიასთან დაკავშირებული რამდენიმე თეორიის მნიშვნელოვან ასპექტებზე, კერძოდ, პავლე ინგოროყვას რუსთველოლოგიურ თეორიაზე შოთა კუპარისა და შოთა რუსთაველის იგივეობის შესახებ. მომხსენებელმა მსჯელობის დროს გამოიყენა არაერთი მეცნიერის საფუძვლიანი გამოკვლევა, მათ შორის ელენე მეტრეველისა, კორნელი კეკელიძისა, ქეთევან ბეზარაშვილისა, ვლადიმერ ჭელიძისა, მერაბ ლალანიძისა და სხვათა. მან მოიშველია საყურადღებო არგუმენტები და სამეცნიერო კვლევებით დადასტურებული ისტორიული, ტექსტოლოგიური და ხელოვნებათმცოდნე-

ბითი ფაქტები, რითაც სცადა, კიდევ ერთხელ ემსჯალა პოეტი შოთა რუსთაველის, იერუსალიმის ჯვრის მონასტრის სვეტზე გამოხატული ქტოტორი შოთა რუსთაველის, იერუსალიმის ჯვრის მონასტრის ალაპებში მოხსენიებული შოთა მეტურჭლეუთხუცესის, ჰერეთის ერისთავის, ასათ III-ისა და გრიგოლ II-ის მემკვიდრე შოთასა და ჟამთააღმწერლის მიერ ნახსენები შოთა კუხარის იგივეობის შესახებ.

მომხსენებლის მიერ წამოჭრილმა საკითხებმა მსმენელი კოლეგებისა და დამსწრეთა დიდი ინტერესი გამოიწვია. კოლეგებმა თავიანთი პოზიციები გამოხატეს, მომხსენებლის ოპონირებით გამოიჩინდნენ თამაზ ვასაძე, გია არგანაშვილი, ნანა გონჯილაშვილი, ლია წერეთელი და სხვანი. საინტერესო არგუმენტებითა და მსჯელობით გაამდიდრეს მომხსენებლის სიტყვა მაკა ელბაქიძემ, ივანე ამირხანაშვილმა, ლია კარიჭაშვილმა, მანანა კვატიაძემ. მომხსენებლის სიტყვა დადებითად შეფასდა. ასევე დადებითად შეფასდა მომხსენებელი მეცნიერის პროფესიონალური უნარ-ჩვევები და სამეცნიერო ალღო. სემინარზე დამსწრე კოლეგებმაც და უშუალოდ მომხსენებელმაც გამოთქვეს მომავალში თანამშრომლობის განგრძობის სურვილი.

აპრორი - ნიგნი - ხასიათი



შურაბ ქობალაიას ჩვენი მკითხველების წინაშე წარდგენა არ

სჭირდება, მაგრამ მაინც... დაიბადა 1959 წლის 5 მარტს ზუგდიდის რაიონის სოფელ აბასთუმანში. საბურთელოს რეაგნიდის დამთავრების შემდეგ სწავლობდა ზუგდიდის პირველ საშუალო სკოლაში... დაამთავრა თბილისის ივანე ჯავახიშვილის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტის ჟურნალისტიკის ფაკულტეტი, მოგვიანებით – დიპლომატიური აკადემია. მუშაობდა ჟურნალ-გაზეთების რედაქციებში. იყო საქართველოს ჟურნალისტიკა კავშირისა და ჟურნალ-გაზეთების გაერთიანებული პროფკომიტეტის თავმ-

ჯდომარის მოადგილე. ამჟამად არის გამომცემლობა „ზენაარის“ დამფუძნებელი და დირექტორი, გაზეთ „სახალხო განათლება“-ის რედაქციის თავმჯდომარე, საქართველოს მწერალთა ეროვნული აკადემიის დამფუძნებელი და აღმასრულებელი დირექტორი. მინიჭებული აქვს საქართველოს დამსახურებული ჟურნალისტის ნიშანი.


შურაბ ქობალაიას დაბადების 65 წლის აღსანიშნავად გამომცემლობა „ზენაარმა“ გამოსცა მისი მოთხრობების კრებული, რომლის საერთო სათაურად გა-

მოტანილია ერთ-ერთი მოთხრობის სათაური. მართლაც არის ამ მოთხრობაში ის, რაც შეგვიძლია ავტორის შემოქმედების სპეციფიკურ ნიშნებად მივიჩნიოთ. ეს არის თბილი იუმორი, სიტუაციური სატირა და ზომიერი დოკუმენტალიზმი.

ნიგნიშ შესულ რვავე მოთხრობას აერთიანებს სიცოცხლის, ადამიანურ ურთიერთობათა სიხარულისა და ჰუმანიზმის სულისკვეთება, ანუ ის, რითაც გამოიჩენა შურაბ ქობალაის შემოქმედება და პიროვნული ხასიათი.

ბელა ცინცაძე

ჯემალ კასრაძის პროზაული პერფორმანსი



მას ბევრი იცნობს, ცნობილი სახელია თანამედროვე ქართულ ჟურნალისტიკაში,

ფოტოჟურნალისტიკაში, ფოტოხელოვნებაში, იმდენად ცნობილია, რომ მისი ნიგნის შთაბეჭდილი სათაურის ფონზე, გარეკანზე, თითქმის არ ჩანს, ვერ ვხედავთ ავტორს, მოდარაჯე კაცის თვალის თუ შენიშნავს მარცხენა დაბალ კუთხეში მომცრო კომპიუტერული იტალიკით აწყობილ წარწერას: **ჯემალ კასრაძე...**

მართლაც, ქრესტომათიული თავმდაბლობით გამოიჩინა ეს ის თავმდაბლობა, რომელიც კი არ განუხებს, არამედ გახარებს და მიგანიშნებს, რომ უმჯობესია, უკეთესია, უსაჭიროესია ასე იქცეოდე. ფოტოხელოვანია, ესე იგი, სინათლის ხელოვანი და, აქედან რაღა მანძილია, – სიტყვის ხელოვანიც.

კარგი თვალი აქვს, კარგი ხედავს, მსოფლმხედველობა და კალამიც უჭრის. და წერს ჯემალ კასრაძე ოსტატურად,

პროფესიონალურად, გემოვნებით, საინტერესოდ. არც არის გასაკვირი, ის ხომ ქართული ენის ძალმოსილების ეპიცენტრშია დაბადებული, იქ, სადაც ქართველი მწერლები ენას სწავლობდნენ.

დაიბადა 1945 წლის 27 იანვარს ცხინვალში. აქვე დაამთავრა პირველი საშუალო სკოლა. უმაღლესი განათლება თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში მიიღო ფილოლოგიის ფაკულტეტის ჟურნალისტიკის განყოფილებაზე. პირველი ფოტო „ლიტერატურულ საქართველოში“ გამოაქვეყნა. მუშაობდა სპორტულ პრესაში, „მართველსა“ და „ლელოში“. შემდეგ გაზეთებში: „კაბადონი-8“, „საქართველო“, „საქართველოს პარლამენტი“, „დილის გაზეთი“. 21-ე საუკუნის დამდეგს, როგორც თვითონ წერს, ღუზა ჩაუშვა „საქართველოს რესპუბლიკაში“. არის საქართველოს დამსახურებული ჟურნალისტი. მიღებული


აქვს არაერთი ჯილდო ფოტოჟურნალისტიკისა და პუბლიცისტიკის დარგებში.

„მცირე დოკუმენტური ნოველები და სხვ...“ ჯემალ კასრაძის მეოთხე ნიგნია.

იშვიათი სისადავითა და მცირე პროზისათვის დამახასიათებელი ლაკონიზმით გამოიჩინა ჯემალ კასრაძის პროზის სტილი. მას შეუძლია რამდენიმე შტრიხის მეშვეობით დახატოს პერსონაჟის პორტრეტი და სიუჟეტი, რომელიც მთავარი მხატვრული ფაქტორია და რელიეფურად წარმოგვიდგენს მოთხრობილი აზმის შინაარსსაც და ავტორის ემოციურ საზრისსაც.

ერთი სიტყვით, ძალიან საინტერესო ნიგნია. ხალისით იკითხება. ისეთი თხრობაა, ავტორს არაფრის გამოგონება რომ არ სჭირდება. ყველაფერი ნამდვილი, ბუნებრივი, დოკუმენტურია, თანაც მხატვრული.

მალხაზ ივანიძე



თამაზ ბიბილურის ეს ჩანაწერები 1994 წელს მისი ხსოვნისა და დაბადების მე-60 წლის აღსანიშნავად გამოაქვეყნა გაზეთი „კავკასიონის“ ლიტერატურულმა დამატებამ „არილი“. ფოტო: ივანე დავითაშვილი, ანალიტიკურად მოაზროვნე, გემოვნებიანი, ფართო ინტერესების მქონე მწერალი.

თამაზ ბიბილური

„რა სილამაზეა!“ – შესძახა კოსმოსში გასულმა პირველმა ადამიანმა, როცა შორეთიდან გამოხედა დედამიწას. „ჩვენი პლანეტის სილამაზე განუმორებელია“ – დანერა მეორე ადამიანმა, მთვარიდან დაბრუნების შემდეგ.

ლამაზია ის, რაც პოეტურია. განუმორებელიც პოეტური თუ იქნება. პოეტურობა თვით ჩვენი პლანეტის ბუნებაა. და ამდენად – ბუნება მისი მკვიდრებისა.

რა თქმა უნდა, არის გამონაკლისებიც. გამონაკლისებით სამყაროც სავსეა. მაგრამ მთავარი და განმსაზღვრელი მაინც არსებობს.

ჩვენი პანანკინტელა დედამიწის მთავარი და განმსაზღვრელი კი მისი პოეტურობაა, მისი ჰარმონია, მისი საამო თანმიმდევრობა დროთა და ფერთა, ცვლილება ზღვისა და ხმელეთისა, ცისა და მიწისა.

პოეტურია თვით უდაბნოც – ამას ეკუთვნის გვეუბნება.

პოეტურია ზეცვიდან დანახული მჭუმჭუვი სინათლე, რომელიც სამყაროს ნიშანს აძლევს იმაზე, რომ აქ ცხოვრობენ, უყვართ, წიგნს კითხულობენ, ოცნებობენ ან თუნდაც იტანჯებიან.

რაც ბუნებრივია და ნამდვილი, ის უმეტესად პოეტურია, თვით დაბადება ადამიანის. და თვით სიკვდილიც.

ამქვეყნიდან წასვლას (დააკვირდით, ქვეყნიდან წასვლა და არა სიკვდილი) ზოგჯერ ისე ხატავენ პოეტები, თითქოს ეს შეუცნობელ სამყაროში, ზესთასოფელში მოგზაურობის დასაწყისი იყოს მხოლოდ.

ამიტომ არსებობს ჩვენს წარმოსახვაში შექმნის სილიადა, ამქვეყნიდან წასვლის სილიადა.

ყველაზე უფრო „მახინჯი ცხოველები“, აქლემების ქარავანი უდაბნოში ქმნის პოეტურ სურათს, რომელშიც უსაზღვრო ლტოლვა სამყაროს შეცნობისა, უსაზღვრო მიუსაფრობა და სევდა იკითხება.

და მაინც, პოეტები ცოტანი არიან. ძალზე ცოტანი, გამონაკლისი და ხშირად სხვათა თვალში საეჭვონიც.

ცოტამ თუ უწყის, რომ თავისი გამოწვევისობით ისინი მხოლოდ ტანჯვას, შეურაცხყოფას, დამცირებას, წამებას და ხშირად სიკვდილსაც იმკიან. მათი მიზანი კი, სხვათათვის გაუგებარი, ძალზე უბრალოა:

მიანიჭონ ადამიანებს ბედნიერება, აახდონ ზეცისაკენ, კარგად დაანახონ სამყაროს პოეტურობა და სიციცხლის სილიადა.

პოეტებს მხოლოდ ერთი მიზანი აქვთ: ყოველმა ადამიანმა, ვინც შორეთიდან გამოხედავს დედამიწას, შესძახოს: „რა სილამაზეა!“

თეატრი პოეზიის პირმშოა. სადაც პოეზია არ არის, ან არ იგულისხმება, იქ არც თეატრია.

უძველესი ანტიკური ქორო, როცა სცენაზე ჯერ ერთი პერსონაჟი არ ჩანდა, მხოლოდ პოეზიის ერთი ჰყვებოდა სულის შემძვრელ ამბებს ღმერთებსა და ადამიანებს.

ფრაგმენტები სხვადასხვა დროის ჩანაწერებიდან

მერე გამოჩნდნენ პერსონაჟები, – ჯერ ერთი, მერე ორი, მერე და მერე უფრო მომრავლდნენ. გაჩნდა კონფლიქტი, ვითარცა წარმართველი ძალა მოქმედებისა... მაგრამ უცვლელი დარჩა პოეზია. სულის შთაბეჭდილი და მაცოცხლებელი თეატრისა.

სადაც პოეზია არ არის, იქ არც თეატრია.

დღეს რეჟისორები ეძებენ პრობლემებს. თეატრი განიძარცვა, „პირობითი“ გახდა. რეჟისორები სცენაზე დგამენ ერთ მერსს და იმედი აქვთ, რომ ის მერსი ტყის მაგივრობასაც სწევს და თუ გნებავთ, მეფის სასახლისადაც. მაგრამ მერსი მხოლოდ მერსია. მერსი ტყე ვერ გახდება და ვერასოდეს შეიძენს იმ იდუმალებას, რაც ტყეს უნდა ჰქონდეს.

თეატრს ასაზრდოებს არა პრობლემები, რადგან ყოველგვარი პრობლემა მალე ძველდება, არამედ იდუმალება, რადგან შორეული, ნისლეული, რომლის არც სული იცი და არც თვისება და რომელსაც ძალზე მიახლოებით, პირობითად პოეზია ეწოდება.

მე თეატრში პრობლემებისთვის არ დავდივარ, როგორც პრობლემებისთვის არ დავდივარ ტაძარში.

მე თეატრში პოეზიას ვეძებ და როცა ვერ ვპოულობ, გული მწყდება, რომ ერთი საღამო, ისედაც ხანმოკლე წუთისოფელში, ამაოდ დავკარგე.

პოეზიაა ცისქვეშეთში მარტოდ დარჩენილი მეფე ლირის მონოლოგი. ხოლო შექსპირის 66-ე სონეტზე შექსპიროლოგები ამბობენ, რომ საერთო განწყობილებით და ფილოსოფიით ძალზე ჰგავს ცნობილ მონოლოგს „ყოფნა... არ ყოფნა“. ერთხელაც წავიკითხე ეს მონოლოგი. შექსპირის წაკითხვა არასოდეს არ არის ზედმეტი.

ვიცი, მეტყვიან, რომ შექსპირი სხვაა, რომ ის ტრაგედიებს ლექსადაც წერდა და სხვა. მაგრამ მე ვლამაზობ საერთოდ დრამის, თეატრის ბუნებაზე, პოეტურ თეატრზე...

თეატრს ბევრჯერ უწინასწარმეტყველეს სიკვდილი.

ჯერ მაშინ, როცა კინო გამოჩნდა. მერე – ტელევიზია... ბოლოს – ვიდეო.

მაგრამ თეატრი არ მოკვდა. თვით ყველაზე უფრო „პრაქტიკულ“ ქვეყანაში, როგორც ამერიკა, თეატრების რიცხვი იზრდება. იყო ბროდუეის თეატრები. მერე მომრავლდა ბროდუეის გარე თეატრები (სხვათა შორის, ნამდვილმა თეატრალურმა ხელოვნებამ ბროდუეიდან იქ გადაინაცვლა), ბროდუეის გარე თეატრებს კი – ბროდუეის გარე გარეთა თეატრები. იმ საღამოს, როცა ამერიკაში თანამედროვეობის დიდი დრამატურგი ტენესი უილიამსი გარდაიცვალა, ნიუ-იორკის ყველა თეატრმა თურმე საღამოს რვა საათისათვის რამდენიმე წუთით ჩააქრო სინათლეები. თეატრები გლობოდნენ „ტრამვაი სურვილის“, „ორფეოსი ეშვება ჯოჯოხეთში“, „კატა გახურებულ სახურავზე“ და სხვათა ავტორს. ეს უკვე რაღაცას ნიშნავს.

მე მგონია, რომ თეატრი მხოლოდ მაშინ მოკვდება, როცა მოკვდება პოეზია.

როცა პოეზიაზე ვლამაზობ, ნურავინ იფიქრებს, თითქოს ჩიტების ჭიკჭიკს ან აყვავებულ ნუშის ხეებს ვნატრობდე. თვით ყველაზე უმკაცრეს პიესაშიც კი პოეზია იგულისხმება, თუ ის ნამდვილი პიესაა. სცენაზე დატრიალებული საშინელი ამბავი, უაღრესად მინიერი კონფლიქტი პოეზიას უპირისპირდება, პოეზიას ებრძვის, ან პოეზიას გაურბის... მაშასადამე, პოეზია სადაც ახლოა, აქვეა, სცენის მიღმა გაშლილ უსაზღვრო სამყაროში იგულისხმება, ის ცოცხალია, ის არსებობს.

იუჯინ ო ნილის პიესაში „სიყვარული თელებქემ“ საშინელი ამბავი ტრიალებს.

მამა შვილებს არ ინდობს, ძმები ერთმანეთს ჭამენ. დედინაცვალს გერი უყვარს (ძველი, ანტიკური ტრაგედიის ფაბულა), მაგრამ ყოველი სცენის დასასრულს ოჯახის ტირანი მამა ავანსცენაზე გამოდის, და შესცქერის ვარსკვლავებით მოჭდილ ცას. ან თვით სათაური? – „სიყვარული თელებქემ“...და როცა ამ პიესის დადგმას ვნახულობ, სადაც ყველაფერია: სიმკაცრეც, დაუნდობლობაც, ტირანიაც, თვით სიყვარულიც, მაგრამ თელეები არ არის და არც იგულისხმება, გული მწყდება.

ტენესი უილიამსი ყოველთვის პიესას ერთი პატარა ნოველისხელა შესავალს ურთავს, სადაც აღწერილია გარემო, რომლის ფონზეც, თუ რომლის მონანილიებითაც ამბავი უნდა გათამაშდეს. ამბავი უმეტესწილად შემზარავია, ადამიანურ სიმდაბლეთა სიმძვლე სულს გინიწნის, მაგრამ სადაც, ახლოს, აქაც თრთის პოეზია. აკი ავტორმა თავიდანვე გაგაფრთხილა, რომ დეკორაციის ფონზე უსაზღვრო ცა მოჩანს და ეს ცა მოქმედების შესაბამისად ან უფრო ლურჯი ხდება, ან რუხდება. „შუშის სამხეცეში“ გაფრთხილებენ, რომ ამბავი, რომელიც აქ გათამაშდება, მოგონებაა და, როგორც ყოველი მოგონება, ცისფერ ბურუსში გახვევა.

მე მენატრება კარგი სპექტაკლი – „ცისფერ ბურუსში გახვეული“.

ასეა კინოშიც. დღეს რეჟისორებს რცხვენიათ ლამაზი კადრისა, ლამაზი მუსიკისა, თუნდაც ლამაზი მსახიობისა. ოდესღაც კი ყოველივე ამით კინო მხოლოდ ამაყობდა.

კინოს უკვე ერცხვინება სილამაზის ეს თეტიკისა.

კინო მხრებს იჩენს და გეუბნება, მე რა შუაში ვარ, ყველაფერი ისეა, „როგორც ცხოვრებაში“.

სწორია... განა ცხოვრებაში გვინახავს, რომ ყველაფერი პოეტური იყოს?

მაგრამ ხელოვნებაში, გარდა პრინციპისა – „როგორც ცხოვრებაში“ – ხომ არსებობს სხვა, არანაკლებ მნიშვნელოვანი და საუკუნეთა მანძილზე გამოცდილი პრინციპი: „მე ასე ვხედავ“...

პრინციპმა „მე ასე ვხედავ“ თავისი უფლებები უნდა დააბრუნოს.

მაშინ გამოჩნდება დრამატურგიც და რეჟისორიც, რომელნიც ჩვენს საშინელ, განუხველ და განუკითხავ სამყაროში პოეზიას დაუნყებენ ძებნას, და თუ ძებნას დაუნყებენ, იპოვიან კიდევ. რა ვიცით, იქნებ მართლია კიდევ, რომ „სილამაზე გადაარჩენს ქვეყნიერებას“.

პოეზია და პროზა... ანუ პოეტური პროზა. ერთმა კრიტიკოსმა თქვა, თუ პროზაში პოეტური ელემენტები შემოიჭრა, ამ პროზის საქმე წასულიაო.

მგონი არც ისე მარტივად არის საქმე. ჩვენს დროში ყველაფერი აჭრელდა.

სიცილსა და ტირილს შორის ზღვარი თითქოს წაიშალა და ახალ თანამედროვე დრამის გმირებზე ისე ვიცინით, როგორც

„დაშინისა და მოსასხამის“ კომედიათა პერსონაჟებზე.

პოეზიაში შემოიჭრა პროზა. მთელი თეორი ლექსი და ვერლიბრი სავსეა პროზით, ყოფით, ყოველდღიური წვრილმანებით.

პროზაში კი პოეზია კარგა ხანია დამკვიდრდა.

შეიძლება იმიტომ, რომ პოეზია ყველაფერშია, ოღონდ მისი დანახვა და შეგრძნებაა საჭირო.

„პოეტი ბავშვად უნდა დარჩეს მამინაც კი, როცა თეთრი თმები აქვს და სკლეროზი ჭირს“.

ეს პოლ ელუარის სიტყვებია. ალბათ პროზაიკოსსაც ჭირდება ბავშვად დარჩენა.

ალბერ კამიუ კი ამბობს, რომ შეიძლება მთელი ისტორია უარყო, მაგრამ შენთვის მაინც დაითვოს ვარსკვლავები და ზღვა. ვარსკვლავებსა და ზღვამ, ალბათ, პოეზია იგულისხმება.

პოეტური პროზაა მთელი ნიკო ლორთქიფანიძე და სწორედ პოზიამ „დალუპა“ იგი. არა და არ მიიღო სოციალისტური რეალიზმის ორთოდოქსალურმა კრიტიკამ ნიკო ლორთქიფანიძის „გადახრა რეალიზმიდან“. ამიტომ უძღვის ამ მწერლის ყოველ ტომეულს ვრცელი საბოდიშო გამოკვლევები, სადაც სწორედ პოეზიის გამო უზღიან ბოდიშს მკითხველებს.

ახია ჩვენზე! ამიტომაც ეს ქვეყანა სავსე „უპოეზიო მკითხველებით“.

პოეზიაა მთელი ეკიუპერი. პოეზიაა „მოხუცი და ზღვა“.

ჩამოთვლა უსაზღვროდ შეიძლება. პოეტური პროზა დღეს პროზაა და იგი არც ერთ სხვა პროზას ხელს არ უშლის. როცა „ლამის გაფრენას“ კითხულობ, მაშინ ბალზაკს ვერ წაიკითხავ. არის ცხოვრებაში წუთები, როცა მხოლოდ „ლამის გაფრენა“ გჭირდება, „ლამის გაფრენა“ თუ გიშველის და გადაგარჩენს.

„მე დიდი ხანია მანვალებს ფიქრი, რომ პოეზია და დიდი პროზა სულ უფრო და უფრო უახლოვდებიან ერთმანეთს, რათა ბოლოს და ბოლოს გამთლიანდნენ“ – ეს თომას მანის სიტყვებია.

ირლანდიელი მონ ო კეისი კი პოეზიის იმედით შესცქერის არა მხოლოდ ლიტერატურას, არამედ ჩვენი სამყაროს მთელ მომავალს: „სანამ ამოდის და ჩადის მზე, სანამ მოიქცევა და უკუიქცევა ზღვა, სანამ გალობენ ფრთოსნები და ყვავილები ყვავიან, სანამ იდგებიან მთები, სანამ ბიჭს კლავს გოგოს სურვილი, ხოლო გოგოს სურს სასურველი იყოს, მანამ არ ჩაქრება სიციცხლის რომანტიკა“.

პოეზია ყოველდღიური ცხოვრების არსობის პურიან. ის მუდამ ჩვენშია, ან ჩვენს ახლოს იგულისხმება.

ამგვარია მისი სასიციცხლო, ან თუ გნებავთ, უანრული ბუნება, რადგან „სანამ რომანი ინერება, უკვე იცვლება ადამიანიც და თვით სამყაროც“ (ლუი არაგონი). „ო, რამხელა კატასტროფა! რამდენად დაასახიჩრეს სიყვარული, როცა იგი მხოლოდ და მხოლოდ პირადულ გრძობად, საკუთრებად აქციეს, როცა სიყვარულიდან განაძევეს მზის ამოსვლა და ჩასვლა, მაგიური კავშირი ვარსკვლავთა შორის“ (დევიდ ლოურენსი).

ამიტომ ნუ ავჩქარდებით.

ნუ გამოვთქვამთ აზრებს იმაზე, რაზეც აზრის გამოთქმა მხოლოდ დროსა და ისტორიის თუ შეიძლება, და თანაც ვარსკვლავთა შორის მაგიური კავშირის გათვალისწინებით. ნუ გავავლებთ ჯებირებს და ლობებებს. ნურც მარტო მინისკენ ჩავრგავთ თავს და ნურც მარტო ზეცისკენ ავალერებთ ყელს.

ხან ყოველდღიური ცხოვრების ფსკერზე მოგვიხდება ჭუჭყის ქექვა, რათა გავწმინდოთ ეს ფსკერი.

ხან ისე დავგახრჩობს ყოველდღიურობა, რომ მკერდს გავიღვავოთ, სუფთა ნიაფს მივუშვერთ და დავიძახებთ: „პოეზია – უპირველეს ყოვლისა!“

ბურამ ბენაშვილი

„ვეფხისტყაოსანი“ შუა საუკუნეთა „წილიდან“ „ამოზიდული“, კოლოსალური ონტოლოგიური ცნობიერებით აღბეჭდილი და უნატიფესი ესთეტიკური პარადიგმებით მოდელირებული ქმნილებაა...

იგი ოდენ ზეგალანტური გრაციოზულობით წარმოგვიდგენს დროის უნივერსალური აღქმის დეფინიციებს... თითქოს კატეგორიულად არ ემიჯნება მისივე წარსულისა თუ თანამედროვეობის პრიორიტეტულ, მითო-პოეტურ კონცეფციებს... თუმცა ტრადიციის ჰიპოთეტური ერთგულებასთან ერთად, არსებითად ნოვაციური პოეტიკითა და მსოფლხედვითაა აღბეჭდილი...

თემატური სივრცე თუ მისი ანალიტიკური სიმაღლე, მრავალნაწიანი ფაბულის დინამიკა თუ მეგაბატონი ფრაზეოლოგია, მასში ჭეშმარიტად ჰერალდიკური კონოტაციებით ცნაურდება...

„ვეფხისტყაოსანი“ უპირველესად სიტყვის, ვითარცა მხატვრული ქმნილების საკრალური დომინანტის გაბრწყინება და ამოთვლია...

ტრადიციული პოეტიკის სუბლიმაციით, ანუ საკუთარი თვითშემეცნებითა და რეალობის კონცეპტუალური აღქმით აღწევს იგი არაცნობიერისა და ცნობიერის გენიალურ მისტიფიკაციებს...

მან შექმნა წინარენესანსული ტიპის პანორამა, ანუ ერის სულიერ-გზის-ტენციური ხატის მხატვრული მეგასიმბოლო, თავისი ეპოქალური სტილით, რეალობის სუბსტანციური აღქმითა და ანალიტიკით, კლასიკური ესთეტიკური „არქიტექტურითა“ და დეტალურად ჭეშმარიტებათა ძიებისა და წვდომის პერმანენტული დისკურსით...

სიმპტომურია, რომ პოემის ნარატივი ეპისტოლარული ფრაგმენტების ჩართვამ კიდევ უფრო გააღრმავა ტექსტუალური „ქსოვილის“ სემანტიკური არეალი...

არსებითი კი ის არის, რომ „ვეფხისტყაოსანი“ რეალობის აქსიომატური დომინანციებიდან იმპულსირებული დრო-ჟამის გრანდიოზული „მეტაფორა“...

ანტიკური ძლევაშილი ადამიანის იდეალისა და სულიერად ამაღლებული ქრისტიანობის სინერგიამ ამ პოემაში „შეა“ ჰარმონიული, მყარი იდენტობით აღბეჭდილი მოქმედ და მოაზროვნე პერსონაჟთა მთელი გალერეა, რომელთა სიცოცხლის უმთავრესი კრებულა – „გული, ცნობა და გონება ერთმანეთზედა ჰკიდია“ და კიდევ – „არა ვიქმ, ცოდნა რას მარგებს ფილოსოფოსთა ბრძნობისა“...

„ვეფხისტყაოსანი“, როგორც ეპიკური ნარატივი, როგორც ეროვნული სულიერების ჰეგემონი და განუმეორებელი ეპოქის შთამავგონებელი „გზავნილი“, სიცოცხლის ვენებით „შეპყრობილი“ მომავლის ადამიანებით არის წარმოდგენილი

ამ ჭეშმარიტი ნივთა-ნივთის „ქმნას“ ოდენ ალბათ მარადისობამაც შეაშველა „ხელი“... შეაშველა, ვითარცა ერის „გაზაფხულის“ მაცნესა და რეპრეზენტატორს...

ზნეობრივი მსოფლგანცდის მასშტაბებითა და სივრცელობით სრულიად უნიკალურია იგი...

მის მონუმენტურ აქტორთათვის სიყვარული, ვითარცა ღვთაებრივ სათნოებათა მატრიცა, ნეტარება მშვენიერებაში... სიყვარულით ანთებულნი, ისინი ეტრფიან მშვენიერს და სრულად შეიმეცნებენ მის მორალურ უსაზღვროებას...

რუსთაველი, ვითარცა შემოქმედი, „ჰქმნის“ ტყვედქმნილ სატრფოსსა და მისთვის ტანჯულ, ველადგაჭრილ რაინდ-მიჯნურს...

ტარიელი ეგრეთ ნოდებული ვნებული „დიონისია“, რომელიც ალუსურულბელი სიყვარულისათვის თვით სიკვდილში ეძიებს ნეტარებას... იგი მიზნისაკენ მიმსწრაფი ნებაყოფლობით

თი მსხვერპლია, რამეთუ მასში ბოჰოქრობს რაინდული ვნებათა სტიქიონი... დრამატულად „მუღერი უეგრტიურა“ ამ რომანტიკული სიყვარულისა და გადალახვა ბედისწერის ბესტიარული გამოწვევებისა, ღრმა და შთამავგონებელი „სიურრეალისტური“ შტრიხებით წარმოაჩენს უჟამობით „პყრობილთა“ უსაზღვროდ თავისუფალი სიყვარულით ტკბობის ვნებას...

პოემაში გაბრწყინებს „სხვაგვარი“ სიყვარულიც...

კერძოდ, „რეპრეზენტატიული“ სიყვარული ავთანდილისა და თინათინი-

ანალიტიკური ფრაგმენტები



სა... ისიც ერთობ საგულისხმოა, რომ რუსთაველმა სიყვარული თავშენიერი მეგობრობის მედომად აქცია...

ამ კონტექსტში წარმოჩნდება პოემის ორი პროტაგონისტის განსხვავებული იდენტობა და ფსიქოტიპი...

თუ ტარიელი დიონისური ინსტინქტებითაა ზეაღმატებული, ავთანდილი აპოლონურია თავისი არსითა და სუბსტანციით... იგი ფორმას ანიჭებს და გონიერებით აღბეჭდავს ტარიელის უშმაგეს ვნებებს... პოზიტეიად გარდაქმნის მის ბოჰოქარ სტიქიონს...

ავთანდილი ჭეშმარიტი მოაზროვნეა, რომელმაც კარგად იცის წარმავალი სოფლის და წარუვალი განგების შეუთავსებლობის დრამატიზმი...

მის „ანდერში“ რუსთაველმა სრულიად წარმოსახა საკუთარი ღრმადშთამავგონებელი მსოფლმხედველობა...

იგი იმ გენიალურ შემოქმედთა შორისაა, ვინც თავისი ქმნილებით ასახიერებს ადამიანური სულის უნივერსალურ განხვეწილობებს...

მხატვრულ-ფილოსოფიური აზროვნების ჭეშმარიტი გიგანტი, იგი მთელის სისახესით შეისრუტავს ეპოქის კონცეპტუალურ ღირებულებრივ პრიორიტეტებსა თუ დრო-ჟამის საკრალურ ინტენციებს, წინ უსწრებს მათ და მომავალს ანდობს საკუთარ პრივატულ რეფლექსიათა აღქმა-შემეცნების პრივილეგიებს...

ადამიანის კონცეფცია და მასთან დაკავშირებული პარადიგმები პოემაში აღიქმება როგორც ლირო-ეპიკური დისკურსის რომანტიკული ლაიტმოტივიცა და ინსპირაციაც...

ესქატოლოგიურ თუ ანთროპოლოგიურ დისკურსთა ანარეკლები ღრმა კონტექსტებით წარმოაჩენენ პოემის ფილოსოფიური ენერგიით გაჯერებულ ტექსტს...

სიმპტომურია, რომ უძველესი კულტურულ-რელიგიური წარსულის ინტერტექსტუალური ასოციაციები ორგანულად ერწყმის ნარატივის იდეოლოგიასა და ამაღლებულ ინტონაციებს... რუსთაველის ანალიტიკურმა წარმოსახვამ შექმნა ეპოქის ენციკლოპედიურად არგუმენტირებული, ესთეტიკურად იგავიუნფომილი აქცენტებით აღბეჭდილი დრო-სივრცულ მოდულაციათა კოლოსალური „პანორამა“... და ამით სათავე დაუდო სინამდვილის მხატვრულ-ფილოსოფიური აღქმის სრულიად ახალ რენესანსულ უნივერსალიზმს...

დაბეჭვითებით შეიძლება ითქვას, რომ მხოლოდ ქრისტიანული მრწამსითა

და მულტიკულტურული უნივერსალიზმით ძალმოსილ შემოქმედებით ცნობიერებას ხელენივებოდა იმ ეროვნული გენიის გამოხატვულ მატრიცად ქცევა, რომელიც ამაყად დაუპირისპირდებოდა ისტორიული ჟამთაგულის გაბოროტებულ ქაოსს და მალაღადაშიანურ იდეალებს უკმედა გუნდრუქს...

„ვეფხისტყაოსანი“ ამ ეპოქალური მისიის ბრწყინვალე ილუსტრაცია...

ეს არის ქმნილება, რომელიც უსაზღვრო ესთეტიკურ ტკბობასთან ერთად, ადამიანში ძერწავს პოზიტურ იდენტობის უმძლავრეს კონფიგურ

რულ ღირებულებათა შემეცნების უნარსა და თვით სურვილსაც კი...

„თუნდაც მხოლოდ ერთი დღით იყავით არაულტრათანამედროვენი, რათა იგრძნოთ, რაოდენ მარადისობას ატარებთ თქვენში და რა შთამავგონებელია მისი უკვდავი გამოძახილი“... რილქეს ამ კონცეპტუალურ ვიზიონში ფოკუსირდება დროთა კავშირის საკრალური საზრისი და წარსულის სულიერი გამოცდილების ორგანული აღქმის ის იდეა, ურომლისოდაც წონსენსია მომავლისკენ ლტოლვა...

რთული და არაერთმნიშვნელოვანია გენიალურ მხატვრულ ქმნილებათა ონტოლოგიური წვედობა, მათი ზუსტი და ამომწურავი სემანტიზაცია...

შთამომავალნი არსებითად მხოლოდ ვუახლოვდებით სამყაროს უდიდეს სულიერ ღირებულებებს, რომელთა „მინიერი“ დანიშნულება ადამიანური ყოფიერების ისტორიული გამოცდილების სიბრძნეს გვაზიარონ მომავლისაკენ უთავბოლო სრბოლით აღტკინებული „მგზავნი ამასოფლისა“...

ასეთია „ვეფხისტყაოსანიც“, გარდასული ციცილიზაციისა და პოეტური კულტურის ეს ღრმადპროვიდენციული ნივთა-ნივთი...

უძველესი ეპოსიდან „ფხვადგ-მულმა“, ფიზიკურად ძლევაშილი ადამიანმა, ვით განიცადა მუტაცია, ანუ როგორ ამაღლდა ქრისტიანული იდეალების საკრალურ სიმალეებამდე და როგორ გარდაიხსნა სულიერების სიმბოლო – ამის ჭეშმარიტი ილუსტრაცია „ვეფხისტყაოსანი“ – მრავალსაუკუნოვანი ეროვნული სულიერი კულტურის ეს გვირგვინი, მაცნე და მარადიული პროტაგონისტი ეროვნული მხატვრული აზროვნების ჭეშმარიტად რენესანსული ეპოქისა...

რაც იცებს, მის ინტელექტუალურსა თუ მორალურ იერსახეს... „გავიძულეს“ თანაგანცდასა და მიეღობს არსებით ყოფნას არა „გარეთ“, არამედ „შიგნით“, ბრწყინვალედ „აღნავ“ მხატვრული რეალობის „სიმზურავლემი“, შორეული წარსულის იმ შთამავგონებელ ნიაღში, რომელიც გათავისუფლებს ანმყის ბრუტალური იმპულსებიდან... ანუ გამოგცდის და გამოწვევებს წინაშე გაყენებს...

ის ჩვენთვის უფლისგან შთავიწებული უპირველესი ჰიპოსტაზის – სიყვარულის უსაზღვრო აპოლოგიის სიმბოლოა...

დღეს, ყოფიერების გლობალური მატერიალიზაციის მიუხედავად, იმედა, შთამომავლობა კვლავ თავყვანისცემით იმსჯელება ამ საკრალური ქმნილების მიმართ...

კადნიერებად არ ჩამომერთმევა, თუ ვიტყვი, რომ თანამედროვეთათვის ადვილი აღარ არის რუსთაველის პოემის სასულიერო აღქმა, რამეთუ მისგან გვაპირებს გრანდიოზული დრო, კულტურათა სხვაობა და გემოვნებანი... მიუხედავად ამისა, ჩვენი წმინდა „მოვალეობა“ გონებით „დაეხარავით“ და თუნდაც „მიმე ტანჯვით“ შევადგინოთ ყოველი დროის ქართულთა სიმბონისა და სათნოებათა ამ შთამავგონებელ „ტადარში“, პიროვნული კათარზისის ამ ჭეშმარიტ საუფლოში, სიტყვისა და აზრთა ყვავილოვნების ამ განუმეორებელ „ოაზისში“... რათა ვიგრძნოთ და შევიმეცნოთ ადამიანური სიცოცხლის საზრისი... სიყვარულის, მეგობრობის, პატრიოტიზმისა და მორალურ პიროვნებად ყოფნის უალტერნატივო ღირებულებანი...

შოთა რუსთაველი, როგორც არა მხოლოდ გენიალური ჟამთააღმწერელი, არამედ უპირველესად ერის პერმანენტული მორალურ-ინტელექტუალური ინსპირატორი...

ერად და ქვეყნად ყოფნის ერთი ფუძეთაგანი... სულიერების დაუმრეტელი წყარო და დროთა კავშირის ვერბალური მედიუმი...

ასეთია ამ ტიტანური ქმნილებიდან ჩემში ადრული ანალიტიკური ნიაღსელები... კონვენციურ ჩარჩოებს განრიდებულ ფიქრთა ოდენ არითმიული და არანორმირებული განსჯანი...

საგულისხმო და სამწუხაროა, რომ დღესა ხოლმე ჟამი „ულტრათანამედროვეთა“ სულიერების გლამურული ინერტულობისა, რომელიც აჩლუნგებს არა მხოლოდ შემოქმედებითი ღვწის ვნებებს, არამედ აკნინებს მალაღმხატვ

რულ ღირებულებათა შემეცნების უნარსა და თვით სურვილსაც კი...

„თუნდაც მხოლოდ ერთი დღით იყავით არაულტრათანამედროვენი, რათა იგრძნოთ, რაოდენ მარადისობას ატარებთ თქვენში და რა შთამავგონებელია მისი უკვდავი გამოძახილი“... რილქეს ამ კონცეპტუალურ ვიზიონში ფოკუსირდება დროთა კავშირის საკრალური საზრისი და წარსულის სულიერი გამოცდილების ორგანული აღქმის ის იდეა, ურომლისოდაც წონსენსია მომავლისკენ ლტოლვა...

რთული და არაერთმნიშვნელოვანია გენიალურ მხატვრულ ქმნილებათა ონტოლოგიური წვედობა, მათი ზუსტი და ამომწურავი სემანტიზაცია...

შთამომავალნი არსებითად მხოლოდ ვუახლოვდებით სამყაროს უდიდეს სულიერ ღირებულებებს, რომელთა „მინიერი“ დანიშნულება ადამიანური ყოფიერების ისტორიული გამოცდილების სიბრძნეს გვაზიარონ მომავლისაკენ უთავბოლო სრბოლით აღტკინებული „მგზავნი ამასოფლისა“...

ასეთია „ვეფხისტყაოსანიც“, გარდასული ციცილიზაციისა და პოეტური კულტურის ეს ღრმადპროვიდენციული ნივთა-ნივთი...

უძველესი ეპოსიდან „ფხვადგ-მულმა“, ფიზიკურად ძლევაშილი ადამიანმა, ვით განიცადა მუტაცია, ანუ როგორ ამაღლდა ქრისტიანული იდეალების საკრალურ სიმალეებამდე და როგორ გარდაიხსნა სულიერების სიმბოლო – ამის ჭეშმარიტი ილუსტრაცია „ვეფხისტყაოსანი“ – მრავალსაუკუნოვანი ეროვნული სულიერი კულტურის ეს გვირგვინი, მაცნე და მარადიული პროტაგონისტი ეროვნული მხატვრული აზროვნების ჭეშმარიტად რენესანსული ეპოქისა...

რაც იცებს, მის ინტელექტუალურსა თუ მორალურ იერსახეს... „გავიძულეს“ თანაგანცდასა და მიეღობს არსებით ყოფნას არა „გარეთ“, არამედ „შიგნით“, ბრწყინვალედ „აღნავ“ მხატვრული რეალობის „სიმზურავლემი“, შორეული წარსულის იმ შთამავგონებელ ნიაღში, რომელიც გათავისუფლებს ანმყის ბრუტალური იმპულსებიდან... ანუ გამოგცდის და გამოწვევებს წინაშე გაყენებს...

ის ჩვენთვის უფლისგან შთავიწებული უპირველესი ჰიპოსტაზის – სიყვარულის უსაზღვრო აპოლოგიის სიმბოლოა...

დღეს, ყოფიერების გლობალური მატერიალიზაციის მიუხედავად, იმედა, შთამომავლობა კვლავ თავყვანისცემით იმსჯელება ამ საკრალური ქმნილების მიმართ...

კადნიერებად არ ჩამომერთმევა, თუ ვიტყვი, რომ თანამედროვეთათვის ადვილი აღარ არის რუსთაველის პოემის სასულიერო აღქმა, რამეთუ მისგან გვაპირებს გრანდიოზული დრო, კულტურათა სხვაობა და გემოვნებანი... მიუხედავად ამისა, ჩვენი წმინდა „მოვალეობა“ გონებით „დაეხარავით“ და თუნდაც „მიმე ტანჯვით“ შევადგინოთ ყოველი დროის ქართულთა სიმბონისა და სათნოებათა ამ შთამავგონებელ „ტადარში“, პიროვნული კათარზისის ამ ჭეშმარიტ საუფლოში, სიტყვისა და აზრთა ყვავილოვნების ამ განუმეორებელ „ოაზისში“... რათა ვიგრძნოთ და შევიმეცნოთ ადამიანური სიცოცხლის საზრისი... სიყვარულის, მეგობრობის, პატრიოტიზმისა და მორალურ პიროვნებად ყოფნის უალტერნატივო ღირებულებანი...

შოთა რუსთაველი, როგორც არა მხოლოდ გენიალური ჟამთააღმწერელი, არამედ უპირველესად ერის პერმანენტული მორალურ-ინტელექტუალური ინსპირატორი...

ერად და ქვეყნად ყოფნის ერთი ფუძეთაგანი... სულიერების დაუმრეტელი წყარო და დროთა კავშირის ვერბალური მედიუმი...

ასეთია ამ ტიტანური ქმნილებიდან ჩემში ადრული ანალიტიკური ნიაღსელები... კონვენციურ ჩარჩოებს განრიდებულ ფიქრთა ოდენ არითმიული და არანორმირებული განსჯანი...

საგულისხმო და სამწუხაროა, რომ დღესა ხოლმე ჟამი „ულტრათანამედროვეთა“ სულიერების გლამურული ინერტულობისა, რომელიც აჩლუნგებს არა მხოლოდ შემოქმედებითი ღვწის ვნებებს, არამედ აკნინებს მალაღმხატვ

რულ ღირებულებათა შემეცნების უნარსა და თვით სურვილსაც კი...

„თუნდაც მხოლოდ ერთი დღით იყავით არაულტრათანამედროვენი, რათა იგრძნოთ, რაოდენ მარადისობას ატარებთ თქვენში და რა შთამავგონებელია მისი უკვდავი გამოძახილი“... რილქეს ამ კონცეპტუალურ ვიზიონში ფოკუსირდება დროთა კავშირის საკრალური საზრისი და წარსულის სულიერი გამოცდილების ორგანული აღქმის ის იდეა, ურომლისოდაც წონსენსია მომავლისკენ ლტოლვა...

რთული და არაერთმნიშვნელოვანია გენიალურ მხატვრულ ქმნილებათა ონტოლოგიური წვედობა, მათი ზუსტი და ამომწურავი სემანტიზაცია...

შთამომავალნი არსებითად მხოლოდ ვუახლოვდებით სამყაროს უდიდეს სულიერ ღირებულებებს, რომელთა „მინიერი“ დანიშნულება ადამიანური ყოფიერების ისტორიული გამოცდილების სიბრძნეს გვაზიარონ მომავლისაკენ უთავბოლო სრბოლით აღტკინებული „მგზავნი ამასოფლისა“...

ასეთია „ვეფხისტყაოსანიც“, გარდასული ციცილიზაციისა და პოეტური კულტურის ეს ღრმადპროვიდენციული ნივთა-ნივთი...

ფარულსა თუ ცხად არტიკულაციებს, მათში კონცენტრირებულ ფილოსოფიურ თუ საკრამენტულ დეფინიციებს...

სალვითსმეტყველო რიტორიკის უნიკალურ ფრაგმენტს წარმოადგენს მასში თუნდაც უფლის ჯვარცმისა და საკრალიზაციის შთამავგონებელი მისტიკის პოეტური „ტრანსფორმაცია“...

სიმპტომურია ისიც, რომ ამ დიდი ქმნილების ავტორისათვის შემოქმედებითი აქტი, თვითანალიზისა და იდენტობის ბრწყინვალე ავანსცენა და სამსჯავროა...

ცნობიერების ფილიგრანული სიმბოლოები და აღქმის უნივერსალიზმი მას ამაღლებს თავისი დრო-ჟამის ჭეშმარიტი ანალიტიკოსის ფუნქციებამდე, მოვლენათა უტყუარ და რეზონანსულ ინტერპრეტატორამდე...

„დავითიანის“ ტექსტის თემატურ კონფიგურაციებში ამაღლებულ ლირო-ეპიკურ „ორატორიებს“, სვევენციებსა თუ ყოფით ინფერნალიებს ქალ-ვაჟის ტრფობის პიკანტური „პასტორალიები“ ენაცვლებანი...

სოფელი, როგორც მინიერი ცხოვრების დომინანტი, როგორც ადამიანთა იდენტობის „ოაზისი“ და თვალსაჩინო ილუსტრაცია, ამბივალენტობის იმ შთამბეჭდავი ტოპოსებით წარმოჩინდება, რომლის რეფლექსიამ სრული წარმოდგენა უნდა შექმნას ადამიანთა მორალურ სიმპტომებსა თუ გულუბრყვილო ცდუნებათა მაროგოცირებელ იმპულსებზე, ბოროტისა და კეთილის, ბნელისა და ნათელის „თანაცხოვრებაზე“, ანუ ყოველივე ამქვეყნიურის დუალისტურ ბუნებაზე (ბაროკალური დეფინიციები)...

შუასაუკუნეობრივი ესთეტიკის ჩარჩოებში ამ ქმნილებაში გადაილახა თუნდაც ტრფობა-სიყვარულის ეპიზოდთა უტრირებითა თუ ნატურალისტური სცენებით...

პასტორალური სტილისტიკისათვის მორგებული დიალოგები ამ ოდენ რო-რეატიკულ ეპიზოდებს კოლორიტულ „ფერადოვნებას“ სძენს და ამდღერებს „დავითიანის“ თემატურსა თუ ჟანრულ რეპერტუარს...

გავიმეორებ და ვიტყვი, რომ ტიპოლოგიურად დავით გურამიშვილის გენიალური ქმნილება სისხლიანი ომების შემზარავი პროცესებით შეძრწუნებულ, ევროპულ ბაროკალურ პოეზიას გვაგონებს...

გრეფიუსის „სამშობლოს ცრემლები“-ს მსგავსად, ქართველი პოეტის სულით-ბოროტად შეძრული ქვეყნის შიდაშოკლობათა თუ შიშობლივი მიზნაზე უცხო, მტრულ ძალთა უთავბოლო თარეშით, ნგრევით, გაპარტახებითა თუ ადამიანთა სრული მორალური დეგრადაციით, რომელთაც თან ერთვის მისი, როგორც ორჯერ ტყვედქმნილისა და პერმანენტული პილიგრიმის ტანჯული ცხოვრება... ყოფიერება ტრაგიკული კონფუსიებით აღბეჭდილი ჟამის მსხვერპლისა...

მისი პოეზიის მოტივაციათა თემატური ვექტორი და მათი აღქმისა თუ წარმოსახვის დეფინიციები, ოდენ „მსგავსია“ ბაროკოს ესთეტიკისა და მსოფლგანცდისა, მისი მკაფიოდ გამოხატული დიდაქტიკური პარადიგმებისა, სატირულ-ბურლესკური განწყობებისა, ტრაგიკომიკური თუ ღრმადფილოსოფიური დრამატიზმისა...

„დავითიანში“ – მინიერისა და ზეციური კონოტაციებით არტიკულირებული წარმოსახვები, საგარაუდო მოდუსია ვიფიქროთ ამ სულსიმეძვერელი მხატვრული ქმნილების ევროპულ პარალელიზმზე, ანუ იმ ტიპოლოგიურ მსგავსებებზე, რომელნიც ამ „თავისუფალი ფიქრის“ იმპულსსა და უფლებას გვიტოვებს...

სწორედ ამ ბინარულ ოპოზიციათა მკვეთრად წარმომჩენმა მხატვრულმა ქმნილებებმა შესძინა სამყაროს არაერთი ლიტერატურული შედეგები...

ამ კონტექსტში მოვიანებთ „დავითიანსაც“, გარდასული ციცილიზაციის ამ პროვიდენციულ „დიდ ანდერძს“ და ქართული კლასიკური პოეზიის ჭეშმარიტად ეპოქალურ ქმნილებას...

„დავითიანში“ – მინიერისა და ზეციური კონოტაციებით არტიკულირებული წარმოსახვები, საგარაუდო მოდუსია ვიფიქროთ ამ სულსიმეძვერელი მხატვრული ქმნილების ევროპულ პარალელიზმზე, ანუ იმ ტიპოლოგიურ მსგავსებებზე, რომელნიც ამ „თავისუფალი ფიქრის“ იმპულსსა და უფლებას გვიტოვებს...

სწორედ ამ ბინარულ ოპოზიციათა მკვეთრად წარმომჩენმა მხატვრულმა ქმნილებებმა შესძინა სამყაროს არაერთი ლიტერატურული შედეგები...

ამ კონტექსტში მოვიანებთ „დავითიანსაც“, გარდასული ციცილიზაციის ამ პროვიდენციულ „დიდ ანდერძს“ და ქართული კლასიკური პოეზიის ჭეშმარიტად ეპოქალურ ქმნილებას...

►► (დასასრული იქნება)

გულის ქახილი

ჯუბა ლებელის ახალი ნიგნი „მიყვარხარ, ადამიანო!“

ჯუბა ლებელის პოეზია სიყვარულის ნიგნია, რომელსაც გადაშლი, კითხულობ, კითხულობ და არ მთავრდება ისევე, როგორც სიყვარული... სიყვარული ღმერთის, სამშობლო მინის, მოყვასის, ადამიანის, ქალის, ბუნების, ფიქრის, პოეზიის, ლექსის. თან ეს სიყვარული ისეთი ღრმა და უძირო, როგორც უსასრულოა. სწორედ აქ რწმუნდები, რომ სიყვარული, მართლაც, ნიჭია, ნიჭი, რომელიც მეტ-ნაკლებად აქვთ ადამიანებს. ეს ნიჭი გენეტიკურად მოდის, გარკვეული გენის ძახილია და ამიტომაცაა ასე ლამაზი, უბრალო და ორიგინალური. სიყვარულის ენერგია, სინერგეტიკა, გულის ძახილი და ამოძახილი, რომელსაც თავს ვერ აღწევ, ის შენშია და მორჩა! – უნდა ემსახურო, უნდა გაზარდო, სტრუქტურულად და პოეზიად აქციო, მოეფერო, გააღვივო, სული უბერო და გაუფრთხილდე საკუთარი თავისა და სხვათა გადასარჩენად.

ვფიქრობ, ეს სიტყვები ზუსტად ასახავს იმ განზობას, რაც 18 ნოემბერს, კინოს სახლში, პოეტ **ჯუბა ლებელის ახალი კრებულის „მიყვარხარ, ადამიანო!“** – წარდგენას მოჰყვა. საღამოს, შეიძლება ითქვას, ერთგვარ მონოდებად გაჰყვა, ყველასათვის საყვარელი მსახიობის, გუჯა ბურდულის ხმით ნაკითხული პოეტის ლექსი **„მიყვარხარ, ადამიანო!“**

გადავხედი დარბაზი, რამდენიმე საათს ფეხზე მდგარი საზოგადოება, სხვადასხვა ასაკის ადამიანები სიყვარულით ისმენდნენ ჯუბა ლებელის, მისი მეგობრების, სტუმრების, მსახიობების მიერ ნაკითხულ ლექსებს, ისმენდნენ პოეტის ლექსებზე შექმნილ სიმღერებს, ბევრ ლამაზ, მოსაფრებელ სიტყვას და მოგონებას. მოთმინებით იდგნენ გრძელრიგში მკითხველები პოეტის ავტოგრაფის მისაღებად.

ეს დღე იმითაც იყო გამორჩეული, რომ ნაყოფიერი შემოქმედებითი მოღვაწეობისთვის, მწერალთა კავშირის გაძლიერების მიზნით, პოეტი გალაკტიონ ტაბიძის სახელობის პრემიითა და მედლით დაჯილდოვდა. თუმცა, ნამდვილი შემოქმედისთვის არ არსებობს იმაზე მეტი ჯილდო და დაფასება, ვიდრე მკითხველის გულწრფელი სიყვარულია.

მართლაც, „გულიდან წამოსული გრძნობა გადამდებია და მკითხველის გულს იპყრობს“ (ლ. ბედოშვილი). იმ საღამოდან მიღებული შთაბეჭდილებები და გამოწვეული ემოციები დღესაც გაჰყვა პოეტის ერთგულ მკითხველს შემდეგ დღეებშიც.

პაოლო იაშვილს დავესხები და ასე გაავრცელებ სათქმელს:

არ არი ტანჯვა უფრო უზარმაზარი, როგორც პოეტის შთაგონებით დასწეულა...

ვფიქრობ, სწორედ ამ შთაგონებით არის „დასწეულებული“ პოეტი ჯუბა ლებელი, რომლის ყველა სიტყვა, სტრიქონი, ლექსი ისე ზრფავს და გულიდან ამოსული, როგორც თავად ამ კრებულის სათაური.

„მიყვარხარ, ადამიანო!“ – ეს მხოლოდ ლექსი ან ლამაზი სათაური არ არის. ეს არის ერთგვარი გადმოძახილი დღევანდელი მსოფლიოს, დღევანდელ ადამიანთან, საზოგადოებასთან. ამით არის ის კიდევ უფრო მნიშვნელოვანი და აქტუალური!.. და თუ დღეს მკითხველს სურს, იგრძნოს კარგი ნიგნის სურნელი, მამულის სიყვარული, იგრძნოს ქალისადმი ჭეშმარიტი გრძნობა, მოყვასისა და, ზოგადად, ადამიანის სიყვარული, ეს ნიგნი გახდება მისთვის საუკეთესო გზამკვლევი და თანამგზავრი.

როგორც ერეკლე სალიანმა კრებულის პრეზენტაციაზე აღნიშნა –


„ჯუბა წერს ისე, როგორც ფიქრობს და ამ ნაფიქრს ხორცს ასხამს ისე, როგორც წერს. იშვიათია ასე პარალელურად ვითარდებოდეს პოეტი“ –

ასეცაა. საკმარისია მხოლოდ კრებულის სარჩევს გადახედო, მიხვდები, რომ თანამედროვეობითა და თემატურით სიზუსტითაა განყოფილი სხვადასხვა დროის, სხვადასხვა კრებულში შეტანილი ლექსები. ეს მკითხველისთვის უკვე კარგად ცნობილი საყვარელი კრებულებია: „შემოღამდათ პოეტებს გზაში“,

„ლანდების ლხინი“. „შენ ხარ და კმარა“, „სიტყვის სასაფლაოზე“ და სხვ.

აქვე, ცალკეულ თავებზე, თემატურად დასათაურებული ეპიზოდები მიიპყრობს მკითხველის თვალს:

- „სამშობლო გულით დაგვაქვს პოეტებს“
- „დარჩა სოფელში ჩემი ბავშვობა“
- „ესპანური ციკლი“
- „ნეტავ ეს გზები საით მიდიან?“
- „არ იქნება ადამიანი, აღარ ყოვლებს სამყაროს ღმერთი!..“ (ლოცვად თქმული ლექსები)
- „ნაწიკვებით და მორჩა“
- მიძღვნა (ცნობილი პიროვნებებისადმი, მეგობრებისადმი მიძღვნილი ლექსები)



ბოლოქმები...(მეგობრების, ცნობილი პიროვნებების ჩანაწერები, რიგითი მკითხველების აზრი პოეტზე, რაც, ალბათ, მეტად მნიშვნელოვანია ყველა შემოქმედისთვის).

ერთი შეხედვით, მხოლოდ ამ ჩამონათვალითაც ადვილი აღსაქმელია აზრობრივად საით მიდის ავტორის ფიქრი, მისი სათქმელი. სად იწყება და საით ვითარდება პოეტის განწყობა. ეს ერთგვარი „შემოქმედებითი ნესრიგი“ უკვე გასაღებია, კომპასია ნიგნის პოეტურ თავგადასავალში. ამ თავგადასავალში კი, მთავარი ადამიანია, ადამიანი მთელი თავისი არსებით, არსებობით, სიხარულით, ტკივილითა და დარდით, ზოგადად, ცხოვრებით. ეს ცხოვრება კი სწორედ პოეტის რჩეულ ლექსებშია გატანილი, დავესხები თავად პოეტს და, ვიტყვოდი ასე – **„დიდ ლექსებში“**.

ალბათ, მიმიხვდება მკითხველი: არ არსებობს დიდი და პატარა ლექსები, ისევე, როგორც დიდი და პატარა როლები, აქ ლექსის სხვა, მხატვრულ ღირებულებებზეა საუბარი (თუმცა აქ, ამ წერილის მიზანი არ არის ვი-საუბროთ პოეტის სტილზე, არც პოეტურის სახე-სიმბოლოების, ან პოეტური ლიცენციებისა თუ ალუზიების გაშიფვრას ვაპირებთ. ერთი ისედაც უდავოა, ვინც იცნობს პოეტს, საქმე გვაქვს ნამდვილ, ეროვნულ, ქართულ ხელწერასთან).

და მაინც, როგორია ეს ლექსები?! – ეს ლექსები თავად პოეტს ჰგვანან თანადად სიზაქიზით, სინერგულით, პოეტურობით, პრობლემატიკითა და ნამდვილობით. აქვე ჩნდება ფიქრი – მეტი რაღა პოეზია?!

„რაც კი შეუქმნიათ დიდებულ მგოსანთ, დიდებულ მწერალთ აქვთ საერთო ხასიათი – თავდადება, შეუდრეკელობა, სიმტკიცე იმაში, რა აზრითაც გამსჭვალულან, რა გრძნობასაც შეუპყრია იმათი არსება. ისინი ერთსა და იმავე დროს თვალბილწულნიც არიან და ბრმანიც. ამ პატარა არსებას – ადამიანს, თითქოს მთელი ბუნება თავის ვინაობაში მოუთავსებია... ნამდვილად ასეა, დიდება და სახელი მწერალს, რომ ეს შეუნიშნავს,“ – წერს ვაჟა-ფშაველა თავის პუბლიცისტურ წერილში „სად არის პოეზია“.

ჩემი აზრით, სწორედ აქ გრძელდება ჯუბა ლებელის პოეტური ხაზი კლასიკურ მეტყველებასთან, აქ იკვეთება და ვითარდება პოეზიისა და პოეტის მისია თანამედროვე პოეტის შემოქმედებაში. მას ადამიანის ბუნება მთელი თავისი სიკვარით თავის თავში მოუთავსებია. ამიტომაც, ასე უშუალოდ და ლაღად მიმართავს ადამიანს:

შენც ჩემნაირი, დავისა ხარ, სამყაროს გრძივ და განედზე, დავებზე მე შენ მისამართს, სოკრატესავით დავებზე.

არც განდიდებულს, არც გლახაკს, და არც მდიდარს და ბოგანოს, ადამიანო, სადა ხარ, მითხარი, როგორ მოგაგნო?! („ადამიანო, მჭირდები“)

პოეტს ნამდვილი ადამიანი უყვარს, უყვარს ის თავისი ცოდვითა და სინიშნით, კაცური, ადამიანური ბუნებით. ამიტომ არც არაფერი უკვირს ადამიანური: წყენა, შუღლი, ტკივილი, სიხარული, სიყვარული, ღალატი და ერთგულება, იმედი, უიმედობა. პოეტის ფიქრი, სწრაფვა, ხედვა, ზრუნვა, სიყვარული, კიდევ და კიდევ გავიმეორებ, თანამედროვე ადამიანს ეკუთვნის, ადამიანური საწყისიდან მოდის და სწორედ რომ პოეზიის სამრეკლომდე ადის მისი სიმაღლე.

როგორც თავად ერთი კრებულის წინასიტყვეობაში წერს, მისი ლექსები „ადამიანთა ყოფისფერია“. რა შესაშურია მისი გულწრფელობა:

ვისა აქვს ვალი მოხილი, ვინ ვაქო, გავადიადო?! უცოდველიც და ცოდველიც მიყვარხარ, ადამიანო! („მიყვარხარ, ადამიანო!“)

პიროვნების, ადამიანის შემდეგაა თვითონ პოეტიც. როგორც ზემოთ აღვნიშნე, პირველ რიგში, ის საკუთარ თავს, როგორც შემოქმედს, სთხოვს ადამიანურ პასუხისმგებლობას, მოქალაქეობრივ ვალს. ბიბლიის მიხედვით, ხომ ყოველგვარი ნიჭი სულიწმინდის მადლია. ნიჭი კი, სულის გამოვლინებაა სასიკეთოდ (პავლე მოციქული). ეს ყველაზე კარგად პოეტმა იცის:

მხოლოდ პოეტს სტკივა გული, ლალს და მაინც დარდიანს, პოეტები სიყვარულის ჯადოქრები არიან... პოეტს, მხოლოდ პოეტს ესმის, მამულს როგორ უშველოს, მინაზე დგას, თუმცა ზეცის, მხედარია უბელო. („პოეტები“)

როგორც ყველა ჭეშმარიტი პოეტისთვის, ჯუბა ლებელისთვისაც, მთავარი მაინც სამშობლოა, მისი სიყვარულია. ის მის გულში, მის პოეზიაში უპირველეს ადგილს იკავებს, ამიტომ მისი სამსახური, თითოეული სასიკეთო ქმედება, მოძრაობა, სუნთქვა მას უკავშირდება.

ასე ცვლიან სულში გატარებული ფიქრები ერთმანეთს. პოეტი სიტყვებსაც ეფერება თითქოს: ყველა ადამიანს ხომ თავისი ჯვარი აქვს საზიდი. პოეტისთვის კი ყველაზე მძიმე „ჯვარი და გოლგოთა“ ლექსებია, რომლებსაც თუ გულით არ გაცემ, არ დაიხარჯები, ისე ვერ ზიდავ, ისე ვერ მიიტან ადამიანთა გულგებამდე.

მისი ლექსები, თანამედროვე ადამიანებს ჰგვანან თავიანთი ემოციებით, განცდებითა და საფიქრალით. აქო უთქვამს კიდევ პოეტისთვის ერთ მეგობარს: „ადამიანებს ჰგვანან შენი ლექსები“.

ჩვენი დროის უდიდესი შემოქმედი **გოდერძი ჩხეიძე** „ადამიანთა სევდამი“ წერს:

„არა, არა! ნამდვილად რაღაც არის ჩემს თავს. ადამიანებს ისე აღარ ვუყურებ, როგორც ამ სამი წლის წინათ ვუყურებდი. ახლა ყველა ადამიანი მოთხრობა მგონია და ყოველ მათგანს სათაურს ვუძებნი. აი, სადმე რომ შემხვდე და ლაპარაკი დამიწყო, იმ წუთში წარმოვიდგენ, რომ მოთხრობა ხარ და სათაურს მოგიძებნი“...

ასეთი ორიგინალური, თან პარალელური აზროვნება სწორედ რომ ნამდვილ შემოქმედთ ახასიათებს: გოდერძი ჩხეიძეთან ადამიანები მოთხრობებზე დადიან, ჯუბა ლებელთან კი კარგი ლექსები ადამიანთა დარად ტირიან და უფლის ნიაღში მიდიან.

სწორედ ასეთი ლექსებია კრებულის იმ ნაწილში, გულგრილად რომ ვერცერთს ვერ ნაიკითხავ: „ადამიანი ის არის“, „ადამიანო, ელოდე“, „სადღეგრძელო“, „ლოცვა“, „ენა ქართული“, „მწვერვალზე ასვლა მითხარი, თორემ“, „ფერეიდანში უნდა ნავიდე“, „მეგრულ-სვანური“, „დიდი ლექსები“, „ცუდი კაცი ვარ...“ ძველი და ახალი პერიოდის ლექსები: „მამატიეთ“, „ფერისცვალება“, „ხვარამზე“ და კიდევ მრავალი სხვა.

ამ ლექსებს მოსდევს ყველაზე ლირიკული, ჰარმონიული პოეზია – „შენ ხარ ჩემი თოვლისფერი თეთნულდი“, „შენ ხარ და კმარა“, „რომ მიყვარხარ, ხომ არ დაგავიწყდა“, „ტიბაანი, ხიროსა“, „ვიცი, რომ გინავთ“,

„სონეტი სიყვარულს“, „საიდან გაჩნდი სიყვარულო“, „ნაწლენ დღეები უამინდონი“...

და ასე ნელ-ნელა იშლება მკითხველის წინ ზეცის ფერები, სიყვარულის ფერები, მერე მოდის მონატრება, განწყობა – „პოეტის სიმშვიდე ვინ თქვა“, თეთრი, უმთვარო ღამეები, თვალები – „ზღვის ზურმუხტი ზოლები“, „მზის სხივთა გამები“... სიყვარულის ალერგორია..

აქ მის ლექსებს უკვე ქალის სურნელი ასდის, ქალის თმებივით იშლება ქარში და ბობოქრობს. ეს არის სიყვარულის ზღაპარი, სიყვარულის ნიგნი, რომელსაც მკითხველი **„შენ ხარ და კმარა“** სახელით იცნობს. ჩემი აზრით, ეს კრებულის ყველაზე რომანტიული ნაწილია, ყველაზე ემოციური მკითხველისთვის. ალბათ, რაოდენობრივად ყველაზე მეტი ლექსი, მეტი სტრიქონი სამშობლოს შემდეგ სწორედ სიყვარულზეა შექმნილი. აქ მისი ლექსი ყველაზე სადა, დახვეწილი, ლამაზი, ლირიკული, სევდიანი, ბედნიერი, სიტყვაკაზმული, სიმბოლური, მეტაფორული, ზოგჯერ იგავურიც და მაინც გულწრფელი, ძალიან გულწრფელია. თავადაც ასე აფასებს:

„სულივითაა სიყვარული, გგონია, რომ მსუბუქია და დაფრინავს, არადა ის იმდენად დიდი და ტვეადია, შეიძლება სამყარო გადაწოს...“

ვფიქრობ და ალბათ დამეთანხმება ბევრი მკითხველი, სამყაროს თუ არა, გულს ნამდვილად ააფორიაქებს ეს ლექსები.

ნამდვილმა მკითხველმა იცის ალალი სიტყვის ფასი. საკუთარ მინა-წყალზე უზომოდ შეყვარებულ პოეტში ის მაინც იმ უბრალო ლელთ ღუნისა ხედავს, რომელიც მუდმივად „თვალყურმადევარი“ თავისი ქვეყნის ქირ-ვარამისა, ესმის მისი სატკივარი, წუხს და ფიქრობს, როგორ უშველოს:

ლელთ ღუნია ვარ ჩემი მამულის, მესმის მწუხარე მინის გოდება, მაქვს შანთით მკერდზე ამოქარგული „ენა, მამული, სარწმუნოება“.

(„ლელთ ღუნია ვარ ჩემი მამულის“)

საქართველო პოეტის ლექსში „ღვთისმშობლის ნიღბდომილი, ბიბლიაზე საფიცარი“, „დედამინის ნატვრისთვლი“, „ათას ჭირთა გადამტანი“, „ნახმლევი და ნატყვიარია“. სამშობლო ის უმანკო ბავშვია, რომელსაც განსაკუთრებული მოფრთხილება სჭირდება, ამიტომაც, რომ პოეტი მუდმივად მის მავის-ციმას უსმენს.

პოეტს უყვარს საქართველო, მისი ყველა კუთხე, ქალაქი, მთა თუ ხარი, აქ მთები დევნა, მდინარეები – ცრემლები, უყვარს ქვეყნის ისტორია, გმირები, იაკობი თუ რუსთაველი... რა სათუთი და საგულისხმოა მისი ნატვრა: „ნეტა რუსთაველის თეთრ საფლავთან, ერთი ღამე მაინც მეთია“ („ასე უკვე ბოდნენ სამშობლოს“). მისთვის სამშობლო „მარადიული დროთა დიდგარია“, მისთვის უნდა ყველაფერი, რაც აქვს და გააჩნია, ამიტომ ხშირად გულს უკლავს „ჟამთა სიმუხთლენ“ და „დღეების უსარგებლო ტრიალი“, როცა ქართველს ქართველის აღარ ესმის, ქართველი ქართველს ღალატობს. არადა, ზუსტად იცის: „ქართველისათვის ქართველი, ტაძარია და ციხეა“. გაფრთხილებასავით მოდის მისი ლექსადექვეული კითხვები, კიდევ და კიდევ ქართველთა გამოსაფხიზლებლად.

ამ ნაწილს შევაჯამებ ნიგნის რედაქტორის, პოეტ მზია ხეთაგურის სიტყვებით: „მშობლიური კუთხიდან, რაჭიდან დანახული სამშობლო პოეტის სულში მთელს სამყაროს მოიცავს და ახლებური განცდით შეგახსენებს ამ ისტორიულად მნიშვნელოვანსა და ულამაზეს კუთხეს“.

პოეტის ყველაზე ტკბილი მოგონებები მშობლიურ მხარეს ეკუთვნის. განცდა მშობლიური მინის, წინაპრების მოძახილი, ლექსში გათენებული ღამეები ჩანს ამ ლექსებში: „ღები“, „სოფლის მონატრება“, „თიბვა“, „ჩემი ბავშვობა“, „წვიმს რაჭის მთებში“, „ამაღამ ღებში უნდა ნავიდე“... რას არ ისწავლი და დაინახავ აქ: საფლავ-საძვალეთა პატივისცემას, ჭიუხების მონატრებას, ნასახლარების სევდას. აქ არის მისი „ოდისეაც და გილგამეშიც“, აქ არის მისი „გულზე ცრემლად დადენილი“ სამშობლოც...

დიახ, **„მიყვარხარ, ადამიანო!“** – ეს სიტყვები დღეს ერთმანეთამდე მისასვლელი გზებია!.. და ეს სიტყვები ყველაზე მეტად გამოხატავს ჯუბა ლებელის ნიგნის პოეტურ ღირსებას.

ლია მამულაშვილი

▶▶ ბაბრძილა. ღასაწყისი "ლს", № 4

შალვა საბაშვილი

ნერის გალალი კულბურისათვის

33. ნათესაობითი ბრუნვის მცდარი ფორმა გვარებთან.

მსგავსე სიტუაციას შეეხებ ერთ-ერთი სხვა ტიპის შეცდომის განხილვისას. ასე რომ, პირდაპირ ნიმუშს მოვიტან: „სინამდვილეში არავინ იცის ბზეინსკმა მართალი თქვა თუ არა, აშშ-ს მსოფლიო ბატონობას ხელს რუსეთის მართლმადიდებელი ეკლესია უშლისო“. უნდა იყოს „ბზეინსკი“ და არა „ბზეინსკმა“. უმეტეს ავტორებს ესმით, რომ ფუძისეული ხმოვანი გვარში არ უნდა „შეკვეციოთ“. მაგალითად, მოჭადრაკე სპასკის მიმართ არსად შემხვედრია „სპასკმა პარტია წააგო“. მაგრამ ალაგ-ალაგ მაინც ცდებიან. ცხადია, აქ მნიშვნელოვანია იმის ცოდნა, თუ როგორია გვარის დაწერილობა „დენის“ ენაზე. მაგალითად, გვარები გორკი და პუშკინი „ი“-ზე ბოლოვდებიან, მაგრამ ეს მხოლოდ ქართულშია, რუსულ დაწერილობაში კი ეს ასო, თანაც წყვილად, მხოლოდ გორკისთან ფიქსირდება. ამიტომ გვაქვს მოთხრობით ბრუნვაში „გორკიმ“ და „პუშკინმა“. ერთნაირადაა მიუღებელი როგორც „გორკმა“, ისე „პუშკინიმ“.

34. მრავლობითი რიცხვის მცდარი ფორმა „ე“-ზე დაბოლოებული სიტყვებისთვის. ეს შეცდომა ძლიერ გავრცელებულია. ნიმუში: „კათოლიკები და მართლმადიდებლები ხშირად სულიერ ძმებად ითვლებიან“. გასაკვირი კია. თუკი „დე“, „ტყე“, „ხე“ და ა.შ. მრავლობითი არავის გადაჰყავს „დელები“, „ტყელები“, „ხელები“ სახით, რატომღა ჩნდება „კათოლიკები“? სწორი ეს ფორმა მაშინ იქნებოდა, მხოლოდით რიცხვში რომ „კათოლიკი“ იყოს. მაგრამ კანონიკურია „კათოლიკე“. ამიტომ მრავლობითი მეორე „ე“ უნდა გაჩნდეს და მივიღოთ ფორმა „კათოლიკეები“. ეს ეხება „ე“-თი დაბოლოებულ ყველა სიტყვას. მათ შორისაა ყვავილი „კესანე“-ც, მაგრამ რამდენ პოეტთან შემხვედრია „კესანეები“! რატომ? რა აცდუნებთ? უცხო ბგერითი თუ შინაარსობრივი ჟღერადობა? განა „ბეგრ მორიგეს“ ვინმე აღნიშნავს სიტყვით „მორიგები“? ვინმე ვერ ხვდება, რომ „სახინკლე“, „სამწვადე“, „ლობე“, „მახე“ და ა.შ. მრავლობითი იქნება „სახინკლეები“, „სამწვადეები“, „ლობეები“, „მახეები“ და არა „სახინკლები“, „სამწვადეები“, „ლობები“, „მახები“? მაშ „კათოლიკე“-სა და „კესანე“-სთან რა მოსდით?

და ერთიც: თუ ორი არსებითი სახელი ერთმანეთისაგან მხოლოდ ბოლო ასოთი განსხვავდება, ამ სახელთა მრავლობითი რიცხვის ფორმები კი ურთიერთგანსხვავებულია (ნიმუში: „არე“ – „არეები“ და „არი“ (ფართობია!) – „არები“), ისინი კიდევაც უნდა განვასხვავოთ წერისას. წინააღმდეგ შემთხვევაში (მაგალითად, თუ „არე“-ს მრავლობით რიცხვს ჩავენერო „არები“-ს სახით), ვეღარც აღვადგენთ, რომელ არსებით სახელთან გვაქვს საქმე. ეს დამატებითი არგუმენტი სწორად წერის სასარგებლოდ. სხვა საქმეა, თუ მრავლობითი რიცხვის ფორმები ორ არსებით სახელს ერთნაირი აქვთ (ვთქვათ: „ქალა“ – „ქალები“ და „ქალი“ – „ქალები“). ასეთ შემთხვევაში უკვე მხოლოდ ტექსტის დახმარებითაა თუ შევძლებთ დავადგინოთ, რომელი არსებითი სახელის მრავლობით რიცხვზეა საუბარი.

35. ზმნა „იკავება“-ს ხმარება შეუსაბამო მნიშვნელობით. ეს ძალიან სახიერი ნიმუშია იმისა, რომ ზოგჯერ გარკვეული წრეები (სამწერლობო, სამთავრობო, ჟურნალისტური თუ სხვ.) რატომღაც იწყებენ რომელიმე სიტყვის ახლებური ფორმის ხმარებას, ამასთან ძლიერი დაჟინებით და შესაშური მეთოდურებით, ისე, რომ სულაც არ ცდილობენ რაიმე დასაბუთება მოუძებნონ თავიანთ ქმედებას. ვინ არიან ისინი, არავინ იცის, ამიტომ მათ ვერც კამათს დაუწყებ, ვერც გადაჯერებას, ვერც წინააღმდეგობას გაუწვენ (არ ვიცით, თუ სად და როდის იხმარენ ამ ახლებურ ფორმას). მახსოვს, იყო სახელმწიფოს სახელწოდება „ჩილი“, დიდხანს და თითქოს სამუდამოდ, მაგრამ ერთბაშად გახდა „ჩილე“, რაც ენის მოსატეხს ჰგავს. იყო ტერორისტი ბენ ლადენი, მოულოდნელად კი გახდა ბინ ლადენი. იყო პირენეის ნახევარკუნძული, ერთბაშად კი პირინეიდ გადაიქცა (თუმცა ძველ ფორმას აქა-იქ კიდევ ეხვდები ხანდახან). ათეულწლობით დამკვიდრებული „რეგბი“, „რაგბიდ“ გადაკეთდა. კაცმა რომ თქვას, ეს მაინც ძირითადად კერძო, ლამის საკუთარი სახელება და მოყვანილი სწორბანი შეიძლება რაღაც ენობრივ კანონზომიერებებს ემყარებოდეს, მაგალითად, მათ დაწერილობას მათთვის „მშობლიურ გარემოში“. მაგრამ ზოგჯერ შემოაქვთ სწორბანი, რომლებიც თვით ენის სტრუქტურას ეწინააღმდეგებიან. მაგალითად, საყოველთაოდ გავრცელებული „აითვისა“ „გაითვისა“-თი შეცვალეს. ან შეიძლება ეს „ახალი“ ზმნა და „ათვისებასთან“ არცაა კავშირში, მაგრამ ის რომ ადრე არ არსებობ-

და და მოულოდნელად, ერთბაშად გამოჩნდა, ეს კარგად მახსოვს. მაგრამ რა არის „გაითვისა“? „ათვისად აქცია“? მაგრამ ამის გამოსახატავად ხომ „მიითვისა“ ვიზია? „ჩვენ კარგად უნდა გავითვისოთ“, წერენ და გულისხმობენ, რომ რაღაც ფენომენი ღრმად უნდა შევიცნოთ, დავიჯეროთ, შევიგრძნოთ, „ჩვენად (თავისად) ვაქციოთ“. „აითვისა“ ითქმის გაკვეთილის შინაარსის (ინფინიტივი – „ათვისება“), ასევე ყამირი მინების სამეურნეო მიმოქცევაში შემოყვანის შესახებ. აქ იქნებ „ათვისი“ ან „თვისი“ არც არაფერ შუაშია და „ათვისებას“ თავისთავად, დაუნაწევრებლად უნდა მივაკუთვნოთ ზემოხსენებული მნიშვნელობანი („შეისწავლა“ – გაკვეთილის მიმართ და „სასოფლო-სამეურნეო დანიშნულება შესძინა“ – ნასვენეი მინების მიმართ). ასეა თუ ისე, „აითვისა“-ს ეგებ არც ემუქრებიან და ვერც გამოდგენიან ენიდან, მაგრამ მაშინ „გაითვისა“-ს რა დანიშნულება აქვს და საიდან და რისთვის, რის აღსანიშნად შემოიღეს? იმის გამოსახატავად, რომ რაღაც ფენომენი ან ჭეშმარიტება ღრმად უნდა ვირწმუნოთ? მაგრამ ხომ არის ამისთვის სიტყვები: „გვეჯეროდეს“, „ვინამოთ“, „გვენამდეს“, „შევიგრძნოთ“ და ა.შ.? „გაითვისება“ კი ძალიან ხელოვნური სიტყვა მგონია, თუმცა მისი დამკვიდრების უცნობი მოწადინებები ალბათ მასში რაღაც მაგიურ მომხიბვლელობას ხედავენ („უსიტყვოდ ვაღიაროთ“, „ეჭვი არ მივაკაროთ“, „ჭეშმარიტებად შევრაცხოთ“, „შევისისხლხორცოთ“, „ჩვენად ვივლოთ“ და ა.შ.). „გაითვისება“-ს მსგავსე სიტყვათა შემოღებაც ენაზე შედარებით ნაკლებ, მაგრამ მაინც აშკარა ძალდატანებად მეჩვენება.

მესამე საფეხური კი უკვე „გადატრიალები“, ენის შინაგანი არსის თუნდაც მის ერთ მცირე უბანზე ხელყოფის მცდელობაა. ბოლოს და ბოლოს, ზმნის უღლების ფორმათა სრული ცხრილები არსებობს (ან, თუ არ გვაქვს, საჭიროა შედგეს), და ისინი ენის პრაქტიკულად სიცოცხლისუნარიან ფორმათა თავმოყრა და არა ვინმეს პირად გემოვნებასთან შესაბამეული ჩამონათვალი. და როგორ შეიძლება აქ ვინმემ რაიმე შეცვალოს? არადა, ვიღაც თითქოსდა სწორედ ამას ცდილობს. ეს ვიღაც შეიძლება ცალკეული პირი იყოს, ან მთელი დაწესებულება, ან მოსახლეობის რაღაც ფენა. ნათქვამის დასაბუთებას ზემომოხმობილი ზმნა „დაკავების“ მაგალითზე ვეცდები, მაგრამ ჯერ ვიკითხავ: შეიძლება კი ვინმეს აზრად მოუვიდეს, რომ ნაცვლად „ბურთი გორავ“ და „-სი თქვას: „ბურთი გორდებოდა“, „ბურთი გორდება“-თი კი გამოხატოს ის აზრი, რასაც აქამდე ვეძღვით წინააღმდეგობა: „ბურთი გორავ“? ყველა მიბასუხებს, რომ ეს არ შეიძლება: „გორდება“ ნიშნავს, რომ მხოლოდ პროცესის დასაწყისში ვართ: ბურთმა დაკარგა წონასწორობა და მალე დაიწყებს გორვას, „გორავს“ კი უკვე სტაბილურად მიმდინარე მოძრაობის გამომსახველია. გრამატიკოსი გვეტყოდა, რომ ზმნის სამი გვარი არსებობს: მოქმედებითი (ის მას „აგორებს“), ვნებითი (ის თვითონ იწყებს დაგორებას, ანუ „გორდება“) და საშუალო (უკვე „გორავს“). ცნებათა კლასიფიცირება სხვადასხვა გზით შეგვიძლია ვცადოთ, მაგრამ მთავარი ისაა, არ დავამახინჯოთ გრამატიკულ ფორმათა ნამდვილი არს!

მოყვანილ ნიმუშთა ანალოგიით, პოსტს „იკავება“ ნიშნავს იმას, რომ ვიღაც იყო რაიმე თანამდებობის დაკავების პროცესის დასაწყისში (ვთქვათ: მომნიშვნელოვანი გახლდათ აზრი ამ თანამდებობაზე მისი დანიშნვის შესახებ, და წინ მხოლოდ ფორმალური პროცედურული საფეხურებია რჩებოდა გასაწვლელი). მაგრამ თუ ის უკვე მუშაობდა ამ თანამდებობაზე სათანადო ბრძანების საფუძველზე ერთი თვის, წლის თუ მთელი ათწლეულის განმავლობაში, მაშინ უკვე ვეღარ ვიტყვით, რომ ის „იკავება თანამდებობას“ – უნდა ვთქვათ, რომ ის მუშაობდა ამ თანამდებობაზე ანუ მას „ეკავა ეს თანამდებობა“. ეს უბრალო, ცხადი, უეჭველი, შეუდავებელი, ყოველგვარ ბუნდოვანებას მოკლებული, მარტივი (მათემატიკოსი იტყოდა – ტრივიალური) ჭეშმარიტებაა. მაგრამ უკვე რამდენიმე წელია ვამჩნევ (უფრო სწორად, პრესის მრავალი ორგანო თვალნათლივ ადასტურებს), რომ რაღაც წრეები თავს ისე იჭერენ, თითქოს ეს ჭეშმარიტება საერთოდ არასოდეს ბუნებაში არ არსებულა და არც ახლა არსებობს, ამიტომ „იკავება“ უნდა ვუნდოდოთ იმას, რასაც ადრე გამოვხატავდით სიტყვით „ეკავა“. ეს იგივეა, რომ „სწყუროდა“-ს მაგიერ „სწყურდებოდა“ ვიხმაროთ, „სჯეროდა“-ს ნაცვლად „იჯერებდა“, „უყვარდა“-ს ნაცვლად „უყვარდებოდა“ (თანდართან) და ა.შ. დაუჯერებელია, მაგრამ ასეა. იმათ, ვინც მსგავსე შეუსაბამო ფორმებს ხმარობს, ალბათ ჰგონიათ, რომ უკვე გადააკეთეს ენა და ამიერიდან უნდა დავწეროთ, რომ უკვე მაგალითად, სტალინის დედამიწის მეექვსედის მმართველი ძველამოსილი პარტიის გენერალური მდივნის პოსტი სამ ათეულ წელს კი არ „ეკავა“, არამედ მთელი ამ კოლოსალური დროის განმავლობაში მხოლოდ და მხოლოდ ცდილობდა მის დაკავებას ანუ თანდათანობით „იკავება“ მას, ხოლო დაიკავა თუ არა იგი როდისმე, ეს თითქოსდა ჯერაც არ ვიცით.

მსჯელობა გამიგრძელდა, მაგრამ არსი თავიდანვე მიწოდდა გამომეკეთა. ახლა კი კონკრეტული მაგალითებით

ვაჩვენებ, რომ არაფერს ვაჭარბებ.

ა) „1938 წლამდე ეს უკანასკნელი პარტიული მდივნის თანამდებობას იკავებდა“.

აქ სრულიად აშკარაა, რომ 1938 წელს ნაგულისხმევი პირის ცხოვრებაში რაღაც შეცვლილა, ყოველ შემთხვევაში ახლა ის პარტიული მდივანი აღარაა. ამიტომ ყოველგვარი „იკავება“ (პოსტის დასაკუთრების მცდელობის აზრით) უადგილოა. ის მითითებულ, სავარაუდოდ საკმაოდ ხანგრძლივ პერიოდში, უკვე მუშაობდა ამ პოსტზე. ამიტომ უნდა ეწეროს: „1938 წლამდე ამ უკანასკნელს პარტიული მდივნის თანამდებობა ეკავა“.

ბ) „ჯო ბაიდენი ბარაკ ობამას პრეზიდენტობისას ვიცე პრეზიდენტის თანამდებობას იკავებდა“. აქაც სრულიად „ცალსახა“ ანუ ერთმნიშვნელოვანია, რომ თანამდებობის ხელში ჩაგდებისთვის ბრძოლაზე მინიმუმაც კი არაა: ორივე პიროვნება ერთდროულად განსაზღვრულ თანამდებობებზე მუშაობდნენ: ბარაკ ობამა პრეზიდენტი იყო, ჯო ბაიდენი კი ვიცე-პრეზიდენტი. ანუ წინადადების სწორი ფორმაა: „ჯო ბაიდენს ბარაკ ობამას პრეზიდენტობისას ვიცე პრეზიდენტის თანამდებობა ეკავა“.

გ) „წელს 30 წელი შესრულდება, რაც ამ მაღალ თანამდებობას ვიკავებ“. სრულიად აშკარაა, რომ „ვიკავებ“ რუსული „занимаю“-ს არასწორი თარგმანია. ეს ფორმა სწორი იქნებოდა მხოლოდ „ხვალედან ამ მაღალ თანამდებობას ვიკავებ“ ტიპის წინადადებებში. ზოგადად, კანონიერია როგორც „მიკავია“, ისე „ვიკავებ“, ოღონდ რუსულად ამათი შესატყვისებია „занимаю должность“ და „вступаю на должность“. აქედან პირველი ახასიათებს პოსტის მყარად ფლობის პერიოდს, მეორე კი თანამდებობის დაკავების მომენტს, და ისინი მხოლოდ თავ-თავის ადგილებზე უნდა გამოვიყენოთ. ვფიქრობ, გაუგებრობა და ქართულ ტერმინთა აღრევა სწორედ რუსული ენის უადგილო მიზაძვამ გამოიწვია. რუსული ზმნის უღლების ფორმათა სპექტრი გაცილებით ვიწროა, ვიდრე ქართული ზმნისა, ამიტომ მასზე სწორების ალბა გაუმართლებელია. იქ ერთ რომელიმე ფორმას ისეთ განსხვავებულ მდგომარეობათა ასახვა უწევს, რომლებსაც ქართულში ზმნის უღლების რამდენიმე სხვადასხვა ფორმა გამოსახავს. ზემო, სანყის წინადადებაში კი სწორედ თანამდებობის მყარ ფლობაზეა საუბარი, ამიტომ უნდა ეწეროს: „წელს 30 წელი შესრულდება, რაც ეს თანამდებობა მიკავია“. აბა, გაგონილა, რომელიმე პოსტზე გაფორმება 30 წელს გრძელდებოდა? თუ იმაზეა მინიშნება, რომ პერიოდულად ხდება ხოლმე ხელახალი არჩევა, მაშინ „ვიკავებ ხოლმე“ ეწერებოდა, მაგრამ აშკარაა, რომ აქცენტი ამაზე კი არაა, არამედ ესოდენ დიდი თანამდებობის ხანგრძლივად ფლობაზე.

როგორც ჩანს, ნამყოშიც „იკავება“ რუსული „занимал“-ის ანარეკლია, ოღონდ არასწორი – „იკავებდა“-ს რუსულად „вступал на должность“ შესაბამება, „занимал“-ს კი სწორედ „ეკავა“ ასახავს.

დ) „წამყვან პოსტებს ისედაც ნაცები ან პორტირებული ნაცები იკავებენ“. აი აქ კი შესაძლოა მართლაც ანმყოში მიმდინარე უწყვეტი პროცესი იგულისხმებოდეს, ანუ ის, თუ რა ტენდენცია მკვიდრდება და არა საბოლოო, დამკვიდრებული სურათი – უკანასკნელ შემთხვევაში იქნებოდა: „წამყვანი პოსტები ისედაც ნაცებს ან პორტირებულ ნაცებს უკავიათ“. ანუ ამ ნიმუშში შესაძლოა ყველაფერი თავის ადგილზე იყოს.

ე) „პატიმრების რაოდენობით საქართველო ევროპაში მეორე ადგილს იკავებს“. აქაც ზოგადად შეიძლება პროცესი იგულისხმებოდეს (სტატისტიკის სრული შინაარსი აღარ მახსოვს, მარტო ციტატა კი სრული ინფორმაციის აღსადგენად არასაკმარისია). თუ ავტორი ავგინერს იმას, თუ რა პოზიციაზე დგას ქვეყანა (და არა იმას, თუ რომელ ადგილზე გადადის იგი უკანასკნელ ცვლილებათა შედეგად), უნდა ეწეროს „პატიმრების რაოდენობით საქართველოს ევროპაში მეორე ადგილი უკავია“, ან, უბრალოდ: „საქართველო... მეორე ადგილზეა“

ვ) „მიხეილ მიშუსტინი 2010 წლიდან რუსეთის ფედერალური საგადასახადო სამსახურის ხელმძღვანელის პოსტს იკავებდა“. აქაც წარმოუდგენელია 10 წლის განმავლობაში გაგრძელებულიყო პოსტზე ამ პიროვნების დანიშნვის პროცესი, ამიტომ წინადადება მთლიანად უნდა შეიცვალოს: „მიხეილ მიშუსტინს 2010 წლიდან რუსეთის საგადასახადო სამსახურის ხელმძღვანელის პოსტი ეკავა“.

ზ) „ის ამ თანამდებობას 2010 წლის ნოემბრიდან 2013 წლის 15 ნოემბრამდე იკავებდა“. აქაც პირდაპირ ჩანს, რომ აღნიშნულ თანამდებობაზე ამ პირს 3 წელი უმუშავია, ამიტომ არავითარი „იკავებდა“, ანუ „ინყებდა“ – მართებული ფორმა იქნება: „მას ეს თანამდებობა 2010 წლის ნოემბრიდან 2013 წლის 15 ნოემბრამდე ეკავა“.

მსგავსი მაგალითები პრესაში თითქმის ყოველდღიურად მხვდება, ფორმები კი: „უკავია“, „ეკავა“ ბოლო წლებში თითქმის აღარ ჩანს, რაც მეტყველებს მათი „ამოღების“ გამოიწვეულ ხასიათზე. საჭიროა წინ აღვუდგეთ ამ ყოველად გაუმართლებელ ტენდენციას.





ბურანდა ბერიძე

რამდენიმე სტანსა

(მიცვალეულთა მოსახსენებელი)

მისი სახელი
პირველად რომ ეწერა,
წაშალა. მღვდელმა
მიცვალეულთა სიის
ახალი წვერი იცნო...

მხოლოდ მოხუცმა
ინახულა. ის, ვინც ახლა
სიკვდილს ებრძოდა,
მისი მასწავლებელი
იყო ოდესღაც. ფარდა.

სიკვდილმისჯილის ტანკა
მაგიდის ბოლოს

იჯდა. მეორე მხარეს
კი - დედამისი.
მხოლოდ ცრემლი საუბრობდა.
ბადრაგმა გაიყვანა...

ოდესღაც მისი
ცხოვრების ნაპრალები
ჩემსას ძალიან
ჰგავდა. ახლა კი,
ეუწყურებ, სხვა უცხებს მათ...

რომ შემეყვარდა,
ეს ხე იკვირებოდა,
მის სიყვარულზე
ხანგრძლივი კი ფოთლების
მოკლე სიცოცხლე იყო.

მე ახლა უზარმაზარი დურბინდის
წვრილი თვალებით ვიყურები
და მეჩვენება, რომ ახლოს ხარ
(ჰო, ხანდახან მართლაც ძალიან მარტივია
საკუთარი თავის მოტყუება).

მერე თვალებს ნელ-ნელა ვახელებ
და ვხვდები,
რომ ეს ყველაფერი კონცენტრიკული
წრეების ნარმოშობას უფრო ჰგავს,
რომ თითქოს შენ წვეთი მზერა
ისროლე ჩემი სიყვარულის მდინარეში
და ახლა განზე მდგომი უყურებ
წრეების ზრდას.
კონცენტრიკული წრეები კი ჩემი
ოცნებებივით უფრო და უფრო იზრდება,
იზრდება და ბოლოს საერთოდ
ქრება.
მე და შენ ვიცით, რომ მდინარის
ბოლოს დასასრულია.
იქ რეალობაა.

მე იასამნების ხეივნიდან ვარ.
როდესაც აქ პირველად დაგინახე,
მეგონა, ჩემთან ერთად იტირებდი
და როგორც პეტრეს ნიავისა,
ისე შემეშინდა შენი დაკარგვის.
მე იასამნების ხეივნიდან ვარ.
მხოლოდ ჩემი ტოტებია ქარის ხმას
სიმღერად რომ აქცევს
და მაინც,
ამ სიმღერამ ვერცერთ გაზაფხულს
ვერ მოიტანა შენამდე
ჩემი ხილვადი სიყვარული.
მე იასამნების ხეივნიდან ვარ
და როგორც მამალი ციციანთელები
ანათებენ მდებრი
ციციანთელების ყურადღების
მისაპყრობად,
ისე ყოველ გაზაფხულს
შენთვის ვყვავილობ.
მოითქვი სული ჩემს ჩრდილ ქვეშ.

როცა ვინმე ნამდვილად გიყვარს,
გეჩვენება, რომ ცა შედარებით
ახლოსაა და მაინც მარტოსული
ხდები.

საიდან ხსრებს ქარი?

საიდან ჩნდება ქარი?
გვიანი შემოდგომის სუსხიან
რიჟრაჟზე უფრო მეტად ვხედავ
მის შეუბრალებლობას.
მე რომ არა,
სხვა მეეზოვე შეაგროვებდა
მიმოფანტულ ფოთლებს.
აღამიანი თავისი უმნობით
ძალიან ჰგავს ფოთოლს.
აღბათ, ისიც.
მის ნაბიჯებს ფოთლის
სიმსუბუქე ახლავს,
ხოლო მზერას - სევდა.
როცა ქარმა მისი თმა
მომაყარა, მეგონა,
უხილავ სულთა შეხება
ვიგრძენი.
სად მიდის ასე ადრიანად?
იქნებ, ისიც ოცნებით
იყურება ფანჯრიდან
და ღამე ამოიხვრით
ტრიალდება.
მის სულში ისეთივე
სიცარიელე ჩანს,
რომელიც ჩემსას ძალიან
ჰგავს.
ასე ადრიანად სად მიდის,
სად მიდის ყოველ დილით?
როცა ვხედავ, თითქოს
საკუთარ თავს ვეხები,
ხოლო როცა მასზე ვფიქრობ,
მგონია, რომ ყველაფერი
შესაძლებელია..
ცხოვრება ღირს.
მე კი ვოცნებობ, ვიცხოვრო.
და მაინც, მე ისიც კი არ
ვიცი, სად მიდის.
ან იქნებ სახლში ბრუნდება...

ზურა ლოზანიძე

მკვდარი ხარ... როცა მიხვდები,
რაოდენ ყრუა სოფელი...
როდესაც დაღლილს წინ გხვდება
დრო სიტყვის უარყოფელი...

როცა ყველა ცდა, მიზანი
სიცარიელემ ჩაყლაპა...
როცა ჩანვდი და იცანი,
სადაც მზის შუქიც ჩანს
ყალბად...

რატომ ვფიქრობ წარსულზე,
სულ წარსულში რატომ ვარ?..
ვინმეს ნებას ვასრულებ,
აქეთ როდის გადმოვალ?..
ნუთუ ანმყო ვერ ვხედავ,
ნუთუ ანმყო არა მაქვს?..
თავს ვეტყვი და შევებდავ -
ტვირთი შორ-შორს გადამაქვს?!

ფართოდ გაჭრილი პირით
და აკოკრილი მკერდით,
შუბლზე ქერა თმით ხშირით,
თვალებით ქვეშ-ქვეშ მხედრით -
რა გაიზრდები, ჰო, ჰო,
რამდენს გავიგებთ ამბავს...
ჯერ ერთი ციციქა გოგო,
ლურჯ თვალებს როგორ ნაბავ?!

ეგუები? - ვერა...
აჰა, არა გჯერა?..
რა თქმა უნდა - არა,
გზას ვერ ვხედავ ფერადს...
მაშინ შენვე შენთვის



აიშენ სხვა გზა...
შეგინყნარებს ღმერთი
ნაფიქრალს და ნამგზავრს...
დაგანახვებს სრულად,
გულწრფელად და ღიად...
ხან მხდალს, ხანაც გულადს -
სიკვდილი რას ჰქვია...

დამსხვრეულ იმედებს...
ოცნებებს მზიანს...
ეჰ, როგორ მივენდე,
დღეს არის გვიან...
გონება ბურვილი,
თუ გულის ძგერა?..
დავიხრჩვე წყურვილით,
ვერ მივწვდი, ვერა!..

ჩაბნელებული სულის სარკმელი...
გამოკეტილი ყრუდ გულის კარი...
ხვალის დღისაგან ნეტავ რას ველი,
როცა ვარ უტყვი და უჩინარი...

როდემდე ასე ლოდინი უხმოდ -
სულში ნათელი ოდეს იალებს...
ჩემი თავიც კი მიყურებს უცხოდ,
ლაბირინთებში მოხეტიალეს...

მეც ბევრი რამე მემულება
(და კვლავაც შემეშლება)...
ცაც თავზე მიტომ მემულება,
მიტომ არ მემუვლება...

ჭეშმარიტების მიგნებით
ვითომ გავალწე გალმა?..
მკლავს უსაშველო ფიქრები,
მიდევს სასაუბრო-ნაღმად...

ჩემი თავისთვის ვერ მიშველია,
შენ რა გიშველო, ჩემო ქვეყანავ!..
ვინც ბაქიბუქობს ის შიშველია...
ამდენი ჭირი შენ მან შეგყარა...
ცოტა დავწყნარდეთ, გვეყოს ყბედობა...
მიმოვიხედოთ ქვეყნად რა ხდება!..
ჩვენი ფესვები სად რას ეყრდნობა
და მომავალში წინ რა დაგვხვდება!..

რაც ყოფილა, ის იქნება,
არაფერი ახალი?..
ცის თავანი იბინდება -
დრო მძვინვარებს მსახვრალი!..
მგონი ცხადად იკითხება
ბედი დღეის და ხვალის...

საითაც გავიქეცი,
იქ წავიქეცი...
ჰოდა, თავს ვანებებ სირბილს...
უცნაურია -
რა ვიყავ, რად ვიქეცი -
სხნასავით ვუყურებ სიკვდილს...
ისიც მიღმის და
გულით მაიმედებს,
წდობისთვის მაღლობას მიხდის...

კაცობრიობის სევდა-წუხილი,
სადმე ქრება თუ თავს ერთად უყრის?..
ის ხომ არ არის ზეცის ქუხილი -
შუბლშეჭმუხნილი განგების ფიქრი?..
მაინც საიდან და მაინც რატომ,
ეს ამოდენა ტანჯვა-წამება?..
იმედნაშლილნი სულ რატომ ვნატრობთ,
ხმა მივანვდინოთ მაღალ სამებას...

რამდენჯერ უნდა მოვტყუვდეთ,
რამდენჯერ უნდა შევცდეთ!..
რა! აღარ უნდა მოვბრუნდეთ,
კვლავ ძველ შარავზე ვკეცდეთ?!..
ჩემო უტყუო მამულო,
ხვალ ხომ ნათელი დღე ჩანს?..
იმედის სხივად გაბმულო...
მზის შუქი ადგას ჩვენს ცას!..

ჩაძირული ვარ, როგორც კენჭი
ზღვის მღვრიე ფსკერზე...
მღრღნის და მანამებს ჭია ეჭვის
ადამის ხვედრზე...
რატომ და ვისთვის
ეს ამდენი ფიქრი და ტანჯვა...
ისევ იმ ზღვისთვის -
ვინც გვმთავრებს და გზა მაინც არ ჩანს?!

როსა გოვლიო გისენს

ევროპულ რადიოსივრცეში თანდათანობით იკავებს ადგილს მინირადიოსპექტაკლები. ამის დასტურია, რომ რადიოდამცემების თითქმის ყველა საერთაშორისო ფესტივალში ცალკეა გამოყოფილი მცირე ფორმების კატეგორია.

ჩვენც ვცდილობთ, არ ჩამოვრჩეთ მოვლენათა განვითარებას და ბოლო დროს რამდენიმე მინისპექტაკლი დავდგით.

ყველაფერი კი ასე დაიწყო.

2019 წელს, დიდი ბრიტანეთის რადიოდრამის საერთაშორისო ფესტივალზე წარდგენილი გვექონდა რადიოსპექტაკლი – ნუგ ზარ შატაიძის „მოგ ზაურობა აფრიკაში“, რომელმაც მოიპოვა მსმენელთა მონონების პრიზი. მომავალ წელსაც ვაპირებდით მონანილეობის მიღებას, მაგრამ „კოვიდის“ პანდემიის გამო ფესტივალის ვერ შედგა. ფესტივალის სამხატვრო ხელმძღვანელმა, ჯონათან ბანატლავამ რამდენიმე ქვეყნის რადიოთეატრის მესვეურებს მოგვმართა თხოვნით, მომავალ ფესტივალამდე რომ არ ყოფილიყო სიცარიელე, ვებ გვერდზე განსათავსებლად, ონლაინ რეჟიმში შეგვექმნა 7-წუთიანი მინისპექტაკლები.

ამ პერიოდში ვმუშაობდით მამუკა მალულარიას პიესაზე, ცნობილი როკ მომღერლის, ჯენის ჯოპლინის თემაზე, რომლის დამთავრებაც კოვიდის გამო ვერ შევძელით. მე, გამიჩნდა იდეა, რომ ამ მასალაზე

დაყრდნობით შეგვექმნა მინისპექტაკლი და ახალი ტექსტები ჩავგვეწერა ტელეფონით. მსახიობმა გივი ჩუგუაშვილმა და ხმის რეჟისორმა ბაკო ხვიჩიამ ეს იდეა წარმატებით განახორციელეს და მივიღეთ საინტერესო სპექტაკლი, რომელიც ფესტივალის ორგანიზატორებმა განათავსეს თავიანთ ვებ გვერდზე და მას სხვა შეიდ სპექტაკლთან ერთად ახლაც ნახულობენ და ისმენენ რადიოდრამის მოყვარულები.

ჩვენმა, კიდევ ერთმა მინისპექტაკლმა „გვეჭრდება თუ არა შექსპირი“, ამავე ფესტივალზე კვლავ მოიპოვა მსმენელთა მონონების პრიზი. ამ დადგმაში, შექსპირის 66-ე სონეტი, ბრწყინვალედ წაიკითხა გამოჩენილმა მსახიობმა თენგიზ არჩვაძემ. ის მაშინ 89 წლის იყო და, ვინაიდან მოძრაობა უჭირდა, ჩვენი მეგობრის, ვანიკო ჯაფარიძის დახმარებით ჩავწერეთ სახლში. ეს ჩანაწერი შევავსეთ ჩემი ადრეული რადიოსპექტაკლის, „დაუმთავრებელი პიესის“ ფრაგმენტებით და მივიღეთ მეტად საინტერესო შედეგი. მსმენელი მოხიბლავს თენგიზ არჩვაძის მიერ ბრწყინვალედ წაკითხულმა შექსპირის 66-ე სონეტმა და, რადიოსპექტაკლის იდეამ.

წარმოდგენილი პიესა – „ეჰ, ანტონ პავლოვიჩ ჩეხოვ...“ დაიდგა 2023 წელს. მთავარი როლი შეასრულა ვახტანგ ნოზაძემ (რეჟისორი – ზურაბ კანდელაკი, ხმის რეჟისორი ბაკო ხვიჩია). „ზღვა, ომი და თუთიყუში“ კი, ამა წლის იანვარში, რუსუდან ბოლქვაძის და გივი ჩუგუაშვილის მონანილეობით დაიდგა (ხმის რეჟისორები – ვახტანგ ქანთარია და თამაზ კანდელაკი). აღსანიშნავია, რომ სპექტაკლმა, წარმატებით დაძლია დიდი ბრიტანეთის რადიოდრამის საერთაშორისო ფესტივალის წინასწარი ტური და დასკვნით ეტაპზე მონანილეობის უფლება მოიპოვა.

იყო... სენტიმენტალურიაო, ვილა-ცამ კი არა, ცნობილმა კრიტიკოსმა დაწერა... მამა უცხოდა... „ღმერთო ჩემო, მაპატიე ამდენი ცოდვა! გემუდარები ნულარ დამსჯი, ნულარ გამანამებ!“ ამას რომ ამბობდა, ტანში ჟრუანტიელი მივიღე, თუ ესაა სენტიმენტალურობა, მაშინ იყოს სენტიმენტალური... ისე კი უნდა ვთქვა, ძალიან სვედიანი სპექტაკლი იყო... (საიდანაძე მუსიკის ხმა ისმის) ისხდნენ ალუბლის ბაღში, ჩაის მიირთმევდნენ და მუსიკას უსმენდნენ... ახლა კი, აღარც ბალი, აღარც მუსიკა... რაღა დაგიმალოთ, მას რომ ვუყუარებდი, გული მიძგერდა... ისე კი, მისი ბრალიც არის, უაზროდ ფანტავდა ფულს, ქმრის სიკვდილის შემდეგ სხვა შეიყვარა, ერთად წავიდნენ პარიზში...

ერთმა მოდერნისტმა რეჟისორმა კი... საქანელა... საქანელაზე ქანაობდნენ ტყავის ქურთუკიანი რანეცკაია და მისი საყვარელი, მე კი, სრულიად ახალგაზრდას მომცა ფირსის როლი, ვიდექი და ამ საქანელას აქეთ-იქით ვარწვედი. რომ ვკითხე, რატომ მომცა მოხუცის როლი, მიპასუხა, ვინ გითხრა, რომ მოხუციაო, ლაქიას ასაკი არა აქვსო, შენ ისეთი მიხრა-მოხრა გაქვს, რომ ამ როლს შესანიშნავად შეასრულებო. ფორმალისტი!.. არ უშველა ტყავის ქურთუკმა, მაინც გამოაშკარავს და მის გამოაშკარავებაში მცირეოდენი წვლილი მეც შევიტანე... ასე ჩაეყარა საფუძველი ფირსის კარიერას, რომელიც დღემდე გრძელდება. მობრძანდით, ბატონო... ჩაიცვით... მიირთვით...

მსახიობი იანო ნიკოლაძე



ეჰ, ანტონ პავლოვიჩ ჩეხოვ...

მინირადიოსივრცე

ფირსი: გარედან გარკვეულად ისმის, როგორ კეტავენ კარებს, დარბაზებს, როგორ დაიძრებოდა ეტლები... მერე სრული სიჩუმე და ისადაგურებს. სიჩუმეში ცულის კაკუნის შემოიჭრება: ბაღში ხეებს ჩეხავენ. ეს კაკუნის საოცრად ობლად და მწუხარედ უღერს. მერე ფეხის ხმა ისმის. შემოდის ფირსი... **ფირსი:** ეს მე ვარ... (ცდილობს კარის გაღებას) ჩაუკეტიათ... მე კი დამივიწყეს... რას იზამ... ვიქნები ჩემთვის და დავვადები აქ... ისე გაიარა ცხოვრებამ, თითქოს არც მიცხოვრებია...

უცებ შორიდან განწყვეტილი სიმის შემზარავი ხმა შემოიჭრება. იგი თითქოს მალედიან მოდის – მწუხარე, ნალვლიანი და თანდათან წყდება. სიჩუმეს ბალიდან შემოჭრილი ცულის რიტმული კაკუნის არღვევს.

ეჰ, ანტონ პავლოვიჩ, რატომ ასე? ეს ბოლო პიესაა? ჰოდა მით უფრო, გაემეტებინა ჩემთვის ერთი-ორი კარგი ეპიზოდი... ეჰ, არა უშავს, მე ჩემს როლს ვასრულებ სცენაზეც და ცხოვრებაშიც... თვითონ პიესა დაწერა და მოკვდა, მე კი ცოცხალი ვარ... ლაქიაო, რო-

ლებს ჩამონათვალში მიანერა. ჰო, ლაქია... ლაქია. ლაქიები ყველას სჭირდება... დამბეზღებლებიც... აბა, არა. ვინ მოდის, ვინ მიდის, რას ამბობენ... ყველა ყველას უნდა დააკვირდეს... ლაქიას ხომ არ ერიდებიან. (თითქოს სხვა სამყაროში გადადის. ენერგია ემატება.) ალუბლის ბაღში! რას მისტიროდნენ, რომ არ გაეჩეხათ, ხეები თვითონ გახმებოდა. აი, ჩემი ალუბლის ბაღი კი... სულ იცოცხლებს (ლილინებს „ალუბლის ბაღის“ მელოდიას.)

შორიდან ისმის საყვარელ შესრულებული ეს მელოდია. თავიდან ხმა თითქოს ბურუსშია გახვეული, მერე თანდათან რეალურ უღრადობაში გადადის და ძლიერდება. ფირსი რიტმული, ცეკვის მსგავსი მოძრაობებით ცდილობს აჰყვეს მუსიკას)

ეჰ, რა კარგი დრო იყო... (ამაყად) მე არტისტი ვარ! არტისტი! რა კარგია, ცარიელი სცენა... არავინაა... ახლა ჩემი დროა! ყოფნა-არყოფნა... (ჩუჩქრით) ჩემო ძველო მეგობარო, ძველო კარადაო. (მალაღფარდოვნად) ჩემო ძველო მეგობარო!.. სულელი... არც კი დაინტერესებულა, რა იყო კარადში... (გამოაჯვარებს გაევის)

დუბლეტი კუთხეში... დუბლეტი მარჯვენა ლუზაში... კარადაში კი... დეტექტივების მოყვარულმა რეჟისორმა მოათავსა რაცია... (კარადიდან გამოაქვს რაცია და მორხეს ანანის გადამცემზე რამდენიმეჯერ აკაკუნებს) იმ რეჟისორმა მე დამავალა დაგვიკვირებოდი სცენაზე განვითარებულ მოვლენებს. და მომეხსენებინა, სადაც ჯერ არს! შიფრიც მომცეს... ტუ.ტუ... ტუ-ტუტუ... ორბი, ორბი... განვდით ინფორმაციას... გესმით ჩემი... არა, ახლა ეს შიფრი არ იმუშავებს, ვილას აინტერესებს... თუმცა... რატომაც არა... ინფორმაცია ყველას სჭირდება... უკვდავი პროფესია... დეტექტივების მოყვარულს ძალიან აინტერესებდა, თუ რას გააკეთებდა გაევი, როცა ამ აპარატს ალმონაჩენდა... მაგრამ მას კარადაში ერთხელაც კი არ შეუხედავს... არ გამოუვიდა ექსპერიმენტი... სპექტაკლი ჩქარა მოხსნეს... რაციაც გაქრა... ახლა ისევ აღმოჩნდა აქ... ნეტა ვინ მოიტანა?!

სვედიანი მელოდია.
ალუბლის ბაღი იყიდება... მას კი არ სჯეროდა... ლიუბოვ ანდრეევსა რანეცკაია, ღმერთო, რა ლამაზი

მერე იმ კაცმა მიატოვა, გაძარცვა და მიატოვა... დიდი სიამოვნებით გამოვიწვევდი დუბელში... ისე მოგვკლავდი, ხელი არ ამიკანკალდებოდა... ახლა ის კაცი პარიზიდან დეტექტებს დეტექტებზე უგზავნის, პატივს სთხოვს, დამიბრუნდით... ახლა რაღა დროსია, მაგრამ მაშინ ვოცნებობდი, რომ გამოჩენილიყო ვინმე ისეთი რეჟისორი, რომელიც სანყალ ლაქიას პერსონაჟად აქცევდა, მინდოდა ფრთები გამეშალა, საინტერესო იქნებოდა, არა? იქნება ჩვენც გამოგვსვლოდა რამე, ამხანაგო ფირს! დავივიწყეთ სენტიმენტალობა, ძირს კლასიკა! (მღერის რეგოლუციურ სიმღერას, მოულოდნელად წყვეტს სიმღერას, თითქოს რაღაცის გახსენება უნდა)

ლაქია ხომ ყველას სჭირდება... (მუსიკა) ალუბლის ბაღი კი გაიყიდა... ლოპიხინის როლის ყველა შემსრულებელს ერთნაირი თვითკმაცოფილი ხმა ჰქონდა. (მთა შუადაც) მინდა შეგახსენოთ, ბატონებო, 22 აგვისტოს ალუბლის ბაღი გაიყიდა! მერე კი... ალუბლის ბაღი გაიყიდა! მე ვიყიდე, ბატონებო! მე ვიყიდე! (შორიდან ისმის საყვარელ დაკრული „ალუბლის ბაღი“, ამჯერად ეს მელოდია სვედიანად უღერს) **ფირსი:** (ტირილნარევი ხმით) ჩემი ალუბლის ბაღი... ეჰ, ანტონ პავლოვიჩ, რატომ გააჩეხინე ალუბლის ბაღი...
ხმაურიანი ეცემიანი მოჭრილი ხეები. ფირსი ტირის.

ზღვა, ომი და თუთიყუში

შვიდწუთიანი დიალოგი პოეტსა და არ არსებულ ავტორს შორის

გამოყენებულია ფრაგმენტები ია ჯინჭარაძის ლექსებიდან. იგორ სევერიანინის ლექსი თარგმნი ნინო დარბაისელმა.

პოეტი

„ეს იყო ზღვასთან, სადაც ტალღა ფირუზისფერი... და იშვიათად დადის ეფენებიანი ეტლი... ეს იყო ზღვასთან, სადაც ტალღა ფირუზისფერი, გამჭვირვალეა ზღვა და სონატა პაუსის...“

ზღვა და მუსიკა. შოპენი. ბალადა №1 ან №3

არარსებული ავტორი

მისტერ მაკ-გრეგორ, თქვენი გული შოტლანდიის მთებშია... ჩემი გული კი ზღვაშია ჩაკარგული.

პოეტი

ღმერთო, რატომ მესმის ზღვის ხმა ასე გამუდმებით, რატომ?...
არარსებული ავტორი

„– და არსად ვახსენებ – მივიწყებულ ზღვას, მივიწყებული თოლიებით და თეთრი, თეთრი სანაპიროთი...“

პოეტი
იყო და არა იყო რა... ჩემი ლამაზი ქალაქი... თეთრი, ქათქათა ქალაქი და მწვანე პალმა...
არარსებული ავტორი

„არასდროს მინდოდა ზღვისპირა სახლიდან წასვლა და ზღვისპირა სახლები მტოვებდნენ და მე ვიღვიძებდი მშრალ სანაპიროზე“
პოეტი

ზღვა... წყნარი, ბროლივით გამჭვირვალე... ფეხდაუკარებელი თოვლივით სუფთა!.. დიდი, ვებერთელა მედუნები... ქოლგის მსგავსი მედუნები... ღმერთო, რა ფერები იყო... რა ფერები! ნეტა, მართლა სუფთა იყო?.. მართლა გამჭვირვალე?.. მითხარი, იყო?! იყო?!

არარსებული ავტორი
„როცა სიზმრიდან გბრუნდებოდი – ცხადის ჩრდილიდან, გაყინულ თითებს მზის ლოლუებს ვუმეგრდი, ცივა – ვამბობდი – ცივა“
პოეტი
მზეო, ამოდი, ამოდი, ნუ ეფარები გორასა... სიცივეს კაცი მოუკლავს... სიცივეს! წყალი ცივია... ყინულივით!.. ცივათ იქ!..
არარსებული ავტორი

„უნდა იცოდე, ზღვა სულია მეზღვაურისა, ნაპირზე თუკი გაირიყა, დამრება სული.“

პოეტი

რატომ მესმის ზღვის ხმა ასე გამუდმებით?... ის განუწყვეტელი ეალერსება ქვიშას, კენჭებს... აკვანივით არწევს, ნანას უმღერის უპატრონო გვამებს!.. (მუსიკა) ველარასოდეს!.. ველარასოდეს!.. ჩემი ლამაზი ქალაქი... თეთრი, ქათქათა ქალაქი და მწვანე პალმა... თეთრი სახლი და მწვანე პალმა... კამკამა ზღვა და მწვანე პალმა... სხვა არაფერი... პალმა... პალმა... მწვანე პალმა... პალმა... ნაპალმა... პალმა... ნაპალმა... (შორიდან ისმის თვითმფრინავის, შემდეგ კი აფეთქების და სროლის ხმები) არა! აღარასოდეს იქნება ზღვა ასეთი კამკამა!.. არასოდეს!..

არ არსებული ავტორი
შეჩერდით!.. შეჩერდით!.. არ შეხვიდეთ ზღვაში, არ შეხვიდით! იქ გვამები დაცურავენ, უპატრონო გვამები!..

მუსიკა, „ვალკირიის გაფრენა“ მთელი ხმით უღერს, როცა ჩანყნარდება, სრულ სიჩუმეში ისმის თუთიყუშების ფრთების ფართხალი.

თუთიყუშები.
– მშია... მშია! მეშინია!..
– მეშინია!.. მეშინია!.. მშია!..

არარსებული ავტორი
არავინ არაფერი იცოდა, მაგრამ მაინც, ყველამ ყველაფერი იცოდა!
ზღვა და მუსიკა.

ზურაბ კანდელაკი

დ. გ. კავთალი

ბოლო გარეგნება

– შვილო, ჩაგეძინა? – ავტობუსის მძღოლმა ცარიელი სკამების მიღმა, ბოლო რიგში მჯდომ ბიჭს გადასცახა, – ბოლო გაჩერებაა...

ბიჭმა თვალბრუნებით ჩამოყრდინებული კეპიდან ზანტად გამოიჭყიტა, ჟღერდა, თვალბრუნებით ჩამოყრდინებული კეპიდან ზანტად გამოიჭყიტა, ჟღერდა, თვალბრუნებით ჩამოყრდინებული კეპიდან ზანტად გამოიჭყიტა...

– მერე რა... გილოცავ, – ჩაიბუტბუტა, კეპი ისევ თვალბრუნებით ჩამოიწია და ფეხები წინა სკამის ზურგზე შემოაწყო. – რას მალავიძებ, ვერა ხედავ, მძინავს?!

– ეე ამას დამიხედე... არ აპირებ ჩასვლას?! თუ აქ უნდა გეძინოს?! – გაბრაზებულმა მძღოლმა წამოდგომა დააპირა, თუმცა გამობრუნებული ღიმილი საჩქესთან გაიჭყადა, ნაბორძიკა და კინალამ ჩასასვლელ საფეხურებზე გადაებოტა.

ბიჭმა ქუდსქვემოდა ეშმაკურად გამოხედა და დამციანავად ჩაიხიბინა.

– შვილო, სახლი არა გაქვს? – ბარბაცით მიუახლოვდა მძღოლი სკამების ბოლო რიგს და ბიჭს თავზე წამოადგა, – პატრონი არა გყავს? გელაპარაკები! უნდა ჩახვიდე!.. – კეპსაზე თითი ჩამოჰკრა, – ბოლო გაჩერებაა-მეთქი, ხომ გითხარი.

– ხო კარგი, კარგი, – ბიჭმა თმა გვერდზე გადაიწია, დაჭორფლილი ლოყები და ცხვირი გამოაჩინა და ეშმაკურად ამოჰხედა მძღოლს, – თქვენ რა გქვიათ, ჯერ ეგ რომ მითხრათ, შეიძლება?..

– რაო?... შენ რა თვებზე ვინმე ყოფილხარ... მე ვაჟა მქვია და ადექი ეხლა, – მძღოლმა ბიჭს ქერში ხელი დაავლო. – და ასე გამაგებებ? – ბიჭმა შეწინააღმდეგება სცადა და წინა სკამის ზურგს ჩაებლაუჭა. – აბა, გარეთ გაიხედე, – ბიჭმა ავტობუსის დაორთქილ მინას ხელის გული გადაუსვა, უკვე შებინდებულიყო, ნოემბრის ძვლებში გამჭოლი ქარი ხის დაღვნილ ტოტებს აქეთ-იქით აფორთხილებდა, გულის გამანვრილებლად ცრინდა და ქარის ტალღას აყოლილი წვიმის წვირილი წვეთები წკაპანკუპით ეხეთქებოდნენ ავტობუსის სარკმლებს.

– ვინა ხარ, შვილო, რა გქვია? – ვაჟამ ბიჭს ხელი გაუშვა და სკამზე გვერდით ჩამოუჯდა, – რას გადაგიკიდე... მართლა არ გაქვს ნასასვლელი არსად?

– ისიდორე მქვია და დიახ, არსად ნასასვლელი არ მაქვს, – ბიჭმა სკამის ქვემოდა ზურგჩანთა გამოაძვინა, გახსნა და შიგნით რაღაცის ძებნა დაიწყო.

– ვაჟა, ხომ? ბატონო ვაჟა, შემოთავაზება მაქვს, – ჩანთიდან ვეებერთელა, სქელშუშებიანი სათვალე ამოიღო. ცალ ყურზე გადატყობილი, სანტავიკით შენებებული სათვალის ჩარჩო ჭორფლიან ცხვირზე ჩამოიდო და სერიოზული სახით გადმოხედა ავტობუსის მძღოლს ვაჟას, – მომეცით უფლება, აქ დავგრე ამალამ და ხვალ დასაწურდები... – ისიდორე ფეხზე წამოდგა და ვაჟას ხელი ჩამოსართმევად გაუწოდა.

– მოიცა, კაცო, შენი ჭირიმე, რაის დასაწურება, – ხელი აუკრა ბიჭს და ფეხზე წამოდგა, – თუ მართლა არ გაქვს ნასასვლელი, დარჩი ამალამ, ოღონდ რამე რომ დააშავო, იცოდე, მიწიდან ამოგთხრი, – მოღვრებული მუშტი ცხვირთან ახლოს მიუტანა და ოდნავ ჩამოჰკრა.

– არაფერს გავაფუჭებ, ნუ გეშინიათ... დილით აქ დაგვხვდებით. – ბიჭმა ზურგჩანთა ისევ სკამის ქვეშ შეაცურა და ვაჟას შემოუტრიალდა.

– მშვიდი ხარ? – ვაჟამ ხელჩანთიდან ქალაღმში გახვეული მჭადი და ყველი ამოიღო და ისიდორეს გაუწოდა.

– დიახ... მადლობა, – ბიჭმა გამოართვა და მადლობის ნიშნად თავი დაუქრა... – დიდი მადლობა... და ხვალ ასანთი წამოიღეთ, ერთ ადგილას უნდა გავიაროთ...

– გარეთ გამოსვლა თუ მოგიინდებდა, კარი უბრალოდ გააღე და გარედან კარგად მოხურე, – გააფრთხილა ვაჟამ, ავტობუსის დამრეც კიბეებზე ფრთხილად ჩაბობლდა და კარი გარედან მიხურა.

დილით ადრინადად მისულ ვაჟას ბიჭი ავტობუსის კიბეებზე ჩამომჯდარი დახვდა.

– შენ კიდე აქა ხარ, კაცო?! აბა, როგორ გეძინა? – მადლობა, კარგად... მზად ხართ? – ბიჭი წამოდგა, ძირს მიგდებული მწვანე ზურგჩანთა აიღო და მხარზე გადაიკიდა.

– რა მზად, შვილო? შენი ჭირიმე, გამატარე, პირველ ცვლაზე ისედაც დამაგვიანდა, – ვაჟამ ბიჭი ხელით უხეზად განზე გასწია, ავტობუსში ავიდა, მძღოლის სავარძელსა და საჭეს შორის გაჭირვებით შეეკვება და ავტობუსის დასაქოქად გაემზადა.

ბიჭმა კიბეებზე უცებ აირბინა

– ვაჟა, კარგად მომისმინე, დღეს შეიძლება, შენი ცხოვრება სამუდამოდ შეიცვალოს, – ხელი ჩაავლო და ყურში ჩასწურულა, – უბრალოდ უნდა დამიჯერო... და სადაც გეტყვი, იქ გამომყევი!

– სად უნდა გამომყევი? – ჩაეკითხა დაბნეული ვაჟა? – მიდი, დაქოქე... ნავედით, – თავდაჯერებულად ჩაილაპარაკა ბიჭმა და მძღოლის გვერდით სკამზე ჩამოჯდა, – ჯერ პირდაპირ იარე, – ხელი წინ გაიშვირა.

– რა პირდაპირ... მეორე ცვლაზე მაინც უნდა მოვასწორო... შენი ჭირიმე, მაცადე რა, – მკაცრად ჩაილაპარაკა ვაჟამ.

– უბრალოდ, დამიჯერეთ რა, ვაჟა!.. – ბიჭმა ვაჟას თვალი თვალში გაუყარა, მისი ნახშირივით შავი თვალის გულები თითქოს მონითალოდ შეკიფდა და ვაჟას თვალი მოსჭრა.

– კარგი, ნავედით... რახან არ იშლი, – ვაჟამ ავტობუსი ხმაურთან დაქოქა და გორაობით გაუყვა სადგურიდან გამოსასვლელ დამრეც გზას.

მთავარ გზაზე გადმოუხვიეს

– ესე უნდა ვიაროთ ცოტა ხანი, მე გეტყვი, როდის უნდა გადაუხვიოთ, – დაბეჯითებით მიუგო ბიჭმა, სავარძელში საფუძვლიანად მოკალათდა და ფეხები პარპრიზზე შემოალოცა.

სისხამ დილის სუსხიან ძილბურანში ჩაფლულ ქალაქის ქუჩებში თითო-ორი ადამიანი თუ დააბიჯებდა და მანქანებიც მხოლოდ ხანდახან თუ ჩაუქროლებდნენ მთავარ გზაზე დინჯად მოძრავ ყვეთელ ავტობუსს.

– აქ უნდა გადაუხვიოთ, – ბიჭმა ხელი გზიდან მარჯვნივ, გადასახვევისკენ გაიშვირა.

– რა გვინდა მანდ? – დაეჭვებით იკითხა ვაჟამ, პასუხი ვერ მიიღო, საჭე მარჯვნივ აიღო, ავტობუსი ზანტად მარჯვენა ზოლში გადააგორა და ვინრო აღმართზე აუხვია.

– აი, მანდ შეაჩერე, – ბიჭმა ხელი ძველი, გამოშივნილი შენობისკენ გაიშვირა.

– ეგ ძველი შამპანურის ქარხანა არ არის?... – ვაჟამ ავტობუსი მიტოვებულ შენობას ირიბად მიაყენა და ხელის მუხრუჭი ხმაურით ამოსწია.

ისიდორე ავტობუსიდან უცებ ჩამოხტა და შენობის შესასვლელთან მიიბრინა.

– სად მივდივართ, არ იტყვი? – შეეცადა ვაჟა გამორკვევას.

– გამომყევი!.. – ბიჭი ცენტრალური შესასვლელიდან, მთავარი დარბაზის გავლით ქვემოთ ჩასადრომ დახურულ კარს მიადგა, – აქ უნდა ჩავიდე! – ურდული გადასწია, იატაკში ამოჭრილ ღიბში ჩასმული კარი ძლივძლივობით წამოსწია და უკან გადააგდო.

ვაჟამ ორმოში ჩაიხედა, რკინის ჩასასვლელი კიბე მთელ სიღრმეზე ჩაუყვებოდა და ქვემოთ სიბნელეში იკარგებოდა.

– ნავედით!, – ბიჭმა მორყეული რკინის კიბის ზედა საფეხურზე ფეხი ჩამოადგა და ჩასვლა დაიწყო.

– მოიცა, კაცო! ვერ გამიძლებს ეგ მე, – ვაჟამ დაეჭვებით ჩახედა სიბნელეში ჩაკარგულ კიბეს.

– გაგიძლებს, წამომყევი! – უკვე სიღრმიდან ამოსცახა ბიჭმა ვაჟამაც გამბედაობა მოიკრიბა და დაუხანგული კიბეებით ჩასვლა დაიწყო.

კიბით მბუჭუტავი სანთლით განათებულ ოთახში აღმოჩნდნენ.

– აი, იმ კარს ხედავ? – ბიჭმა ნაცრისფერი რკინის კარისკენ ხელი გაიშვირა, – მანდ უნდა შევიდეთ და რასაც გეტყვი, ყველაფერი ზუსტად უნდა შეასრულო.

– ხო, კარგი. – დაბნეულად ამოილულულა ვაჟამ.

– ასანთი ხომ წამოიღე? – შემოუტრიალდა ბიჭი.

– კი, კი, – ვაჟამ ჯიბეებში ქექვა დაიწყო, ყველა ჯიბე სათითაოდ შეამოწმა და ბოლოს მიაგნო.

სიბნელეში შეაბიჯეს, ბიჭმა კარი მოხურა და გასაღებით გადააკეტა. ოთახში სრული უკუნი იდგა.

– მომყევი, – ჩაიჩურჩულა ბიჭმა და ფეხაკრეფით გაუყვა გზას.

– ვერაფერს ვხედავ! – ვაჟა წინ გაშვერილ საკუთარ ხელებსაც კი ვერ ხედავდა და ბრმად მიჰყვებოდა ბიჭს.

– შეჩერდი! – ბიჭი ადგილზე გაშუშდა...

– რა ხდება? – დაბნეულად იკითხა ვაჟამ.

– არაფერი, ასანთი აანთე, ახლავე! – გადაუჩურჩულა მკაცრად.

ვაჟამ ასანთის კოლოფს გაჰკრა, გოგირდი წამში მოიშანთა და პატარა ცეცხლის ალად აკიფდა მის ხელში...

– არ გაინძრე. – ცალკებად გადაულაპარაკა ბიჭმა...

მათ გარშემო უამრავი შავი სილუეტი რიალებდა. ერთ ადგილას ბორცვდნენ და უსახო, შავად მოზიზიმი თავეებს აქეთ-იქით ატრიალებდნენ.

– აქეთ წამოდი! – ბიჭმა ხელი ოთახის ბოლოსკენ გაიშვირა, რამდენიმე შავპირილი სილუეტს გვერდით ფრთხილად აუარა და ოთახის გადაღმა კარს მიადგა. – ამ კარის მიღმა თვალბრუნებით არ უნდა გაახილო!, – შემოუტრიალდა ვაჟას და მკაცრად უთხრა, – რაც უნდა მოხდეს, არ გაახილო, – დაბეჯითებით გაუმეორა და სახელური ფრთხილად ჩამოსწია...

კარის მიღმა შებიჯებისას ვაჟამ სახეზე საზარელი სიცივე და ნვა იგრძნო

– რა ხდება, სადა ვართ? – ცივმა ყრუანტელმა ხერხემლის გავლით მთელს სხეულში დაუარა.

– არ გაახილო თვალბრუნებით... მომყევი... – დინჯად მიუგო ბიჭმა და გზა განაგრძო...

– რა ხდება?! ძალიან მცივა, ვიყინები!.. – ვაჟამ თავი ვერ შეიკავა და თვალბრუნებით გაახილა: გარშემო მხოლოდ თოვლი და ყინულია... თვალუნებელი შორიზონტზე მხოლოდ ცივი სითეთრეა... ირგვლივ ქარბუქი ბობოქრობს...

– ხომ გითხარი, არ გაახილო-მეთქი, – ვაჟას უეცარი სიცივისაგან მუხლები მოეკვება და ყინულზე გულაღმა დაეცა... სუნთქვა და გულისცემა თითქოს ნელ-ნელა უფრო და უფრო უსუსტდებოდა... გული თითქმის აღარ უფეთქავდა... ბიჭმა მარჯვენა ხელი გულზე დაადო, ხელი გაღვივებული ნალვერდალივით გავარვარდა და განითლდა... ვაჟამ სხეულში სითბო იგრძნო, გულისცემა ისევ აჩქარდა და სუნთქვაც ნელ-ნელა დაურეგულირდა.

– ადექი... შეგიძლია? – ბიჭმა ვაჟას წამოსადგომად ხელი გაუწოდა



– კი, მგონი, შევძლებ, – ვაჟა რის ვიავგლახით წამოდგა და ბიჭთან ერთად მორიგ კარს მიადგა...

ბიჭმა კარი გამოაღო, ერთად შევიდნენ პატარა ოთახში, არაფრით გამოორჩეულ, ნაცრისფერ შპალერიან ოთახში კიდევ ერთი კარი დახვდათ, მონითალო ფერის ხის ორფრთიან კარს ოქროსფერი რკალისებრი სახელური ჰქონდა, ბიჭმა სახელურს ხელი მჭიდროდ ჩასჭიდა და ვაჟას შემოუტრიალდა

– ამ კარის მიღმა დაგხვდება ნებისმიერი რამ, რასაც ახლა წინასწარ იტყვი შესვლამდე... – მკაცრად მიუგო და თვალი თვალში გაუყარა.

ბიჭის უცნაურად შავი თვალბრუნებით ორჯერ თვალისმომჭრელად ნითლად შეკიფდა.

– იქ სხვა ბევრი რამ დაგხვდება, მაგრამ შენ მხოლოდ იმის წამოღება შეგიძლია, რასაც წინასწარ შენ თვითონ დაასახელებ, – განაგრძო ბიჭმა... – ამ ყველაფრისთვის გეტყება ზუსტად ოცდაათი წამი, შემდეგ კარი დაიკეტება და ამიტომ უმჯობესია, მანამდე გამოხვიდე...

– რა უნდა ვთქვა, არ ვიცი... – ვაჟამ შემელოტებულ თავზე ხელი გადაისვა და დაძაბული ჩაფიქრდა.

– ნებისმიერი რამ... ოღონდ იჩქარე – უხეზად მიუგო ბიჭმა...

– არ ვიცი... ლურჯი ალმასი... 10-კარატიანი... – დაბნეულად წამოიძახა ვაჟამ, ბიჭმა კარი სწრაფად გამოაღო

– ოღონდ ხო გახსოვს, ფილმებში ხარბებს რა მოსდით ხოლმე... მუშია გაიხსენე... – მიადგა ბიჭმა და კარი უკნიდად მიუხურა.

სრულ სიბნელეში უეცრად ჩირაღდნები აბრღვივალდა, უსასრულოდ გრძელ დარბაზში კაცობრიობის მოპოვებულ ყოველგვარ სიმდიდრეს მოეყარა თავი... ვაჟას ბიჭის სიტყვები გაახსენდა, „წამოიღებ მხოლოდ იმას, რასაც წინასწარ თავად ისურვებ“, მცირე პიედესტალზე დამაგრებული ლურჯად მოკიფე ქვა შენიშნა. ალმასს ხელი დაავლო, ჯიბეში ჩაიგდო და გასასვლელი კარისკენ გამობრუნდა. ბიჭი კარს მიღმა დახვდა და მისი გამოსვლისთანავე კარი სასწრაფოდ მიხურა.

– მშვენიერი არჩევანია... რამდენიმე ღიბონის კი იქნება ეგ... არა? – ჩაიციხა, გარინდებულ ვაჟას თვალი ჩაუკრა და ჯიბეში რაღაცის ძებნა დაიწყო...

ჯიბიდან მუჭით მონითალო ფერის ფხვნილი ამოიღო, ხელი ჰაერში ალაპერო, მონყვევით დაიქინა და ფხვნილი იატაკზე მიმოაბნია... ოთახში თვალისმომჭრელად ინათა... ისევ ჩანყვიდა... ისევ ინათა... და...

ორივენი მიტოვებულ შენობის იატაკზე გადმოხსნილ კარებთან აღმოჩნდნენ...

– ესეც ასე... – ჩაილაპარაკა ბიჭმა და დარბაზის გავლით კიბეებზე სწრაფად ჩაიბრინა.

ვაჟა გაქვავებული, არაფრის მთქმელი მზერით ჩამოლასლასდა კიბეებზე და ავტობუსს მიუახლოვდა...

– ეს... ეს რა იყო?! – ამოილულულა და ჯიბიდან მუშტის ოდენა ლურჯი ალმასი ამოაძვრინა.

– უჰ, რა ლამაზია... შენ გენაცვალე! მაგარი არჩევანია! – ალტაცებით შესცახა ბიჭმა.

– აბა, მე ნავედი და მშვიდობაში, – ზურგჩანთას ხელი დაავლო, ვაჟას ზურგი აქცია და მიტოვებული შენობის ეზოდან ვინრო საფეხმავლო გასასვლელისკენ გაემართა.

– მოიცა... ეს რა ვნახეთ... სად... სად ვიყავით... ვინა ხარ?! – შესცახა ვაჟამ, ბიჭის ადევნება სცადა, თუმცა მუხლები მოეკვება და იქვე ავტობუსის წინ ჩაიკეცა.

– ოო... ვაჟა... ვაჟა... ეგ უკვე შემდეგი მოთხრობის ამბავია, ჩემო მეგობარო! – გამოსცახა ბიჭმა, ნაბიჯს აუჩქარა და ეზოს ვინრო გასასვლელში გაუჩინარდა...



ზოია სხადაია

იზა ჯოჯობორძის გზსკენებს

„შენ – გულში ჩაკრული, მე... თვალეში ჩაჩერებული, იმ ყვავილებზე მოკრძალებით სტრიქონებს ვთხზავდი“ ... იზა ჯოჯობორძი – „ზოია ცხადაიას“

ნახვედი, ველარ გადაურჩი განაჩენს ბედის. წაიღე დარდი და ტკივილი წაიღე სიმწრის... მიტოვებული თვალისჩინი – ცრემლებით დედის... აწვიმდი შენი ოცნების ბაღს, აწვიმდი მინას... შენ ნუთისოფლის ჯოჯოხეთი გერჩია ედემს, გიდედინაცვლა მართლაც ჯოჯო ხვედრმა – მახინჯმა... სენს უკურნებელს ზედ დაგირთო სულის ჭრილობა. ნახველ, წაიღე ამა ქვეყნის ნაღველი ხინჯად... მას აქეთ წლებმა ჩამოკეცეს ზეცის კალთები – შენით ნაკლები, ამ ცხოვრების მიეთ-მოეთით... სხვა რალა შემწევს, ნაგვიანევ ლექსს გიძღვნი ახლა, შენი ლექსების ძველი მეტრფე, შენი პოეტი...

თავს ცირორას ნაკაროვრო

წმინდა მთაზე წმინდა მინას ჩაფერფლილი ჩადიოდი – განწირული, გარიყული, ნატანჯ-ნაგვემ, ნასეტყვარი... გადმოლახე ტყე-ღრე, ჭოჭყო, ქარიშხალი ქართა-ველთა... აღმასივით ალესილი ცეცხლით შეგხვდა საქართველო... საქართველო – დაყოფილი „იმისტებად“, „ამისტებად“... მოძმის ხელში ხურდებოდა ტყვია – შუბლში დამიზნებით... (ფრიალეზა ქართლის დროშაც, „რეცა – ლიქნით“ – მანდილებიც)... ვაჟი-კაცნი, გულოვანნი, ხანჯალამონვადილები...

სუსხიანი ციროლოცი

(უკრაინა, მარტი, 2022)

ძნელი ყოფილა, მეტად ძნელი — ნუთისოფელი, ვიდრე რაც ნახე, რაც გეგონა და რაც იცოდი, ყველა სიზმრის და ყველა ცხადის უარყოფელი... ძნელი ყოფილა, მეტად ძნელი — ნუთისოფელი. ხედავდი ქუჩებს — დახვრეტილთა ცხედრით მოფენილს... და შენც იმ ტანჯვის, იმ ნამების ცეცხლში ინვოდი.

და საფლავში შურით დუღდნენ თურქნი, სპარსნი, დიდოელნი, ლეკი, ოსი... კომბლის ნაცვლად ტანკით მოდგა ჩრდილოელი. რაც გადახდა დედო-მინას, მიაველინოს ღმერთმა მტრისას. კაცობასაც იჩემებდნენ – ამირან და უსუპისას. კმაყოფილი შურისგებით, ცრემლსაც ღვრიდნენ ნიანგისას... მერე მადლიც მოგაშუქეს შენი მზის და შენი ცისა... წმინდა მთაზე წმინდა მინას ჩაფერფლილი ჩადიოდი – განწირული, გარიყული, ნატანჯ-ნაგვემ, ნასეტყვარი... დაგტიროდა საქართველო, რას სტიროდა საქართველო? კარგად ითქვა, როგორც ითქვა: „თავს სტიროდა საქართველო“

მიღიან... ვშოროვებით...

გენდერული თანასწორობით, უვადო საშვებით, გემებით, კატარღებით, აეროპლანებით... ნიღბით და უნიღბოდ... აშკარად, ფარულად... წვალბებით... ვალბებით... იმედით, სიხარულით... ბოღმით და დარდებით... მიდიან... ვშოროვებით... შვილები, დედები, ძმები და მამები...

ღაჯვიანებულოი წ'ერილოი სოფიი ლომანს - ჯ. ცირიბრაღში

მე შენ მახსოვხარ, ძვირფასო სოფი... და წლების შემდეგ გინერ ამ ბარათს. ის ძველი სიტბო მე დღემდე მყოფნის, ვინახავ, როგორც სახსოვარს მარადს.

ახლა, მოხიბლულს შენი ქალაქის შემოდგომით და სევდის ფერებით, მე ის წარსული მალაპარაკებს – მოგონებთა მოსაფერებლად.

ახალგაზრდები, უმამოები შეგხვდით ერთმანეთს, ბედის განგებით... შენ განიცდიდი წარსულ დროებას და მოკრძალებით გსურდა გაგება, ხომ არ მომიკლა მამა იმ ომმა... აგინყლიანდა თვალეები კრთომით...

და ჩვენ ვიყოფდით მამების სევდას, პატარა სიტბოს, დღემდე რომ მყოფნის... მე იმ წარსულის ხსოვნაში გხედავ, მე შენ მახსოვხარ, ძვირფასო სოფი!

მეციოოს

ეს თებერვალი კვლავ ჩაივილს უშენ – უჩემოდ... ვემორჩილებით: პანდემია სიშორეს ითხოვს. ვსხედვართ, ვითმინოთ და იმედებით ვფურცლავდით კალენდარს... ვიყოფთ სიყვარულს, თხილის გულს და წარსულის სიტბოს.

ქვან - ზურმუხტისფერს

ამოგარჩიე მრავალთა შორის, ზურმუხტისფერი და თეთრხალეა, მზე გაცხუნებს და გწყურია წყალი, აქ შენი ყოფნა არის წვალეა. შენ უნდა ზღვაში იწვე, ხარობდე... და დასიცხული გულის იარა დაგიცხროს ზრუნვით შავი ზღვის ტალღამ. შენ ქვა ხარ, მაგრამ გულქვა კი – არა. გრიგალს ამოჰყევ, ალბათ, ოდესღაც, წევხარ ნაპირზე ათასი წელი... ვინ იცის, იქნებ, გამოგივლია ჩემი წარმართი წინაპრის ხელიც. იქნებ ის სიტბოც შემოგრჩა დღემდე, იმ საწყალ ხელებს რომ დარჩათ შენზე... ათასი წლები ათასებს ცვლიან... იქნება ისევ ლოცულობ მზეზე?... მე უნდა ახლა მადლი მოვისხა და ჩაგაბრუნო მშობლიურ ნიაღს. გაგატან ჩემი სულის და გულის ხმას, როგორც მინი – ქარიშხლის წრიაღს... და მერე, მრავალ ათას წლის შემდეგ, თუ გამოგრიყოს ქარიშხლის ღამემ, შეგეხოს ვინმე – ოცნებით მთვრალი, ჩემსავით შენზე თუ დარჩეს თვალი, იმ ჩემს მომავალს (ინებოს ღმერთმა), ცოტა – ამ დღისაც უთხარი რამე...

ყაცი - ჰარჯოქი

ჯემალ ცერცვაძის ხსოვნას

გამობმული გაქვს ყელზე მარყუჟი ყასიდად, საჯოჯოხეთედ არ გემეტება თავი... არადა, სულ-ხორც შემოცლილი ხარ კაცი და... ის ძვლებიც უკვე ყელზე ადგიათ სვავებს. ის წვიმა-თოვლიც, რაიც გათოვდა, განვიმდა, უფრო განვიმს და შიშველ ხელებზე გათოვს... ველარ გაბრწყინდა უთვალავთაგან ერთიც და... თავიც არ გახსოვს, ისე შემოგწყრა ღმერთი. იმედი – წვეთი, ამონურული ხაპიდან, ველარ ლივლივებს, უსახური და რუხი. რაის მუხები... ყინული აზრობს აპრილს – და რომ იტყვიან: არც ზარბაზნები ქუხან... აიკვიატებ ზოგჯერ წინაპრის წუხილს: აღარ გიკვიროთ, კვლავცა სულმდგარს რომ გვხედავთ? და მწარ-ბურანში, როგორც ნათელი ნუთის,

ათინათდება ღვთის სახიერი დედა...

რევივივი ბორენსტოის

ბორენა ჯაჭვლიანის ხსოვნას ...და რომ მეგონა, ჯერ შორს იყო ღამის წყვილი, გამომიხურეს კარი ცივად, ჩუმი უარით. არ დამახანეს, არ შემარგეს მზე და სინათლე (მგზავრი ვიყავი, ნუთისოფელს ჩამოვუარე)... გაღმა დამტოვეს. მე სულ ცოტას ვიყავ მთხოველი, ბედს დავემდურე. მიზადებდა ჟამი უარესს... ველარ გავიგე, სად – სიზმარი, სად ცხადი იყო... (მგზავრი ვიყავი, ნუთისოფელს ჩამოვუარე).

ნეცაქ შენ. წ'უთისოფელო

ძლივსდა გისწავლე – სულ ცოტა: „შენი ანით და ბანით და...“ რა წამში ჩაინამნამა დრომ და რა მალე გავიდა ჟამი იქიდან აქამდე, სადაც არცა რა ჰგიაო... ნეტავ, შენ, ნუთისოფელო, მაინც სიცოცხლე გქვიაო...

ორი ლოქი ბონის

*** შენი ფეხის ხმა მენატრება, შენი ხუჭუჭა ბულულები, ხანდახან სიზმარშიც მოდიხარ შენი აბრეშუმის კულულებით. ჩემი კუდექინა – „ბონი კაცი“, პატარა, ბაქიბუქა, მედიდური... სიკვდილმა ისე მოგიტაცა, ნუთიც რომ ველარ ედიდგულე. უკვე აღარსად მეგულეები, შავი, თვალციმციმა მარგალიტი, ასე უსაზომო ერთგულების, მუნჯი ერთგულების მაგალითი, ქვესკნელს უმონყალოდ ჩაგიტანა გულმა, სიყვარულით გაპობილმა. ჯიშს რა უსამართლოდ გილანძღავენ, თურმე ძაღლის გული რა ყოფილა... შენი მოლოდინი მენატრება, კარი – სიხარულით გაღებულნი, შენგან სიყვარული მენატრება – ფეხქვეშ ფინანდაზად დაგებულნი.

*** დავდიოდით მე და შენ, ნებით თუ უნებურად, ვსიერნობდით მე და შენ, გულზე ვარდი გვეყარა. შენი იყო ქვეყანა, ჩემი იყო ქვეყანა... ასე მაიძულებდი ბედნიერი სიხარულს... ჩემი კოხტა ლაქუცა, პატარა ქარაქუცა.

ძნელი ყოფილა, მეტად ძნელი — ნუთისოფელი, ვიდრე რაც ნახე, რაც გეგონა და რაც იცოდი.

ვიქრობის ციქსცი ყოფიონსთოის

(პატარას, რომელსაც ეს ვედრება გულზე აწერია)

ღმერთო მაღალო! მოგვანათე სუფევა შენი. აჯობე ახლა ყველა სარდალს, ყველა რეზიდენტს. შენ და ჩვენ შორის გულგრილობის ფარად გარჩენილს — ყველა ფიურერს, ყველა მონარქს, ყველა პრეზიდენტს,

არისხე შენი სამართალი და ნება შენი, ჩამოუბნელე მზე და მთვარე — ღამე უკუნით... დახურე ზეცა უკრაინის. გაქვავდეს მტერი... დასრულდეს ცოდვა, ჯოჯოხეთი ამ საუკუნის.

ღამე დედის გულს ჩამახუტე უშფოთველ ძილით, „სირენის“ ნაცვლად გამაღვიძოს „доброе ранкум“... გააძლიერე, ღმერთო, ჩემი ერი და ბერი, დახურე ზეცა უკრაინის! გაქვავდეს მტერი!

ნიკია სადღოხალაშვილი

(დასასრული. დასაწყ. „ლს“ № 3,4)

SALVE იგალია

რომი

ჩვენი იტალიური მოგზაურობის ბოლო გაჩერება რომია – მარადიული ქალაქი. რომშიც მატარებლით ჩავედით. წვიმიანი დილა იყო. სადგურის გარეთ ტაქსის გაჩერებამდე უგრძესი რიგი და უამრავი გამყიდველი დაგვხვდა – ქოლგებს და საწვიმრებს არიგებდნენ. ბევრმა იყიდა, ჩაიცვა ან ქოლგა გაშალა და მომენტალურად აფერადდა იქაურობა.

ტაქსის რიგმა როდის-როდის მოგვინია. სასტუმროებში გავნანილდით და ცოტაოდენი დასვენების მერე რომის ქუჩებს შევერეთ.

ამ ქალაქში უკვე მეორედ ვარ. პირველად რომ ვიყავი, ტრევის შადრევანში ხელუკულმა ქართული თეთრები გადამყვინინეს (ცენტები იმ მომენტში არ მქონდა) – ისევე რომ დაბრუნდეთ. ყველა ტურისტი ასე იქცევა და ალბათ ყველა ბრუნდება მეორედ, მესამედაც... რადგან შეუძლებელია, რომში ერთხელ მოხვდე და მისი სიყვარული გულში არ ჩაგივარდეს. შეუძლებელია, მასთან დაბრუნებაზე არ იფიქრო.

მთელი გულით ვუთვლი მადლობას რომის ყველა ანგელოზს, ამ ჯადოსნურ ქალაქში ისევე რომ დამაბრუნა.

როგორც აგვისტოს, ჩვენს სასტუმროს იდეალური მდებარეობა აქვს: ჯერ ერთი, ორ უმნიშვნელოვანეს ტაძარს შორისაა მოქცეული – იოანე ნათლისმცემლის და ლეონ-მშობლის სახელობის (სანტა მარია მაჯორე), მერე მეორე – რომის ყველა ღირსშესანიშნაობასთან ახლოს ვართ. ერთი გორაკით ქუჩა უნდა გადაიარო და უკვე კოლიზეუმის თაღებს დაინახავ!

ისე, სადაც უნდა დაბინავდე, ყველგან საინტერესო ადგილია, რადგან თავად რომია ღია ცის ქვეშ მუზეუმი, როგორც მარია ნიკოლაური ეძახის. დადისარ ამ მუზეუმში და ყველა კუთხე-კუნჭული, ყველა ნივთი, მოსახვევი, ქუჩა და შენობა რაღაც ძალიან ძველ, მნიშვნელოვან და სამუდამო ამბავს გიყვება.

რომში რამდენიმე მოვლენა გველოდება. მათ შორისაა ვატიკანის ბიბლიოთეკაში სტუმრობა და დანტე ალიგიერის დარბაზში პოეზიის საღამო.

ვატიკანით დავიწყეთ. ჩვენი ჯგუფის ერთ-ერთი წევრი გამოცემლობა „ბაკის“ თანადამფუძნებელი და მთავარი რედაქტორი – რუსული და მოსიძეა, რომელმაც ნეაპოლის და ვატიკანის ბიბლიოთეკებისთვის საოცარი საჩუქრები წამოიღო – უძველესი ხელნაწერების მიხედვით შექმნილი „წმინდა ოთხთავი“ და ბეგთაბეგისეული „ვეფხისტყაოსანი“ – ქართული მინიატურული მხატვრობის და კალიგრაფიის მშვენიერია!

მქონდა პატივი და ქალბატონ რუსუდანს ვატიკანში ვახლდი, იმ ღირსშესანიშნავი წუთების ფოტოზე აღსაბეჭდად, როცა ევროპული მნიშვნელობის ერთ-ერთი ცენტრად სახელდებულ ამ ნიაღვი – ვატიკანის ბიბლიოთეკაში – ქართული კულტურის საგანძურმა დაიდო ბინა.

გემასპინძლობდა ბიბლიოთეკის კანცლერი და საქართველოს



ელჩი წმინდა საყდართან – ქეთევან ბაგრატიონი. საერთოდაც, ამ ქალბატონის დამსახურებაა უამრავი კეთილი საქმე და ბოლო დროს გააქტიურებული კულტურულ-საგანმანათლებლო ურთიერთობები ვატიკანთან. ვისაც ერთხელ მაინც უნახავს ქეთევან ბაგრატიონი, თვალი შეუვლია მისი გარეგნობისთვის, მისი მანერებისთვის, იმაშიც ადვილად დარწმუნდება, თუ როგორი



ნუნუ გელაქი

ლაზათითაა შემკული ამ თხემით ტერფამდე არისტოკრატის (უპირველესად, სულით არისტოკრატის) ყველა ნამოქმედარი.

რუსუდან მოსიძის და „ბაკის“ საჩუქრები ვატიკანის ბიბლიოთეკისთვისაც დიდი პატივია – ამას ისინი ხაზგასმით გვაგრძობენ და მადლიერების ნიშნად ბიბლიოთეკის საარქივო დარბაზში ავყავართ, იქ, სადაც მოხვედრა მხოლოდ განსაკუთრებული სტუმრებისთვისაა შესაძლებელი. გეტხოვენ, რომ ფოტოები არ გადავიღოთ. ან თუ გადავიღებთ, არსად გამოვაქვეყნოთ. როგორც თავად ყველაზე, ეს სვეტიცხოვნი დარბაზი „ახალია – სულ რაღაც მე-16 საუკუნის“. დარბაზის ყველა დეტალი მხატვრობითაა ათვისებული – კედლები, ფონტონები, ქერი და იატაკი – ბიბლიურ სიუჟეტებთან ერთად კათოლიკური ეკლესიის, პაპთა და კარდინალების, საეკლესიო კრებების ისტორიასაც აღწერს. სვეტიცხოვნი კი გამოსახულია სხვადასხვა წმინდანები, გრაგნილებით ხელში, რომლებზეც მსოფლიოს სხვადასხვა ანბანი წერია.

ქართული ანბანი მათ შორის არ არის. ჩვენ ამას გულისტკენით აღვნიშნავთ. კანცლერი კი მაშინვე გვპირდება, რომ ამის შესახებ იმათ მოახსენებს, ვისაც საჭიროა. არ ვიცი, ამ მოხსენებით რა შეიცვლება ან ვინდა მიახატავს ამ სვეტიცხოვნი ქართული ანბანით აღბეჭდილ გრაგნილს, მაგრამ ჩვენი წყენა რომ სრულიად ლეგიტიმურია, ამაში ეჭვიც არ გვეპარება – ქართული ანბანი ხომ ერთ-ერთი უძველესია მსოფლიო ანბანთა შორის და ყველა

კანონით იმსახურებს მნიშვნელობისა და დამწერლობის ამ მსოფლიო მოზაიკაში ყოფნას...

ვატიკანის ბიბლიოთეკიდან საქართველოს საელჩოში მივდივართ. იქ სხვა ღონისძიებაა – მარია ნიკოლაურის შეხვედრა მცირეწლოვან მკითხველთან – მარიამის იტალიურად თარგმნილი საბავშვო წიგნის „უჩვეულო კვირადღე“ წარდგენა. მართალია, ღონისძიებას ვეღარ მივუსწართ, მაგრამ სამაგიეროდ, ერთმანეთის დანახვა იმითაც გაგვიხარდა, ამდენი ემოციის და შთაბეჭდილების გაცვლა რომ შეგვეძლო. მარიამი გვიყვება, რომ მისმა შეხვედრამაც არაჩვეულებრივად ჩაიარა, ბევრი ბავშვიც მოვიდა, ლექსებიც წაიკითხეს და წიგნის ფრაგმენტებიც, ბევრიც ისაუბრეს და ითამაშეს.

ზოგადად, ამ დღეების განმავლობაში, ჩვენი თანამემამულეებისგან დიდ ყურადღებას და ზრუნვას ვგრძობთ. მათ შორის განსაკუთრებული სითბოთი კი სოფო ქარცივაძე მახსენდება – წმინდა საყდართან საქართველოს საელჩოს წარმომადგენელი და ახლა უკვე ჩვენი მეგობარი. საოცარი, დაუზარელი, კრეატიული ადამიანი. სოფო ჩვენს ტრანსპორტირებასაც უზრუნველყოფს – ხშირად საჭეს თვითონ უზის და თუ ძალიან არ გვეჩქარება, გზიდანაც გადაუხვევს ხოლმე – ჩვენივე (და ბევრისთვის) უცნობი ადგილები რომ მოგვატაროს, რომის შუაგული უკეთესად რომ გავგაცნოს და დაგვათავაღიერებინოს.

კოლიზეუმში ვერც ამ ჯერზე შევდივარ. თვალუწვდენელი რიგია. გარედან ვუვლით და ცენტრალურ მოედანზე ჩავდივართ. გზად რომის სიმბოლოს – მგლის და მისი ორი ლეკვის: რემისა და რომულუსის ქანდაკებას გავივლით. პირველად რომ ის დავინახე, ცოტა გამიკვირდა კიდეც – ამ ქალაქში, სადაც ყველაფერი ასეთი გრანდიოზული და მასშტაბურია, რაღა მისივე სიმბოლოა ასეთი მინიატურული, ერთი შეხედვით ძლიერსუსამჩნევია? მაგრამ ეს მხოლოდ უეცარი ეჭვია, რომელსაც გაგრძელება არ აქვს. რადგან სიმბოლოს მაგია სწორედ ამაშია – მის ზომიერ სიდიადეში, ამბავში, რომელიც ამ შავი მარმარილოს მგლებისგან იკითხება.

ამ ბორცვიდან გადმოსახედი ცალკე ფილმია! ძველი სენატის ფრაგმენტები, ერთმანეთზე მიყრილი კოლონები, გვირგვინმოკვეთილი თაღები – ძველი დიდების ნაშთი, რომელიც არაფრით არ კვდება! პირიქით, ყოველი მნახველის თვალში ცოცხლდება – რომის ყოველი განთიადისას ილვები და მასთან ერთად ეხვევა ძილის საბურველში. ეს რომის დროა – მარადიულიც და ყოფითიც. მას შეუძლია, იცხოვროს განივთვებულ ისტორიაში და ერთი

წამითაც არ იყოს მოძველებული ან მოსაწყენი.

არ ვიცი, რამდენ ფოტოს ვიღებ. საშინლად მსიამოვნებს ამ კადრების, ამ ხედების დამახსოვრება. წინა ჯერზე ყველა ფოტო წამეშალა. იმედია, ახლა მაინც შევინარჩუნებ. ფოტოებს ვუღებ რომის ცას – ამ განუმეორებელ მხატვრობას, ღმერთების შემოქმედებას. ქალაქებს ცებით ვიმახსოვრებ. რომის ცა არავის გავეს – ტყვიისფერი, დაძაგრული, მუდმივად მოძრავი, თითქოს პანთეონის ყველა ღმერთი ერთად საუბრობს... ამ ცის ქვეშ ყოფნა იმის განცდასაც აახლოვებს, რომ უცხო ქალაქში კი არა, სახლში ხარ. ამ სახლში რა საუნჯეცაა, იმის მემკვიდრედ ყოფნა კი შენი ადამიანური საზრუნავია, შენივე მოსაპოვებელია...

რამდენიმე ადგილას კარგი სანაყინე მახსოვს. ისე, რომში ყველგან კარგ ნაყინს შეჭამ. კარგ ნაყინს და კარგ ყავას მიირთმევ. რომი გემოების ქალაქიცაა. რომელი კაფეშიც უნდა შეხვიდე, ისეთი ხალისით გამოგებებდა მიმტანი, ისე ღილინ-სიმღერით გაგიშლის სუფრას, ისე შემოგასალებს სასურველზე ათჯერ მეტ პროდუქტს, რომ ამ ყველაფრით მხოლოდ უსაზღვრო სიამოვნებას მიიღებ!

ბევრი ყავის და ნაყინის შემდეგ სასტუმროში ვბრუნდებით და მეორე დღისთვის ვემზადებით – პოეზიის საღამო გველოდება.

დილის მზე განწყობასაც ამაღლებს. ნუნუ გელაქემ თბილისიდანვე გაგვაფრთხილა – მალაქქუს-ღამინი, დახურული ფესხაცმელი და გამოსასვლელი კაბები წამოიღეთ, ისეთი დარბაზია, იქ სხვანაირად ჩაცმულები არც უნდა შეხვიდეთო.



მართლა ხელოვნების ნიმუშია დანტე ალიგიერის დარბაზი, სადაც ქართულ-იტალიური კულტურის დღეების ფარგლებში ჩვენი კრებულის წარდგენა უნდა გაიმართოს. საღამოს ორგანიზატორი კვლავ ქეთევან ბაგრატიონია. მოწვეულ სტუმრებს შორის არიან იტალიაში ამომავალი ქართველი ვარსკვლავი – ახალგაზრდა მსახიობი ლუკა ჩიქოვანი და მხატვარ-რეჟისორი სოფო ბერძენიშვილი. სხვადასხვა ქვეყნის ელჩი, საელჩოების წარმომადგენლები, ხელოვანები და ემიგრანტები – აუდიტორია მართლაც შთამბეჭდავია.

და საღამოც ბრწყინვალე გამოვიდა! მარიამ ნიკოლაურის ლექსმა ჭიათურელ მალაროელებზე ნამდვილი ფურორი მოახდინა. არგენტინის ელჩი და ქეთევან ბაგრატიონი ფეხზე წამოუდგნენ, დარბაზი ტაშს დიდხანს და დაუცხრომლად უკრავდა. შეხვედრის ბოლოს ყველამ აღნიშნა, რომ ეს ემოცია, რაც ქართველი პოეტი ქალების ლექსებშია, იშვიათია და რომ ის უსუსტად გამოხატავს სიცოცხლის ხმას; რომ ამ პოეზიაში არის რაღაც არქაული და ნაღდი, რაც ასე ძალიან სჭირდება გაუხეშებულ სამყაროს. ამის მოსმენა ძალიან სასიამოვნოა და კიდევ ერთხელ ვრწმუნდებით, რომ პოეზია მართლაც არა აქვს საზღვრები.

ეს ჩვენი ბოლო დღეა რომში. მეორე დღით უკვე ფრენა გვაქვს – ჯერ სტამბოლი, მერე თბილისი.

ტრევის შადრევანთან მივდივარ, საგანგებოდ მომზადებული ცენტრებით, რომ ისევ ხელუკულმა გადავისროლო და ამ ქალაქში მე-სამედ ჩამოსვლა ჩავუთქვა. მაგრამ შადრევანი დაკეტილი მხვდება – სარემონტო სამუშაოებია და დროებით არავის უშვებენ.

გულში უსიამოვნოდ გამკენწლა, მაგრამ გადავწყვიტე, ამაზე არ ვიფიქრო. ბოლოს და ბოლოს, ჯადოსნური ხომ არა შადრევანი, არამედ ჩვენი შეგრძნებები და ემოციებია, რომლებიც ასე იზიდავენ სასურველ მოვლენებს, ადამიანებს, ქალაქებს და სამყაროებს. ჰოდა, მეც ამ შეგრძნებებს მივწვდები. რამდენადაც მზურვალე და ნამდვილი იქნება ისინი, იმდენად მალე და დაუბრკოლებლად დავბრუნდები რომში!

დავბრუნდები და ყველაფერს თავიდან დავიწყებ – ყველა ქუჩას, ყველა ტაძარს, მოედანს, მუზეუმს და ბაღს! მთელი ცხოვრების სამყოფი წიგნია – რომი, მარადიული ქალაქი!..

მე მჯერა სასწაულებს!



და, კიდევ ერთი: ამ ორივე თვის წინათ, რატომღაც ამეკვიატა ლექსის დაწერა (რომელი პოეტი მე ვარ!) ჩემს უმცროს მეგობარზე, შესანიშნავ პოეტზე, ბალათერ

უფლის წყალობაც თუ იქნა, სადაცაა, 93-ში გადავდგები. ერთს ვიტყვი: ადამის ძე რაც უფრო უახლოვდება „გაღმა ნაპირს“, მით უფრო მორწმუნე ხდება! თანაც, ადრე რომ ვერ ამჩნევდა პატარა-პატარა სასწაულებს, ახლა თვალნათლივ დაინახავს, თვალისწინთან ერთად, თუ „გულიც ექნება ღია“! ამ ათიოდე წლის წინათ, სამების ტაძრის ახალგაზრდა შემოქმედთა ცენტრში, სამწუხაროდ, აღარ მაგონდება, რომელიღაც პოეტის შემოქმედებითი საღამო გაიმართა.

მოულოდნელად, დარბაზში უწმინდესი და უნეტარესი, ილია II შემობრძანდა ორიოდე თანმხლებით!

ბედად, მწკრივის განაპირა სკამზე ვიჯექი და, როცა დარბაზი წამოიშალა, ხევისურული ქუდი მოვიშვილე და შევნიშნე, რომ პატრიარქმაც შევნიშნა; ოდნავ გაღიმებული მომიახლოვდა, წამით შეყოვნდა და მარცხენა ხელისგული თავზე დამადო; ჯვარს ვეამბორე და, დაბნეულმა, მადლობა გადავუხადე. (!?)

და პატარა სასწაული: ოდნავ შეცივებული გახლდით და თავიც გვარიანად მტკიოდა. დაახლოებით 10-12 წუთში ერთმაც და მეორემაც გამიარა. ბავშვით დავიფიცებ: უფალსაც დავუჯავიჯარ, თუ ვაჭარბებდე!

არაბულზე. დაწერე და, სანამ ადრესატს წავუკითხავდი, ჯერ ცნობილ პოეტს, ბ-ნ ვანო ჩხიკვაძეს წავუკითხე. მთელი სერიოზულობით მითხრა: მშვენიერი ლექსია, შენ, ფსევდონიმს ამოფარებული, ჩემ-ჩემად, ხომ არ პოეტობო!

მერე ეგაა სასწაული?! – ფიქრობს, ალბათ, ძლივს აყოლიებული მკითხველი. ახლავ: გულმოცემულმა დაუბრუნე ბალათერს, გულწრფელად მითხრა – მშვენიერი ლექსია და ბევრი პოეტი სიამოვნებით მონაწირედა ხელსო. თუ გამოაქვეყნებ, დიდ პატივს დამდებო!

გათენდა დილა და ბალათერს გულის შეტევა დამართნა; გაუქანებიათ კლინიკაში, სტენდი ჩაუდგამთ, ყველაფერი მშვიდობიანად დამთავრებულა და, როცა შემფოთებულმა მოვიკითხე, შენი ლექსი გამახსენდა და ოდნავადაც არ შემშინებიაო!

თუ აჭარბებს, იმის სინდისზე ყოფილიყოს! თუმცა, ვიცი, ბალათერი სინდისზე მწყურალად არასოდეს ყოფილა.

ავტორი

გიგო ზარნაძე

პოეტის „ახალი სუნთქვა“

ორიოდე თვის წინათ, ერეკლე სალიანმა „ლიტერატურულ საქართველოში“ ლექსების ახალი ციკლი გამოაქვეყნა. ციკლხალი პოეტური სახეებით დახუნძლული და იშვიათი აღმავრებით აღბეჭდილი.

სიხარულით აღვნიშნე ფბ-სივრცეში, – დიდი განსაცდელის დაძლევის შემდეგ, ერეკლეს ახალი სუნთქვა გახსნია-მეთქი. ისიც დავიძინე, რომ იმ ლექსებს აუცილებლად მივეუბრუნებოდი.

და ვიდრე მივუბრუნებოდი, ახალი ციკლი წამოგვანია („ლიტერატურული საქართველო“, №2, 26 იანვარი, 2024). ესეც „ახალი სუნთქვის“ მაჩვენებელი.

პირველი გვერდიდან დავიწყებ. რედაქტორებმა ზუსტად იციან საპირველგვერდოს გამოჩვენება.

არც ივანე ამირხანაშვილს შეშლია. სათაურთანადაც სულ შვიდი სტრიქონია. აქედან ორი ეპიგრაფია.

იმდენად კარგია, რომ სრულად უნდა დავიმონწმო. სათაური:

„რუსთველს“; ეპიგრაფი: „ესე ამბავი სპარსული, ქართულად ნათარგმანები“... ლექსი:

ვარდის ფურცლობის ფერი ადევს, ოსტატო, აისს, არავის ჰგავხარ, ქვეყანაზე არავინ არ გგავს, გამაგებინე, ამისთანა რა თარგმნი მაინც, რომ ვეღარ შეძლო შემდეგ იმის ვერაინ თარგმნა?! ისეთი ლექსია, მუხრან მაჭავარიანის სახელობის კონკურ-

სზე („პოეტური მინიატურები“) უეჭველად რომ გაიმარჯვებდა.

იქ ასეთი წესია: ჟიურიმ არ იცის, ვის ლექსს აფასებს. მაგრამ როცა გამარჯვებული გამოცხადდებოდა, ეს არავის გააკვირვებდა.

თუმცა, ერეკლე სალიანის ხელწერა და სულისკვეთება ახალი ციკლის სხვა ლექსებში უფრო მოჩანს.

*** ლექსები, ძირითადად, მიძღვნილია. ოღონდ, განსხვავებულად მიძღვნილი. ვის უძღვნის ერეკლე სალიანი ლექსს? დონ კიხოტს, შამილს, გრიგოლ ფერაძეს, შინდისს გმირებს... სულისკვეთებაც აქ ჩანს. რას ეუბნება დონ კიხოტს? აი, რას: შენ მოხველ მიტომ, რომ ბურანში მყოფი მსოფლიო არ დააბუნდეს, არ მიექცეს საღათას ძილად!

ეს „ზოგადსაკაცობრიო ჭრილში“ სათქმელი, მაგრამ ერეკლეს თავისი, ქართული სათქმელიცაა აქვს: ჩვენი სადავემძევლები ტატოს მერანი ჰგავს და არცა ჰგავს ლაგამწყარილ დაღლილ როსინანტს.

აი, რით ჰგავს საპირველგვერდო ლექსს დანარჩენები და როგორ იკვრება ციკლი, რომელსაც ერეკლე სალიანის პოეტური სული და ხელწერა ამოლიანებს. დონ კიხოტისთვის მიძღვნა ვის გააკვირვებს, მაგრამ ბევრი გვინახავს ლექსი სანწოზე?! სულის შემარხველია ამ ლექსში გამომხატული ჰუმანიზმი. როგორ ეფერება ერეკლე სალიანი არა მხოლოდ სანწოს, იმ კეთილშობილ პირუტყვსაც, მას რომ დაატარებს. სანწოს ჯერ ამას ეტყვის: არ ღირსებია ჯერ აქამდე პლანეტას ჩვენსას შენი საფერი, შენი მსგავსი უანგარობა.

შემდეგ კი ამას სთხოვს: არ განყრე, სანწო, არ უსუსხო შენს ჯორს მათრახი, ნუ მიყენებ ტკივილს პირუტყვს ღვთისგან გაჩენილს, შენ ფიქრს გვასწავლი, ფიქრს გვასწავლი, ყველგან გავზავნილს, იმ ფიქრს მოჰყვება, იცი, რადგან სხვა დანარჩენი...

*** სხვა დანარჩენი ამ ლექსსაც მოჰყვება. შამილს რომ უძღვნი, მისთვის მთავარი ისაა, რაც ეპიგრაფშია: „რუსების მიერ ალყაში მოქცეულმა დაღისტინის იმამმა მოითხოვა, ქართველი მეზობელი შესულიყო მასთან და მისთვის ჩაებარებინა იარაღი. ეს მისია წილად ხვდა თუმ იაკობ ლეკაისძეს.“

და ლექსიც ორივეზეა – ლეგენდარულ იმამზეც და ქართველ რაინდზეც, ვინც „იცის ჭეშმარიტ ღირსების ფასი“.

გრიგოლ ფერაძის სამაგალითო თავგანწირვა პოეტის წარმოსახვაში ამგვარ მეტაფორას გააჩენს: მზემ სახრჩობელა აღმართა ცაზე და ჩამოიხრჩო ზედ თავის თავი.

შინდისის გმირი ალექო ონიანი, ნათლულთან ერთად, თავს რომ აიფეთქებს, პოეტი ლექსს ასე დაამთავრებს: მინა იძვრის, ჯოჯოხეთი გუგუნებს, სიბნელესაც ეცვივება ფარდები, გაანათებს ხელყუმბარა უკუნეთს და არც ერთი მტერს ცოცხლად არ ბარდებით...

*** ამ ციკლში არის ერთი პანია ლექსი, რომელიც არც რეალურ გმირს ეძღვნება და არც ლიტერატურულს. მთვრალ სვანზეა.

და ნუ გაიკვირვებთ, თუ ვიტყვი, რომ ის ყველაზე უფრო კეთილია. ერეკლესავით გულთბილი და კეთილი. კი, ლექსიც შეიძლება, იყოს ასეთი. ამას მარტო ეს ორი სტრიქონიც მიგახვედრებთ: ისე ბარბაცებს დამთვრალი გუჯა, რომ დედამინას აცილებს ფეხებს...

*** და რა გასაკვირია, რომ მახარებდეს ერეკლე სალიანის „ახალი სუნთქვა?!“

იოსებ ჭუმბურიძე



მოგაკლის თვალთახედვა

ვისაც მოძღვრად ასეთი მდიდარი ბიოგრაფიის ხელოვანი ჰყავს.

თანამედროვე ფერწერის, წიგნის გრაფიკის, ნუმისმატიკისთვის განხორციელებული ესკიზებისა და საეკლესიო ხატწერის დარგში მან იმდენ და ისეთი ხარისხის აღმასვლას მიაღწია, რომელიც გაუძლებს დროს. ნიჭთან ერთად იგი განგებამ პასუხისმგებლობის გამძაფრებული გრძობითაც დააჯილდოვა. ეს აშკარად ატყვია მის ნებისმიერ ნამუშევარს.

გემოვნება და დახვეწილობა, ფერისა და ფორმის მშვენიერება მამუკა მიქელაძის თანმდევი ფასეულობებია, რომელიც მის მხილველს მუდამ დასამახსოვრებელ, ზეიმის სადარ განწყობილებას უქმნის.

მამუკა მიქელაძე არის ღრმად ეროვნული მსოფლმეგობრების

ხელოვანი, ჩვენი ძველი კედლის მხატვრობისა და ხატწერის, მამუკა თავაქარაშვილის, ნიკო ფიროსმანის, ლადო გუდიაშვილის, დავით კაკაბაძის ღრმად მცოდნე და გულთხეობიანი მხატვრები. მართალია, იგი, უპირველეს ყოვლისა, ეროვნული ფესვებიდან იკვებება, მაგრამ კარგად იცნობს თანამედროვე მსოფლიო ხელოვნების საუკეთესო მიღწევებსაც. ამიტომ არის, რომ მის ფერწერაში მუდამ იგრძობა სიხალისე და გამომსახველობის განსხვავებული ფორმების მოსინჯვა, რაც ძალზე ბუნებრივად ერწყმის მის მაძიებელ, ნოვაციისთვის მუდამ გახსნილ ნატურას. ნახეთ მისი „იესოს კვართი“, „ადამი და ევა“, „ლომი“, „ვეფხვი თავისი ბოკრით“, ასევე აბსტრაქტული ტილოები და უმაღ ირწმუნებთ მისი

აზროვნების სიღრმესა და უსაზღვრო ფერწერულ შესაძლებლობებს.

წლებულს, ზაფხულში, თბილისში დაგემილია მამუკა მიქელაძის ვრცელი პერსონალური გამოფენა, რომელიც დარწმუნებული ვარ, მხატვრის დიდ გამარჯვებად გადაიქცევა.

მამუკა მიქელაძე დაზგურ ფერწერასთან ერთად უძლიერესი და მნიშვნელოვანი ფრესკისტი გახლავთ, ვინც ქართული საეკლესიო მხატვრობა ბევრი თვალსაჩინო ნიმუშით გაამდიდრა. მან თავიდან ბოლომდე ათი ეკლესია მოხატა საქართველოში, ასევე შექმნილი აქვს ჩვენი წმინდანების ათობით ხატი. ჩემს სტატიას თან ერთვის ორი მათგანის, თამარ მარჯანიშვილისა და ბერი გაბრიელის ხატები, თუნდაც მათი ხილვა ხდის სარწმუნოდ, თუ რა საკრალური ძალისაა ეს იკონოგრაფიები, რა მადლისა და სასოების მფენია მათი სახისმეტყველება.

ბოლო წლების ქართული ხელოვნების ამამაღლებელ მოვლენებს

ნას წარმოადგენს ბოდბის დედათა მონასტრის ახალი ტაძარი (არქიტექტორი თემურ ბერიძე). მამუკა მიქელაძეს ერგო წილად პატივი მისი ესკიზებით მოხატოს მთელი ტაძარი. ბოლოს გადაწყდა, რომ ფრესკების უდიდესი ნაწილი შესრულდებოდა მოზაიკის ტექნიკით და მათ პირველწყაროდ დაედება მამუკა მიქელაძის შექმნილი მონუმენტური სცენები.

იგი თავისი ცხოვრების წესით და ადამიანების მიმართ გამოხატული სიყვარულით ყველაზე მონყაღე ქრისტიანია, ვისაც ვიცნობ და უეჭველად ამანაც მისცა მის გულსა და მარჯვენას ძალა ამ ღვთიური საქმის დასაგვირგვინებლად!

გულოცავ ჩვენს ძვირფას მეგობარს, საამაყო ხელოვანს, მამუკა მიქელაძეს, 65 წლის იუბილეს, ვუსურვებ ჯანმრთელობასა და ახალ შემოქმედებით მიღწევებს.

გიორგი ლალიაშვილი

▶▶ ბაზრძეშვილი. დანაწილი №4

პეზარ
კვიტაიშვილი

გვერდითი
მინატრია...

08.11.2018. დილაობით, რვიდან ათ საათამდე, ვერის ბაღში გავდივარ და, შეძლებისდაგვარად, ვვარჯიშობ. ეს წნევას აწესრიგებს და დახუთულ სახსრებსაც უხდება. მოხუცებულთა გვერდით ახალგაზრდებიც ბლომად არიან. ისინი უფრო დიდხანს, ძალ-ღონის დაუზოგავად ტრიალებენ ნაირ-ნაირ იარაღებზე, კუნთებს იმაგრებენ. ბევრნი სხვადასხვა ჯიშის ძაღლებს დაასეირნებენ და ფიჭვის გირჩებს უგორებენ, რათა ენაგადმოგდებულენა ადამ-დადამ ირბინონ, ზედმეტად რომ არ გასუქდნენ. პენსიონერთა ერთ, ჯანმბარ გუნდს ბაღში სასმელი (არაყი, ლუდი) და ძხვეწული შემოაქვს, დროს ატარებენ.

ბაღში შეგულებული მაქვს მყუდრო, განაპირა ადგილი, ჩოგბურთის მოედანს რომ გადაჰყურებს, ხასხასა მწვანე მინდორია, ფიჭვნარში მოქცეული. ალაგ-ალაგ ვეხედავ, ბრტყელი ქვები ყრია, რომლებზედაც მალაქანჭიანი ყვავები სხდებიან ხოლმე და თავიანთ ენაზე ხმადაბლა თათბირობენ (ასე მეჩვენება). იმათ მახლობლად ფრთებდაშვებული, ასეთივე შავი მტრედები დაგოგავენ, ერთმანეთს ხელს არ უშლიან. შეიმჩნევა ხავისფერი სკვინჩების სიმრავლე. მათი ნაწყვეტ-ნაწყვეტი, ნაღვლიანი ამოკვანთა სოფლის მაგონებს.

მთავარი სამზერი მაინც რკინის მესერის გადაღმა ასეტილი მალაქი შენობაა, სადაც მესუთე სართულზე ჩემი ნაცნობი, უსაზღვროდ კეთილი ქალბატონი, ნუნუ ქიქოძე ცხოვრობს, მასთან დედაჩემის ახლობლობა, უკეთესობილესმა პიროვნებამ, შეთქმულდარმა დედამ, თათული ნაწივილია დამაკავშირა. განსაცვიფრებლად სათნო, მიმდობი გამოხედვა აქვს, თვალეში გამოსჭვივის თანდაყოლილი სიალაღე. ქალბატონ ნუნუს ორ-სამჯერ ვესტუმრე. სამი სქელი ალბომი დარჩენილი წინამრეზისაგან, ქართველ არისტოკრატთა დაგეროტიკებით სავსე. იცოდა, გვანჯი ჩიქოვანზე ნარკვევს რომ ვწერდი, და რამდენიმე უნიკალური ფოტო მომცა დიდი ხნის წინ მცხოვრები თავად-აზნაურებისა. ხილისა და ტკბილეულის გამოტანა უყვარს სუფრაზე, გაუმასპინძლებლად არაფრით არ გამოგიშვებს. საგულისხმო ამბები მომიყვა გვანჯის ნათესავზე, უმამაცეს ვარლამ ჩიქოვანზე, მის საარაკო ვაჟკაცობაზე სვანეთში, ნაწილობრივ ჩავინერე და შევეცადე, სამომავლოდ გამეყოყენო.

სხენებულ შენობას საათობით ვუყურებ და სიამოვნებას განვიცდი. მოღრუბლულ ამინდში მდოგვისფერია. აღმოსავლეთი მხარე, კოშკის მსგავსად, მომრგვალებულია. მზე როცა მიადგება და აშუქებს, კვერცხისფერისფერი ადევს. საკმარისია, მზეს ღრუბელი წაეფაროს და მაშინვე იცვლის იერს, გაბაცებულს, სიცოცხლე აკლდება. ძნელია აღწერა. ამ შენობისა და ნიადაგ მონაცვლე ფერების ტილოზე გადატანას ვერმეერის თვალი და ფუნჯი სჭირდება, მაგრამ საიდან მოვიყვანო? ისევე შორიდან ცქერას უნდა დავჯერდე. ბევრჯერ მინატრია, მხატვარი ვყოფილიყავი.

მოულოდნელად
გამოჩნდა

19.12.2018. ზამთრობით პატარ-პატარა, ფრთიანი მწერები

ნიგნიღან - „ჩქანითელის გვერდი“

თითქმის არ ჩანან, იშვიათად თუ გამოკრთებიან და გამახალისებენ. ამ საღამოს გამომეცხადა ერთი. წამლის მომცრო, დაბალ, თეთრ-სახურავიან ჭურჭელზე გვერდულად დაჯდა. მომწონა პანია, შავი, რალაცით ბუზის მსგავსი, მაგრამ ბევრად სუფთა არსება. ვინრო, მის სხეულთან შედარებით, ბაცი, გალანდული წყვილი ფრთა სიგრძივ ენყო ზურგზე, ციცქნა ტანს ჩაცდენილი. კარგა ხანს არ გატოკებულა. მეგონა, ჩათვლიდა. მტკივანი სახსრების გამაყურებელი, ჟელატინშემოკრული წამლის ფხვნილი მქონდა დასალევი და ნახევარი საათი დავიცადე, არ მინდოდა, დამფრთხალიყო. იქიდან ფაიფურის ჭიქის სახელურზე (ისიც თეთრია) გადაჯდა. შავად უბზინავდა სამკუთხად წამახული ნამცეცვა თავი. ვაკვირდებოდი. ცოტა ხნის შემდეგ ჭიქიდან აფრენილს შევხედე. თითქოს გაუტოკებლად ჩერდებოდა ჰაერში. ჩანდა, გვერდზე გაშლილ სიფრთვანა ფრთებს, გრძელნიკარტა კოლიბრის მსგავსად, სწრაფად, დიდი სიხშირით ამოძრავებდა, თორემ ისე ამის გაკეთებას ვერ შეძლებდა. ჩემს სენაკში რამდენადმე თბილა, ნათურაც ჩართული მაქვს და, ვგონებ, ამანაც მოიხიდა. დარწმუნებული ვარ, სიცოცხლის ხანგრძლივობა პეპელაზე მეტი ექნება. ეტყობა, დღემოკლეთა მოდგმას არ მიეკუთვნება, კიდევ ვეა კიდევ ფაფრავტებს. გაუჩინარდა, მაგრამ ვიცი, კვლავ დამენახება.

P. S.

21.12.2018. გამართლდა ჩემი ვარაუდი. ორი დღის მერე ისევ მოვკარი თვალი. ჩემს ოთახში ლაღად დაფრინავდა, სახესთან მიახლოვდებოდა და მალევე მარდად მშორდებოდა. თუ რამე გამეგება, აშკარად ის იყო. ჰაერში ადრინდელი სიგრძე არ შეიმჩნეოდა. მოზრდილ, მრგვალ, შავ ნერტილად დაქანაობდა. გავიხარე, თანაც შევწუხდი – აქ რითი იკვებები, თავს რანაირად ირჩენს-მეთქი. ყველა ცოცხალ არსებას ხომ ჭამა უნდა? ახლა, კატასთან ერთად, სამნი ვართ ამ უბადრუკ, დაბზარულ ჭერქვეშ. ყველაზე მეტი გაფრთხილება მას სჭირდება. რატომღაც მინდა, ვაგრძნობინო, მისდამი კეთილად რომ ვარ განწყობილი, თუმცა ვიცი, როგორც ბევრ სხვა შემთხვევაში, ჩემს ამ სურვილსაც აღსრულება არ უნერია. ადრევე ვთქვი, დღემოკლეს ნამდვილად არ ჰგავს, მაქოსავით დასრიალებს იქეთ-აქეთ, სანამ არ მობზრდება, ალბათ, გუმანით იგრძნო, ჩემს სიახლოვეს სასიფათო არაფერი დავემართება, და ამიტომაც შემომეკედლა. ხვედრს არ უნდა ემდურებოდეს, ერთად შევეგებებით მოახლოებულ ახალ წელს. გული დამწყდება, ჩემი თვალსაწიერიდან უცაბედად თუ გაქრა. ეს მემიძება – ისე ლაღად, ნებზევად დაქრის, სამზუოდან ადრე წამსვლელისა არაფერი ეტყობა.

სიცოცხლის
მოუკლავი ჭინი

05.02.2019. გადის წლები და საზრუნავად, თავსატეხად მუდამ ერთი და იგივე მრჩება, ვინაიდან გეზს, მიმართულებას არ ვიცვლი და ადრინდელი ცდომილებანი სხვადასხვანაირად მეორადება. უბრალო გადათავალიერება კმარა, იოლი მისახვედრია – მეტწილად სრულიად ფუქსავატურ რამებსა და შემთხვევებზე ვწერ ლექსებს

(ცხადია, მყისიერად, ნაუცბათე-ვად), ისეთებზე, სხვები ზედაც რომ არ შეხედავდნენ, არავითარ ყურადღებას არ მიაქცევდნენ. არც ის მგონია, რომ ასე გაჩენილი, ჯერჯერობით გამოუქვეყნებელი სტრიქონები სასურველ ზემოქმედებას მოახდენს და რაიმეთი მნიშვნელოვანი იქნება. სადავე-მიშვებული, ამ ახირებულ ჩვევას ვერა და ვერ ვემვები. ტყუილად როდი ამბობდნენ ჩვენი წინაპრები, ჩვეულება რვეულზე უმტკიცესიაო.

მე ვერ გამომადგება ზოგი დიდი ლირიკოსის რჩევა, რომ შთაბეჭდილება ათეული წლებით უნდა დააძველო და მხოლოდ მერე შეიძლება, ლექსად იქცეს. რომც დაეჭირმანდე და მივყე ამ დარიგებას, ჰაერში გამოკიდებული დავრჩები, სად მოვიდო შთაბეჭდილებათა დასაძველებელი ამოდენა დრო?! ერთ წყებას თავი რომ მოვუყარო, ამათაც მკაცრი შერჩევა დასჭირდება; უარესებიდან წასაკითხად შედარებით უფრო ასატანები უნდა გამოვაცალკევო. ამასთანავე, ეჭვი მღრღნის, არ მესახება – ამჟამად შედგენილი კრებული ადრინდელივანა თვისობრივად განსხვავებული, სიახლით აღბეჭდილი იყოს, თუმცა რალაცნაირი, მზერის დამაამებელი სურათი მაინც შეიკვრება.

ისევ ძველ სანუხარს უნდა მივუტრიალდე. ყველაზე უკეთ თავად მაქვს გაცნობიერებული – უმრავლესობა, რაც ჩემს რვეულშია განთავსებული (უფრო ლექსებს ვგულისხმობ), ჯეროვნად არ არის გამართული და გაშალაშინებული. ყველაფრის მოვლასა და მოწესრიგებას ათი სიცოცხლევ არ ეყოფოდა. მაინც გასაკვირია, ასეთმა შემპრობოლმა რაოდენობამ როგორ იპოვა სადინარი. მთავარი, რამაც ეს შემადგენი, სიცოცხლის მოუკლავი ჭინი და სილამაზის ჩემებურად დახატვის ამოუწურავი სურვილია. არის ერთი, არც თუ უსაფუძვლო მიზეზიც – ადრეულ, თავქარიან სიყმანეილში მრავალი წელი უქმად, უდიერად გავფლანგე და ამჟამად, ხანდაზმული, დაკარგულის ანაზღაურებას, ამოგებას ვცდილობ.

დაუჯარიკლად
ლამაზი სანახაობა

06.03.2019. ნუხელ „მეცოზე“ გადმოსცეს ფანტასტიურად ლამაზი ბალეტი „კოპელია“ (სამ მოქმედებად გაშლილი). ავტორის გვარი ვერ გავარჩიე, თუმცა ვიცი, „ოქროს ფონდში“ შეტანილი. ტიტრებში წავიკითხე (ეს კიდევაც იგრძნობა), რომ იტალიური „კომედია დელ არტს“ მოტივებზე უნდა იყოს შექმნილი, მაგრამ თავად კომპოზიტორი, ვგონებ, ფრანგია, „გალანტური ეპოქის“ დროინდელი. გასაოკრად, უდიდესი ხელოვნებით იყო შეზავებული კომიკური ელემენტები და პასტორალური ლირიზმი – გეგონებოდა, გაცოცხლებული გობელენების გაუთავებელ ნაკადს უყურებდი. ცალკეულ მოქმედებებში ჩაცმულობასა და შესრულებას წულარ იკითხავ, თვალს ვერ მოსწყვეტდი. გავიფიქრე, რა ბედნიერად ჩათვლიდა თავს ელგუჯა ბერძენიშვილი, ეს შეუდარებელი დადგმა რომ ენახა და სიცოცხლით, გრაციოზულობით აღსაცხე მუსიკა მოესმინა. მასავით ცოტამ იცოდა შეტაცებული მშვენიერების ფასი. აღტაცებული დარჩებოდა. შექმლო, ქანდაკებებისთვის ჩაედა სული, ამომძრავებინა. მიფიქრია, მარტო ასეთი რამისთვის ღირს ამქვეყ-

ნად გაჩენა და რამდენი მადლობა უნდა შეუთვალო წინაპრებს, შენს სამზოზე მოვლინებას რომ დაუდეს სათავე.

შეუდარებელი, ნამდვილი ვირტუოზები იყვნენ ნამყვანი მოცეკვავეები და გუნდურად მოსრიადები. გაძნელებდა, ამ სასწაულს ნააჭარბოს ბალეტის ხელოვნებამ. უჩვეულოდ ახალისებს წარმოდგენას მოხუცი, ტანმალალი კომიკოსი, გრძელთმიანი, შლაპადაკოსებული, ქოლგით რომ დაბარბაცებს სცენაზე, ფეხებში ელანდება იქ მყოფებს და, როცა საჭიროა, მთავარ გმირთან, ციბრუტივით მოტრიალე გოგონასთან, ელეგანტურად ცეკვავს. შუალამდე მონუსხული შეყვრებული ნაირფერად აჭრელებულ ეკრანს და გაოგნებული დავრჩი.

ბიტარის ჰანაბა

07.03.2019. გათენებისას „მეცოზე“ გაიმეორეს (1984 წლის ჩანაწერი) დიდი გადაცემა გენიალურ ესპანელ გიტარისტზე, პაკო დელუსიაზე. უფრო მეტი სიამოვნება ძნელია განაცხადვინოს მუსიკოსმა. კადრების მონაცვლეობას, მდინარებას, თავიდან ბოლომდე გასდევს მისი საუბარი. მხრებზე დაყრილ გრძელ თმას შეხამებული, თეთრი და ყავისფერი ზოლებით განყოფილი პურანი აცვია. გრძელ სახეზე ეტყობა ძველისძველი ჯიში, აუმღვრეველი კეთილშობილება.

ყოველი წერილმანის მცოდნე ნამყვანებმა – ქალმა და კაცმა – აჩვენეს სხვადასხვა წლებში მასეტროს თავბრუდამხვევი დაკვრა, არისტოკრატიული მოყვანილობის თითების ელვისებური მოძრაობა, თვალს რომ ვერ მიადევნებ. შიგადაშიგ გამოჩნდებოდნენ მისი მომლენალი მეგობრები. ერთი, ანტონიო (გვარი ველარ გავარჩიე), ასე სამოცი წლისა, ექსტაზისგან დაბნედილი იყო, რიტმულად ზმოუდა, თვალდახუჭული ამოთქვამდა უცნაურ, სმენისდამამებელ ბგერებს. სხვებიც საუკეთესოები იყვნენ. ერთი მოცეკვავე მამაკაციც აჩვენეს, დანარჩენებით ვირტუოზი, როგორც გახელებული რომ აწნავდა „ფლამენკოს“ ილიტებს.

შუა გადაცემისას გამოჩნდა აქვითინებული ზღვა ხალხი. ქალები ცრემლებს აღვარდვარებდნენ. ყველიებში ჩაძირული პაკოს კუბო მისივე გიტარის ფერისა იყო. დაუცხრომელი ტაბით მიაცილებდნენ მიცვალეზულს სამუდამო განსასვენებლისკენ... მერე ისევ სიმების ჟრჟოლვისმომგვრელი თრთოლა და ჰაერში დარხული ღვთაებრივი ჰანაბები. კვლავაც ვინატრე ელგუჯა ბერძენიშვილი, ვინაც პაკო დელუსიასა და ყოველივე ესპანურის თავგადაკლული მოთაყვანე იყო. ენით ვერ გამომიტყვამს, რამდენად მაკლია იგი და გული მწყდება, რომ განზრახული (კითხვარი შედგენილი მქონდა), მასთან შეთანხმებული ინტერვიუ დროულად არ ჩამოვართვი. ამას აღარაფერი ეშველება.

ღირსია ჰქონდეს
„საკუთარი ნიშა“

28.03.2019. ეს, არც ისე მნიშვნელოვანი ამბავი ათი წლის წინ უნდა ჩამენერა, თვით მიზეზიდან რომოც წელზე მეტია გასული. ჯანსულ ჩარკვანის რედაქტორობით გამოკავალ „ცისკარში“ ვმუშაობდი. იმისთანა ბედნიერი და ნაყოფიერი პერიოდი ამ ჟურნალს მერე აღარც დასდგომია. ყველა (უფროსი თაობა, ახალგაზრდობა), ვინც ღირსი იყო, დაუბრკოლე-

ბლად და ნიჭიერების შესაფერისად იბეჭდებოდა. ჯანსულთან შესვლა კვირის ნებისმიერ დღეს ყველას თავისუფლად შეეძლო.

1968 წლის ზაფხული იდგა. რედაქციაში დაბალი, ახალგაზრდა, შავგვრემანი კაცი მოვიდა. ხელში საქალაღე ეჭირა. იქ მყოფებს არ მოგვსალმებია, პირდაპირ რედაქტორის კაბინეტისაკენ გაემართა. თვალე აქეთ-იქით დაუბრბოდა, შემინებულს ჰგავდა. ეტყობა, ვილაცამ გააფრთხილა, თანამშრომლებს ნუ ენდობი, გაგანვალეზენ, პასუხს არ გაღირსებენ, საქმე უშუალოდ რედაქტორთან დაიჭირო. ასედაც მოიქცა. თბილისელის იერი არ ჰქონდა. ჯანსული მისი თანდასწრებით გაცნო მასალას და სამი ლექსი შეარჩია. ნასიამოვნებმა, ჩვენ თითქოს ნიშნის მოგებით გამოგვხედა. რედაქტორმა მიგვიხმო, ნავაკითხა ის ლექსები, იდეურად დაჭედვილები, და, ცხადია, დავეთანხმეთ მათ გამოქვეყნებას. მაშინ კომპრომისი ჩვეულებრივი მოვლენა იყო, ვინ აღარ აკეთებდა ამას და ყმანვილი კაცისგან რად უნდა გაგვეკვირებოდა? დაიბეჭდა სამივე ლექსი. ავტორის გვარ-სახელი (ომარ დოხნაძე) და გარეგნობაც დამამახსოვრდა.

ერთი რამის გამო (დიდი ხნის მერე ისევ წავანყდი მის გვარს), მომინდა იმ ლექსების გადაკითხვა და საჯარო ბიბლიოთეკაში რის ვაი-ვაგლახით მივაგვენი „ცისკრის“ მაშინდელ მეთაუ ნომერს (ნაცების ხელისუფლების მიერ მწერალთა კავშირის დარბევისას იქაური მდიდარი ბიბლიოთეკა, განსაკუთრებით კი პერიოდიკა, განადგურდა).

როგორც ველოდი, ორ გვერდზე განთავსებული ლექსები ბოლშევიკური სულისკვეთებითაა გაულენითილი. პირველი ლენინური კომკავშირის ორმოცდამეთაუ წლისთავს ეძღვნება. ასეთები უამრავი იბეჭდებოდა საბჭოთა ეპოქაში. სანიმუშოდ ამოგწერ რამდენიმე სტრიქონს:

რევოლუციავ, მე მოველ შენთან, ნუ იტყვი ჩემზე, ბავშვი არისო, შენი სიცოცხლის მეც ვარ ზიარი, შენ მომეც ცეცხლი და ასპარეზი, მე შენ მასწავლე ცაში სრიალი.

იქვე მზურვალე ფიცს დებს უთვალავი უბედურების მომტანი „რევოლუციის“ (სინამდვილეში ოქტომბრის სისხლიანი გადატრიალების) წინაშე:

დაუცხრომელი, დაულალავი, შენი ვიყავ და შენი ვიქნები.

მეორე ლექსიც, ასეთივე ტრადიციული, „ციმბირის პაპის“, ნესტორ კალანდარიშვილის ხსოვნისადმი მიძღვნილი, არაფრით არ იქცევს ყურადღებას და, ამდენად, ციტირებაც არ ღირს.

ბოლო, მესამე ლექსი – „პოლიუმუკო პოლე“ – შედარებით ლალი, მელოდიურია, ცნობილი სიმღერის ტონალობას მიჰყვება; ხელოვნურად, ვერაგული განზრახვით განაღებულ სამოქალაქო ომის პათოსი კი დაჰკრავს, მაგრამ, წინა ორთან შედარებით, პოეზიასთან მეტი კავშირი აქვს. აქაც რამდენიმე სტრიქონის მოხმობა იკმარება:

ესკადრონი ჩორთით მიდის, პოლიუმუკო პოლე... აცილებენ მოწყენილი ტირიფი და ოლე. ესკადრონი ომში მიდის, პოლიუმუკო პოლე... აცილებენ მოწყენილი დედა, მამა, ცოლი. ესკადრონი მიდის, მიდის, პოლიუმუკო პოლე...

▶▶ ბაზრძეშვილი ქიანა

უფრო მეტი, ვიდრე პოეზია

ლალო ასათიანის პოეზია უფრო მეტია, ვიდრე უბრალოდ პოეზია, რადგან მასში დაუნჯებულია ის შეუცვლელი მნიშვნელობა, ის დიდი ღირებულება, რასაც ვიყვანებოდა „ერის ცენტრალური ბგერა“ უწოდებდა.

ერის „ცენტრალური ბგერა“ ილია ჭავჭავაძემ სამად სამი სიტყვით განმარტა:

„მამული, ენა, სარწმუნოება“.

ლალო ასათიანმა ეს „ცენტრალური ბგერა“ კი არ მოიძია, ან ინტელექტუალური ძიებით კი არ მიავსო, არამედ ის თავისთავად აღმოაჩინა, აღმოაჩინა, როგორც ერის მიძინებული მესხიერება.

„ჩანაწერებიდან“:

„მე კარგად ვიცი, ვინა ვარ, რა ვარ, საიდან მოველ, ან საით წავალ“.

ის იმ ნიკო ფიროსმანის ნაფეხურებს მიუყვება – იმ გზას, ვინც მის მსგავსად შეძლო აღედგინა ერის პირველსახე, მისი უსაუთრესი პირველფენოვანი.

სიყვარული, როგორც სულის გამოცხადება

და მაინც, მღელვარება და ალტაცება მის პოეზიასთან მიახლებს, თითქოსდა ხელახლა ვისხენებდეთ, ვჭვრეტდეთ და ვისმენდეთ ღვთის მიერ თიხისგან გამოძერწილი, სუნთქვამადგმული ადამის სიტყვას.

მისი პოეზია და ამ პოეზიაში მოქმედი სიყვარული იმ სიყვარულს განასახიერებს, რომელზედაც ლარომუფოკი წერდა:

„ჭეშმარიტი სიყვარული სულის გამოცხადებას ჰგავს: ყველას პირზე აკერია, მაგრამ ცოტას უნახავს“.

გამოცხადებას ჰგავს მისი სიყვარული, რადგან მისი დაუზოგავი გრძობა მიემართება კონკრეტულად არა საყვარელი ქალისადმი, ან თავისი წრის მეგობრისადმი, ან თავისი შემოქმედებისადმი, არამედ მთლიანად და უდანაკარგოდ ქვეყნისადმი, თავად სიცოცხლის სისასისადმი:

„სულ მენატრება და მელანდება ასეთი სურათი:

თენდება, ყველაზე უნინ ჩიტების ჭიკჭიკი და ჟღერტული ჩამესმის ყურში, – თვალებს ვჭყეტ, ზეზე ნამოვარდები, ფეხშიშველი, თავ-ქუდმოკლეჯილი გავვარდები კარში! მზე ახლად ამოდის, გუმარების ქალებში ჩრდილები წაგრძელებულან, გავრბივარ მდებოზე, ცვრიანი ბალახი შემხიჩინებს ფეხის გულში და მთლად გავილუმპები... ერთი ასეთი სოფლის დილა ღირს მთელ სიცოცხლედ. ესაა მინის სინდელე და სურნელება – ვაჟასა და ფიროსმანს რომ უყვარდათ!“ (ლალო ასათიანი „წერილი – ძმა ნიკალასადმი“, თბ. 1943 წ., 20 მარტი).

ამიტომაც მისი სული – სიყვარულის ნიჭით დაჯილდოებული, მამასადამე, თავისუფალი სული ვერ ეტევა ვერავითარ საზღვრებში, ვერავითარ ჩარჩოში, მოუთვინიერებელია და ბუნებასავით ლაღია. ის წერს:

„სულ გარეთ და ვაძვლები ჰაერზე მინდა ყოფნა, თითქოს მალე დაგვუჭავ თვალებს და ველარ ვიხილავ თბილისის ზეცას!“ (ლალო ასათიანი „ჩანაწერები“, გვ. 41).

ყურადსაღებია ასევე, რომ ის არ წერს, როგორც საზოგადოდ პოეტი დაწერდა: – ველარ ვიხილავ ზეცას! არამედ, ის წერს: „ველარ ვიხილავ თბილისის ზეცას“.

სულიერი გზა - არა კაცის, არამედ ქვეყნის

თუმცა ერთი შეხედვით უცნაურია, და მაინც, გასაგები მისი განაცხადის ეს ფრაგმენტი:

– არა, მე ვიცი ვინ ვარ, არამედ, „მე ვიცი რა ვარ“ (ხაზგ. – თ.ს.) ანუ მე თავად ქართველი ვი ვარ, თავად ჩემს ქვეყანას განვასახიერებ.

ამიტომაც მას ჰქონდა ნიჭიერება, მაგრამ მისი მესხიერების მიმართებას არ ჰქონდა ზოგიერთი საგნის ასახვის მოცალეობა. თვით საკუთარი დიდი ტკივილისადმი, ბუდისწერით დაბეჭდილი და მისი სიცოცხლის მტრის – დაავადება ჭლექისთვისაც, მხოლოდ ორადორი ტაევი ძლივს გაიმეტა, თანაც არა გოდებით, ან მწუხარებით, არამედ მისი უარყოფის კონტექსტში:

„როგორ არ მინდა ძლიერო სენო ლექსში ქართულად რომ მოვიხსენიო“ ჩანაწერებში კი ჩაუწერია:

„სიძნელეთა წინაშე კაცი არ უნდა შედრკეს და ქვითინი არ უნდა დაიწყოს“.

ან, თუნდაც განა ვერ ხედავდა ბრბოს უსახურებას? განა არ აღიზიანებდა მისი არ-

„ხანგრძლივი გზა“ - სიხოსხლის გაფუძნება

სეზობა! მაგრამ მის მალაღ დანიშნულებას, მისიას არ სურდა ამისთვის დრო დაეხარჯა. ერთი ასეთი ჩანაწერიც კი არსებობს:

„...ო, როგორ მძულს და მეზიზღება ზოგი ხეპრე და ბოლთის თაყვანისმცემელი, კარგად ნასადილევი ადამიანის სახე რომ აქვს. საზარელია მისი ტანისამოსი, აღნაგობა, ყველაფრით რომ კმაყოფილია. თითქოს რომ არაფერი არ აკლია, ყველაფერი რომ თავის ადგილზე აქვს, მაგრამ არ გააჩნია შნო, ლაზათი და მშვენიერება, თვალეში უაზრობა ჩასდგომია... ასეთი ადამიანის გული ბნელია, როგორც ტუნჩი კაცის საფლავი!“.

დაახ, მაგალითად მას არ ჰქონდა ფუფუნება თემად აერჩია შარლ ბოდლერის დარად ორდინალურისა და არაორდინალურის, ბრბოსა და პოეტის ურთიერთობა. დაეწერა ფრანგი პოეტის დარად ლექსი „ალბატროსის“ თემატიკაზე, რომელშიც ჩანს, თუ როგორ დასცინის ბრბო პოეტს. ამ უმშვენიერესი ლექსის პათოსი შორს იყო მისგან, რადგან მისი ხალხის წიაღიდან გამომდინარე ლექსები, ხალხისთვის ახლობელი და ნაცნობი იყო, ამიტომაც შეიძლება ითქვას, რომ ისინი ერთად სუნთქავდნენ, ხოლო ბრბო, რომელიც ყველაფერს იმიტირებს, რაც აღიარებულია, ისიც მის „გვერდით“ აღმოჩნდა. ფრანგი პოეტის ამაღლებული ლექსის „ალბატროსის“ ბოლო სტროფის მოსმენისას:

(...) მაგრამ მიწაზე, სადაც კაცთა დგას ღრინაცელი

რომ გაიაროს, ფრთები უშლის გოლიათური“.

შეიძლება წარმოსახვის გზის მიყოლით აღმოვაჩინოთ, რომ „ალბატროსმა“ – ლალო ასათიანმა თავისი გოლიათური ფრთებით მიწაზე შეძლო გაველო და სიცოცხლეშივე სიკვდილის დამარცხებასთან ერთად – პოეტის დაპირისპირება ყოფიერებასთან გააუქმა.

მას ზეცის ძაღვმა პოეტური ნიჭის ერთ-ერთ ნიშან-თვისებად წარმოსახვის უნარი მიუბოძა და ამიტომაც ის ყოველთვის რაღაცას, „დაუმატებდა“ ყოფიერების სურათებს, რადგან სინამდვილეში ის მუდამ თავისი იდეალური სამყაროდან ხედავდა რეალობას: მახსენდება ამის დამადასტურებელი ამბავი, რომელსაც ნიკო აგიაშვილი თავის ნიშნში „ჭაბუკები დარჩნენ მარად“, იხსენებს:

„1935 წელს ივნისის ერთ დღეს, კინოქრონიკაში ვნახეთ მაქსიმ გორკი და რომენ როლანი (აქ იგულისხმება ლალო ასათიანი, ალექსანდრე საჯავია და თავად, ნიკა აგიაშვილი (შენიშვნა. – თ.ს.). ისინი საპირველმისო პარადს ესწრებოდნენ. გორკის სომბეროსავით ძალზე ფართო ფარფლანაიანი ქუდი მოეღო გვერდზე და გრძელი ლაბადა ფრთავარსებულად წამოესხა. მეტისმეტად გორგზად მიდიოდა მაგზოლეუმის ტრიბუნისაკენ. შემდეგ გასაფრენად გამზადებული შევარდნით ასევე გორგზად შემოვდა ზემოთ – ცის ფონზე შემართული. და შემდეგ იხსენებს ნიკა აგიაშვილი, თუ როგორ დაიყოფა ლალო ასათიანმა, რომ გორკის იმ ფართო ქუდში გრძელი ფრთა ჰქონდა გარჭობილი და მართლაც გასაფრენად ემზადებოდა. მეორე დღესვე კვლავ წავედით კინოში. იხსენებს ნიკა აგიაშვილი, გორკი ისევ შევარდნის ჰგავდა, მაგრამ ფრთა მაინც არ აღმოაჩნდა ქუდში.

ლალო დაღონდა: ალბათ მომეჩვენაო“. ცხადია „ფრთა ქუდში“ ეს მისი წარმოსახვის საგანი იყო, ის სწორედ მისი იდეალური სამყაროს ერთ-ერთი საგანთაგანი გახლდათ, რაც იმაზე მიანიშნებდა, რომ მის წარმოსახვას მის პოეტურ ნიჭს შეეძლო აესახა, როგორც პოეტისა და ბრბოს დამოკიდებულება, ასევე საუკუნის გაბერება, უღმერთობა, ფასეულობათა ნიველირება... მაგრამ მასში, მის სულში ერთადერთი მისია აღმოჩნდა ქმედითი – ეს იყო თავისი ქვეყნის, თავისი სამშობლოს უდრეკი სული, მისი ნება გამოეხმო და ისევე და ისევე საბრძოლველად ქვეყანა სიცოცხლის გასაგრძელებლად მოემზადებინა.

ამას ის პირდაპირ განაცხადებს პუშკინისადმი დაწერილ ლექსში:

შენ არ უთხარი პოეტს ყმანილებს – ლექსში აზრი და რითმა ჰპოეოთ, მეც აზრისათვის რითმა გავსწირე, მზით შემოსილო დიდო პოეტო!

ამიტომაც მისი ლექსები მაჟორულ ტონალობაშია დაწერილი, ტაეკები ხშირად ძახილის



ნიშნით რომ მთავრდება და ისინი მხოლოდ და მხოლოდ პური და ღვინოა, რათა ადამიანმა თავისი სულიერი გზა იპოვოს, იპოვოს ის მთავარი, რაც სამშობლოს შეგრძნებას, მის სიღრმისეულ შეცნობასა და სიყვარულს შეაძლებინებს.

თუნდაც სალალობის ერთი სტროფიც რომ გავიხსენოთ:

დაუკაროთ! ჯერ ხომ სისხლი გვიდგას ძარღვში, ჯერ ხომ საროს ფოთლები არ გასცვივია, ჯერ ხომ მცხეთის სვეტიცხოვლის დიდ ტაძარში

საქართველოს ცხელი გული ასვენია!

მას თავისი გზა კარნახობს თავის კრებულს მხოლოდ და მხოლოდ ერთადერთი სათაური შეურჩიოს – „წინაპრები“.

ნიშნად იმისა, რომ ერის მისტიკური ორგანიზმი სწორედ „დროთა კავშირის“ აღდგინებაში მოიაზრება, რომელშიც წარსულის სულები – წინაპრთა სულები მარად ჩვენთან, ანმყო დროშიც თანაარსებობენ.

მაგრამ ის უკვე ორივე დროში „მყოფობს“, წინაპრებთანაცა და ახლანდელ დროშიც. ამიტომაცაა, მისი ფიქრი მუდამ ყველაზე მნიშვნელოვან საგანზეა დაუნჯებული. მაგალითად, თუ როგორ გააგრძელებს მისი ქვეყანა განვითარებას.

და ის თავის „ჩანაწერებში“ წერს:

„სამოციანელთა მსგავსად ჩვენც უნდა ვუცადოთ ვინმე დიდის მოსვლას. ჩვენს ზურგზე გადავივლის ის დალოცვილი, წარუძღვება მთელს მწერლობას: თავს ისახელებს, ჩვენც გვასახელებს, ხალხს ასახელებს. წინასწარ ქედს ვიბრის მის წინაშე!“.

ლალო ასათიანის პოეზია სამყაროს უნივერსალურ პირველდასაბამთან წილნაყარობას გვაზიარებს და თითქოს უძველესი კოსმოგონიის საზრისთან ჩავგაბრუნებს. და ბუნებრივია, პირველდასაბამთან ზიარებისას მას ისეთი განცდა აქვს, თითქოს ზეცაშია. ეს პირდაპირ ჩანს ნიკა აგიაშვილის ნიკა აგიაშვილისადმი მიწერილ წერილში (1936 წ. 23 ივლისი).

„ძაღვები ყეფენ, ხბოები ბღავიან, მამლები ყივიან, ნეტავი სადა ვარ? ახლა ბარდნალაში ვიმყოფები, მექი ასათიანის სახლში, მე კი ზეცაში მეგონა თავი“.

მისი ლექსების კითხვისას თითქოსდა ღვთის განგებულობით გამოისახება ქართული გენიის ზედროული მოდელი, მისი პირველსახე, რომელშიც საცნაურდება ქართული ფენომენის უნიკალურობაც. ის, რაშიც ჩვენ ჩვენს თავს ვცნობთ, ის, რითაც ჩვენ ჩვენს რაობას ვჭვრეტთ. და ასე ნელ-ნელა, ჩვენი სულიერი თვალის წინ გამოიკვეთება ქართველი ერის უმთავრესი მახასიათებელი – მისი უდრეკი სულის განმპირობებელი წნეობა.

და ეს ხომ ისევე და ისევე „ცენტრალური ბგერა“.

მაგრამ, როგორ შეიძლება წარმოვიდგინოთ ქართველი ერის „ცენტრალური ბგერა“ სიცოცხლესთან მიმართების გარეშე! ის სიცოცხლე, რომელიც ქართველს ასე გაშმაგებით, ასე თავდაუზოგავად უყვარს და მასში მყოფობა მისთვის, როგორც არაერთგზის და არაერთი მოაზროვნისგან აღნიშნულა „უმიზეზო სიხარული“ მიზეზ-საბაბადაც ქცეულა.

თითქმის ყველა ლექსში პირდაპირ თუ ირიბად ამოიკითხება მისი უანგარო და თავდაუ-

ზოგავი სიყვარული სიცოცხლისადმი. თუნდაც ამ სტრიქონებში, რომელიც თითქმის ყველამ ზეპირად იცის, თვით იმათაც კი, ვინც გულგრილია პოეზიისადმი:

რადგან სიცოცხლე ასე ნაყარდობს, სიკვდილის ყველა კარი დარაზეთ, და იმ ბედნიერ დღეს გაუმარჯოს, როცა ჩვენ გავჩნდით ამ ქვეყანაზე.

სიცოცხლის არსს კი ასე გადმოსცემს:

„სიცოცხლე ეძახის ადამიანებს, სიცოცხლე ამოდრავებს მატერიკებს, სიცოცხლე მღერის გამარჯვების ხმაძარღვიან სიმღერას, სიცოცხლე წვდება საუკუნეებიდან საუკუნეებზე, სიცოცხლე დარბის პლანეტებიდან პლანეტებზე“ (...). (პირადი წერილი – ნელი დუმბაძეს, გვ. 29)

მაგრამ სიცოცხლისადმი ეს გაუწელებელი და უსაზღვრო სიყვარული, ხომ იგივე უკვდავებასთან ზიარების სურვილია. სწორედ ამიტომ გავიხსენე უძველესი კოსმოგონია, როცა ჯერ კიდევ პირველად გამოიკვეთა ადამიანის დანიშნულება: მიწიდან ზეცას მიანვდინოს ხმა და მოიპოვოს უკვდავება.

თუმცა მას პირდაპირ არ დაუწერია ის, რაც ილიამ ასე გამოთქვა:

„ღმერთთან მისთვის ვლაპარაკობ, რომ წარვუძღვე წინა ერსა“.

მაგრამ მისი ყოველი სტროფის მიღმა მისი საუბარია ზეცისადმი აღვლენილი და ერთგვარი მიმართება თავისი ერისადმი.

უკვდავებაზე კი ის პირდაპირ წერს:

„რა ლამაზია ყველაფერი ამ ქვეყანაზე. აი, თუნდაც ეს მოშრიალე „ჩვენი“ ჭადარი რუს-თაველზე... „გინდა სულ უმზირო და იფიქრო უკვდავებაზე“ (ხაზგ. – თ.ს.)“.

ყველა ჩვენთაგანისთვის ასე ცნობილი ლექსი, რომელიც ლამის ყველამ ზეპირად იცის, ფაქტობრივად უკვდავების სადიდებელი ჰიმნია და ალბათ, იმითაც გამორჩეული, რომ მასში სიტყვა უკვდავება არც კი წარმოითქმება:

თავს არ მოიკლავს ქართველი, არა, ის შეიძლება ბრძოლაში მოკვდეს – ერთი იმედით: სიცოცხლე მარად,

გაგრძელდეს ქვეყნად და განმეორდეს.

და რა? რა არის იმის მიზეზი, რომ ლალო ასათიანი ჩვენ ასე გამორჩეულად გვიყვარს? რატომ? რატომ არის ის ასეთი ძვირფასი ჩვენი სულისთვის?

ის იმ მალაღ სულიერებას, იმ სულიერ სიფხიზლეს გამოხატავს, რაც ჩვენში ძვეს და ჩვენგან კი გაცოცხლებას ელოდება. ის ასე წერდა საფო მგელაძეს:

„ჩვენ პოეტები უცნაური ადამიანები ვართ, საფო! ჩვენ მარადიული ცეცხლი გვიკიდია, მე-გობარო“.

თითქოსდა ჩვენ ამ წერილში ამ წვის მიზეზსაც ვწვდებით, მაგრამ ეს არ არის მიზეზი, არამედ ის თითქოსდა ნიშნითა საიდუმლო განლაგებაზე მხოლოდ და მხოლოდ მიგვანიშნებს. ეს ბავშვობაა – მისი გენიის მშობელი:

„მე ბავშვი ვარ და ბავშვი დავრჩები მაშინაც, ჭალარა რომ გამიჩნდება. არა მგონია, რომ მოვხუცდებ, რადგან ორსულიანი ადამიანები არასოდეს ხუცდებიან. ისინი იწვიან, იწვიან და წვის შედეგად რჩება ძე – შემოქმედების ფერფლი“.

თალესზე ამბობდნენ, გადახაზეთ ყოველი საგანი და თქვენ წყალს აღმოაჩენთო. ლალო ასათიანის ყოველი სტროფის მიღმა კი პოეტი ჩნდება, ქრისტეს გზას რომ მისდევს და ამიტომაც მას თან დაჰყვება დიდი ღირებულებანი. ნიკა აგიაშვილისადმი მიწერილ წერილში ჩანს ღვთის შეწევნაც და ღვთის გზაზე მდგარი კაცის მთავარი საფიქრალ-მახასიათებელიც:

„რადაც ღმერთი შემენია, ძალზე კარგად ვარ. თანაც ის მიხარია, რომ ყველანი პატივსაც მცემენ და კარგი ავტორიტეტიცა მაქვს ამხანაგებში“ (...). (ლალო ასათიანი – „პირადი წერილი ძმა ნიკალას“, 1939 წ. 22 ნოემბერი).

და მართლაც, საზოგადოება ღვთისმოსავს ერთ-ერთ უძვირფასეს სამოსად პატივისცემას უწყალობებს.

და როცა გვიკვირს, თუ როგორ შეძლო პირტიტველა ჭაბუკმა გაველო ამ რთულ გზაზე, გვახსენდება მისი ბიოგრაფია. დედის გადასახლება და დაბრუნება, უკიდურესი სიღატაკე და „ხალხის მტრის შვილის“ იარღიყით გაუსაძლისი ყოფა, ინსტიტუტიდან გარიცხვა, სამუშაოზე უარის მიღება, თუ ლექსების უბოლოკაციაზე უარის თქმა. კოლეგებისგან დევნა და ა.შ. და ა.შ.

და მაინც, როგორ შეინარჩუნა სულის სიმტკიცე? გამძლეობა? და მე ისევე და ისევე, ქართველი ერის მათუძნებელი – „ცენტრალური ბგერა“ მახსენდება...

ქაკლინ სირაქე

ფრედრიკ ჯეიმისონი

ფრედრიკ ჯეიმისონი (Fredric Jameson) – ამერიკელი ფილოსოფოსი, კულტურის ანალიტიკოსი, ლიტერატურის კრიტიკოსი, ავტორი პოსტმოდერნული კულტურის ნეო-მარქსისტული კონცეფციებისა, რომლებიც დამუშავებულია ინტერდისციპლინურ (ლიტერატურათმცოდნეობის, ვიზუალურ კულტურათა თეორიის, ფსიქოანალიზის, კულტურული ანთროპოლოგიის, კრიტიკული სოციალური თეორიის) ველში, დიუკის უნივერსიტეტის შედარებით ლიტერატურისა და რომანულ კვლევათა პროფესორი. თავის ნაშრომებში ჯეიმისონი ძირითადად თანამედროვე კულტურულ მიმართულებებს ახალიზებს. პოსტმოდერნიზმის ის აღწერს, როგორც გლობალური კაპიტალიზმის წინხიტი მიმდინარე კულტურის სპაციალიზაციის პროცესს. სპეციალიზაციის ცნებით მოიაზრება სივრცობრივი ფორმები, რომლებშიც ერთმანეთს ერწყმის სოციალური აქტივობა და მატერიალური კულტურა (ფუკოს მიხედვით, სპეციალიზაციას მოსდევს კულტურული ფორმების ჩამოყალიბება და სხვა პროცესები). ჯეიმისონის მსოფლმხედველობაზე მნიშვნელოვანი გავლენა მოახდინა ნეომარქსიზმმა (თეოდორ ადორნო, ლუი ალთიუსერი) და სტრუქტურულიზმმა (კლოდ ლევი-სტროსი, ალვიდას გრეიმასი).

ცნობილი ფილოსოფოსი დაიბადა 1934 წლის 14 აპრილს, ოჰაიოს შტატის ქალაქ კლივლენდში. 1954 წელს კოლეჯი დაამთავრა და შემდეგ საფრანგეთსა და გერმანიაში სწავლობდა, სადაც ეცნობოდა ევროპული ფილოსოფიის თანამედროვე მიმდინარეობებს, მათ შორის, იმ დროს ახლად აღმოცენებულ სტრუქტურულიზმს. მომდევნო წელს, ამერიკის შეერთებულ შტატებში დაბრუნების შემდეგ, იელის უნივერსიტეტში ჯეიმისონმა დაიწვა სადოქტორო დისერტაცია ერის აუერბახის ხელმძღვანელობით...

ზაზა შათირიშვილის ინფორმაციით, ამერიკელი ფილოსოფოსი 1990 წელს ფილოსოფიურ კონგრესზე დუბროვნიკში მერაბ მამარდაშვილს შეხვდებოდა: „მამარდაშვილმა თქვა, რომ არავითარ პოსტმოდერნიზმში არ არსებობს, რითაც გადალახა ჯეიმისონის მთელი ბოლო პერიოდის რეფლექსია“ (იხ. ზ. შათირიშვილი. ნარატივის აპოლოგია. თბილისი: ქრისტიანული თეოლოგიისა და კულტურის ცენტრი, 2005, გვ. 168).


* * *

ფრედრიკ ჯეიმისონის ოპუსებიდან ჩვენ სათარგმნად შევარჩიეთ ერთ-ერთი მოხსენება, „გლობალიზაციის რეპრეზენტაცია“, რომელიც მან 2006 წლის მაისში საერთაშორისო კონფერენციაზე წაიკითხა. ჯეიმისონი ეხება კულტურის ფუნქციებს გლობალიზების პროცესში, ახალიზებს კინოს, ვიდეოს, ფოტოგრაფიის და სხვა დარგების როლს თანამედროვე ციფრული და ინფორმაციული ტექნოლოგიების ეპოქაში. ფილოსოფოსს აინტერესებს, შეიძლება თუ არა ადეკვატურად გადმოიყვას რეალობა მისი პირდაპირი რეპრეზენტაციის წყალობით.

მე განვიზრახე, დავამტკიცო, რომ მხატვრული რეპრეზენტაციის პრობლემა – მისი საზღვრები და შესაძლებლობები – დღეს სრულიად ახალი ისტორიული ვითარებით მოგვეწოდება, სამი თუ ოთხი ისტორიულად უნიკალური ნიშნით რომ ხასიათდება: გლობალიზაციის წარმოშობით, ფინანსურის გვერდით სამომხმარებლო კაპიტალიზმის მომნიშვნელობით და პოსტთანამედროვეობით, ანუ, სხვა სიტყვებით, ციფრული ან ინფორმაციული ტექნოლოგიების დომინირებით. მსჯელობის პროცესში გზადგაზა ფარულად გაცემდა პასუხი პირდაპირ შეკითხვას: რატომ შეიძლება იყოს მნიშვნელოვანი ამ ისტორიული ტრანსფორმაციის განხილვა ვიზუალური კულტურისათვის? პასუხი ის გახლავთ, რომ ამ ახალი სისტემის ესთეტიკური დომინანტი უკვე აღარ არის ლიტერატურული, ან ვერბალური, არამედ იგი წარმოდგენილია ვიზუალური კულტურით, გამოსახულებათა და ვიზუალური სიმულაკრების კულტურით, რომელიც თავის ჩვეულ გამოხატულებას კინოსა და ვიდეოში პოულობს (როდესაც ის ნარატიულ ფორმას იღებს). ამ ახალ ისტორიულ მომენტში, როგორც ამბობენ, დღემდე ათასობით გამოსახულება გვყავიან და ჩვენ ვცხოვრობთ „სანახაობის საზოგადოებაში“, სადაც გამოსახულება საქონლის განიფთების საბოლოო ფორმა გახდა. ფოტოგრაფიამ,

რომელიც ოდესღაც მხატვრობის ღარიბი ნათესავი გახლდათ და დაუღალავად იღვწოდა, რათა კაზმულ ხელოვნებათა ჯადოსნურ ბალებში სახეთა ასლები გადაელო, სწორედ ამ ფოტოგრაფიამ, დღეს თავის უფრო ამაღლებულ მონინალმდეგეებზე გაიმარჯვა და ლამის მთავარ მხატვრულ ფორმად იქცა, რომელიც მხატვრობამ თავის თავში უნდა შეისრუტოს, თუკი სურს, საკუთარი უფლებები კვლავ განიმტკიცოს. ამასობაში ძალზე მომრავლდნენ ადამიანები, რომლებიც სიუჟეტთან ფილმებს და სხვადასხვა სატელევიზიო სერიალებს უყურებენ, იმის ნაცვლად, რომანები რომ იკითხოთ; და სწორედ კინოს სფეროში იწყება სერიოზული, თუმცა ჯერჯერობით არაგამომსახველობითი, პოლიტიკური მცდელობები, გზა გაეხსნას ახალ რეალობებს, მაგალითად, გლობალიზაციას (მხედველობაში

გლობალიზაციის რეპრეზენტაცია



მაქვს ბოლო პერიოდის ფილმები, მაგალითად, „სირიანა“), მაშინ, როდესაც რომანულ უაზრში ამ პრობლემებს სერიოზულად მხოლოდ ჯაშუშური ტრილერები ეხმადებინან და ისინიც უმეტესწილად იმ მიზნით არიან დანერგნილი, რომ რაიმე გზით ფილმებად გადაიქცნენ. რა თქმა უნდა, ვიზუალურის ამ ახალი ბატონობის უფრო ღრმა საფუძვლებიც არსებობს, მაგრამ ჩვენ მათ მოგვიანებით დავუბრუნდებით.

თუმცა აქ აუცილებელია, განვმარტო ჩემი მსჯელობის წინაპირობები და ვთქვა, რა უნდა მოიცვას ამ ახალი გლობალური სისტემის „კონკრეტული კარტოგრაფია“ და რატომ არის დღეს ის გადამწყვეტი თავად ხელოვნებისათვის. ამ მტკიცების ექსისტენციური წინაპირობა ის გახლავთ, რომ დღეს გლობალიზაცია ნაციონალური ცხოვრების და, შესაბამისად, ინდივიდუალური გამოცდილების გარდაუვალი ნიშანია, ნიშანი, რომელიც შორს სცდება წინა ისტორიული სიტუაციებისთვის დამახასიათებელ, ნაციონალური მნიშვნელობის ჩარჩოებს, სადაც სხვადასხვა ნაციონალიზმი თითქმის ინდივიდუალურ და, ასევე, კოლექტიურ განახლებას და აღორძინებას გვპირდებოდა. დარწმუნებული ვარ, რომ დღეს, გლობალიზაციის სიტუაციაში, არცერთ ერს არ შეუძლია, იმედი ჰქონდეს ამგვარი ინდივიდუალური თუ კოლექტიური ხსნისა – თვით ისეთ ერებსაც კი, რომლებიც, თანამედროვე შეერთებული შტატების მსგავსად, კვლავ და კვლავ ირწმუნებენ საკუთარ თავს, რომ ისტორიაში უკანასკნელი შესახელმწიფოები არიან და ცდილობენ, დამკვიდრდნენ ლიდერებისა და გლობალიზაციის პროცესის, ახალი საბაზრო კაპიტალიზმის გავრცელების ნამყვან მონაწილეთა სახით. თავიანთი გამარჯვების შედეგად კი ისინი მხოლოდ სტრუქტურული უმუშევრობის ზრდას, კოლოსალურ ვალს, სოციალური უზრუნველყოფის სისტემის მოშლას და სხვა ქვეყნებში სანარმოო ძალების გადინებას იღებენ. აი, რატომ მსურს დავამტკიცო, რომ გლობალიზაციის დღევანდელი სისტემის შიგნით ყველა ნაციონალური სიტუაციათა ფუნდამენტური გამოცდილება დამორჩილებამდე, დამცირებამდე დადის, იმისდა მიუხედავად, რომ მსოფლიოში, ნაციონალური სიტუაციათა შესაბამისად, მათ, შესაძლოა, სხვადასხვა ფორმაც ჰქონდეთ. ძველი ყაიღის ნაციონალიზმს არ ხელეწიფება, შეამსუბუქოს ეს დამცირება, რაიმე ნამალი, თუნდაც

ტკივილგამაყრებელი საშუალება მოიპოვოს დღევანდელი გლობალიზაციის სენის დაავადებათა სანინალმდეგოდ. მაგრამ, თუ გავისწინებთ, რომ ლიტერატურის ისტორია თავად გახლავთ ნაციონალური პროექტი და რომ ლიტერატურის პირველი ისტორიები ყველა ნაციონალურ ენაზე ეროვნული სულის, იდეოლოგიის ან მითოლოგიის შექმნას ემსახურებოდა, უთუოდ ჩავწვდებით კავშირს ეროვნული სულის შეურაცხყოფას და ხელოვნებისა და ლიტერატურის, როგორც ასეთის, მონოდებას შორის.

ამ უნივერსალურ სიტუაციას ოდნავ მოგვიანებით დავუბრუნდები, მაგრამ მანამდე დანერგვით უნდა ვთქვა საკუთარ ანალიზსა და „კონკრეტული კარტოგრაფიის“ ცნებაზე, რომელსაც ის ემყარება. კონკრეტული კარტოგრაფია მიზნად ისახავს, ზუსტად წარ-

მოაჩინოს **წარმოსახვითის** ის სტრუქტურა, რომელიც ასახავს ჩვენს დამოკიდებულებას სოციალურ სტრუქტურებთან, რომლებიც უფრო ფართო გახლავთ, ვიდრე ინდივიდი; კერძოდ, გარეშე ძალების ჩვენს წინარეცნობიერ შეგრძნებასთან და ჩვენი ნაციონალური კოლექტიურობის ადგილთან **წარმოსახვითში**, ან, სულაც, ფანტაზიით შექმნილ გლობალურ ქსელში. ამგვარად, გლობალიზაციის დონეზე კონკრეტული კარტოგრაფია **წარმოსახვითის** ენათესავება კლასებთან მიმართებაში, ეროვნული სახელმწიფოს შიგნით; და, რა თქმა უნდა, წარმოსახვითობის გამო იგი არ გახდება ნაკლებად ობიექტური, რადგან ამ უფრო ფართო სოციალურ რეალობებს მხოლოდ წარმოსახვითის მეშვეობით, ფანტაზიაში ან ნარატივში შეიძლება ჩავწვდეთ. ხოლო ის ფაქტი, რომ ეს წარმოსახვითი სქემები მჭიდროდ უკავშირდება კარკატიურებს და სტერეოტიპებს, სრულიად არ ამცირებს მათ აუცილებლობას და გარდუვალობას ჩვენს ექსისტენციურ გამოცდილებასა და სამყაროში ინდივიდის ორიენტაციის პროცესში.

მაგრამ ეს შუამავლობა **წარმოსახვითისა** რეალობასა და ინდივიდუალურ სუბიექტს შორის იმას ნიშნავს, რომ არ შეიძლება, რეპრეზენტაციის პროცესი იყოს მიბაძვითი ან, ყოველ შემთხვევაში, სოციალური რეალობის, როგორც ასეთის, სტრუქტურის პირდაპირი გამოსახულება. რატომ ხდება ასე და რატომ არ შეგვიძლია, უბრალოდ კლასიკურ რეალისტურ მეთოდად წარმოვადგინოთ გლობალიზაცია, როგორც ეს ხდებოდა ჯაშუშურ ფილმებსა და რომანებში, წარსულში ჩარჩენილი საერთაშორისო ურთიერთობების და ქსელების ერთობლიობის, საერთაშორისო კონფლიქტებისა და უთანხმოებებთან წინა სისტემასთან მიმართებით? თუ თქვენ ჩემს გზავნილებს იღებთ, მაშინ, უკეთეს შემთხვევაში, თქვენ სამყაროს ჩვენეულ წარმოსახვით სურათებს იღებთ და არა თვით სამყაროს.

დარწმუნებული ვარ, რომ ამჟამად მიმეტური ცდები, პირდაპირი რეპრეზენტაციის ფორმით გადმოიყვას რეალური, რაც მიზეზია გამო ჩასამულად არის განწირული. პირველ ყოვლისა, რეპრეზენტაცია, როგორც ასეთი, ღრმად იდეოლოგიური პროცესია, როგორც ახლა ყველა ჩვენგანმა იცის, ფილოსოფიური კრიტიკის წარმომადგენელთა წყალობით, ჰაიდეგერდთან დაწყებული პოსტსტრუქტურისტებამდე. ამასთან, ბუნდოვანია, შეიძლება თუ არა, ვისაუბროთ იმის რეპრეზენტაციაზე, რაც არ არის ობიექტი, სუბსტანცია ან აღქმადი რეალობა, მაგრამ განყენებულ მთლიანობას და ურთიერთობათა ერთობლიობას წარმოადგენს და, როგორც უკვე ვამბობდი, ოდენ ირიბად, ფანტაზიის ან ნარატივის მეშვეობით გახლავთ ხელმისაწვდომი. რუკა გულისხმობს, რომ შეიძლება, თვითმფრინავის სიმალიდან საიმედოდ დავათვალიეროთ მიდამო, დედამიწაზე კი კეთილსინდისიერად გამოვიკვლიოთ იგი ფიზიკური ძალების, ტრანსპორტისა და ინსტრუმენტების მეშვეობით. მაგრამ საზოგადოება ამგვარი მიდამო არ არის და კარტოგრაფია, თუკი ეს შესაფერისი სიტყვაა, ვფიქრობ, ფიგურული აზრით უნდა გავიგოთ და არა მიმეტურით. მიზეზი იმისა, თუ რატომ არის აქ შეუძლებელი ნაიფური რეპრეზენტაცია, ის გახლავთ, რომ იგი წინააღმდეგობაში მოდის ამგვარ კარტოგრაფიასთან, რომელშიც მხოლოდ ის კი არ იგულისხმება, რომ საზოგადოება

არარსებული მთლიანობაა, არამედ ისიც, რომ ჩვენ ეს კარგად ვიცით. იმდენად კარგად, რომ ყოველი მეთოდი, მრავალრიცხოვანი კლიშეები, რომელთაც მათ დასახასიათებლად გამოვიყენებდით, – ყველასთვის წინასწარ არის ცნობილი. შესაბამისად, თანამედროვე საზოგადოება გახლავთ შეთქმულთა ჯგუფი: მაგრამ მისი ამგვარად დასახასიათება ნიშნავს, წარმოითქვა ბანალური რამ, გამეორების ღირსიც რომ არ არის. სწორედ ამგვარ საყოველთაო ცოდნას უწოდებს ცინიკური გონება, და ჩვენ ის გვახსენებს, რომ ყოველმა კარტოგრაფიულმა პროცედურამ ასევე ყურად უნდა იღოს აუდიტორიის ან მაყურებელთა, ან თუნდაც მკითხველთა ცოდნა და მრწამსი: მან ეს ცოდნა უნდა ჩამოიშოროს, შემოიტანოს რეალობის მოულოდნელი, ახალი ვერსიები, ძირი უნდა გამოვუთხაროთ ჩვენს ჩვევებს და სოციალური ცხოვრებისა და მისი დინამიკის საყოველთაოდ მიღებულ ჩვენეულ სურათს. სხვა სიტყვებით, ხელოვნების ნაწარმოები, გლობალიზაციის რუკის შედგენაზე რომ აცხადებს პრეტენზიას, უნდა იყოს ახალი, ორიგინალური. მან ცნობიერების ეკრანზე ამგვარი სურათების პროექციების ახალ მეთოდიკა უნდა შემოგვთავაზოს.

ამგვარად, მივედი გლობალიზაციის, როგორც ასეთის, წარმოდგენის შესაძლებელ ხერხებამდე, ე.ი. ამგვარ რეპრეზენტაციათა არარეპრეზენტაციული მეთოდით მიღების პრობლემამდე. უპირველესად, კიდევ ერთი შენიშვნა ლიტერატურის შესაძლებლობებზე ვიზუალურ კულტურასთან შედარებით. ნაციონალური ლიტერატურის საზღვრები დღეს მისი ენის საზღვრები გახლავთ. ინგლისური დისკვალიფიცირებულია, როგორც ლიტერატურული ენა, რამდენადაც ის კომერციული და სამხედრო ჰიგემონიის გაუფასურებელი, საყოველთაო ლეგენდა ფრანკ-და იქცა. სხვა ენები სწორედ იმიტომ გახლავთ დისკვალიფიცირებულნი, რომ არ არიან საყოველთაო და მხოლოდ ადგილობრივ მიმოქცევაში გამოიყენებიან. ამასთან, გადაჭრით ვენიანაღმდეგები პრაქტიკას, როდესაც ინგლისურად მოლაპარაკე რომანისტი გადმოსცემენ იმ გმირთა აზრებს და დიალოგებს, რომლებიც არ საუბრობენ ინგლისურად, ინგლისური იდიომატური გამოთქმებით, რამდენადაც ამგვარი პრაქტიკა გულისხმობს სრულიად სხვადასხვა გამოცდილების მარტივ თარგმნადობას და მათ მსუბუქ შერწყმას ამერიკულ კლიშეებთან და საერთო ადგილებთან (როდესაც არაინგლისური მწერელი უცხო ენებს ამერიკელებისა და ბრიტანელების აზრების გადმოსაცემად იყენებენ, ეს ჩემში ნაკლებ წინააღმდეგობას იწვევს). უფრო ზოგადი პოზიცია ის გახლავთ, რომ თვით ვალდებულება, გამოიყენონ ესა თუ ის ნაციონალური ენა, ავტომატურად და ფორმალურად ზღუდავს კონკრეტული მწერლის, თუ კონკრეტული რომანის, ლიაობას გლობალიზირებული რეალობებისათვის, რომლებიც ნაციონალური სიტუაციათა ჩარჩოებს სცილდება.

მაგრამ, რა თქმა უნდა, ამგვარი შეზღუდვა არ არსებობს ფილმისათვის, რომლის გმირები შეუძლიათ, სხვადასხვა უცხო ენაზე ისაუბრონ, მათი დიალოგები კი – შესაძლებელია, უბრალოდ სუბტიტრები გადმოიყვას. ყოველივე ეს ცხადზე ცხადია, მაგრამ ჩვენ უფრო მეტ თავსატეხს ვაწყდებით, როდესაც ვცდილობთ, შევავსოთ და შევადაროთ დოკუმენტური რეპრეზენტაციისა და მხატვრული კინოს, ან სიუჟეტური ფილმის შესაძლებლობები (სულაც რომ არ განვიხილოთ უფრო რთული საკითხი ექსპერიმენტულ კინოზე ან ვიდეოზე, ვიზუალურ მოდერნიზმზე). რა თქმა უნდა, ინტერესის განსაკუთრებული ზრდა დოკუმენტურის, როგორც ასეთის, მიმართ დღეს თავისთავად მნიშვნელოვანი თეორიული და ისტორიული პრობლემა გახლავთ ვიზუალური კულტურისათვის ყოველი მხედველისას. ნათელია, რომ ეს არ არის უბრალოდ დაბრუნება 1920-1930-იანი წლების ძველ დოკუმენტურ კინოსთან, გრიერსონის სტილში, თუმცა, რა თქმა უნდა, არ შეიძლება, საბჭოთა კავშირში დიგა ვერტოვის დოკუმენტური ინოვაციები და მისი ტრადიცია უკუვაგლოთ, როგორც მოცულებული, მით უფრო, რომ ისინი კინოს შუალედურ ისტორიაში გადადიან და ჯერ კიდევ გამოუკვლევებლ ტერიტორიაზე აღმოჩნდებიან ხოლმე.

თარგმანი
მანანა კვატაია

▶▶ გაგრძელება იქნება



მამუკა ორიაური

ღს მე ვარ

ნისლი ვარ, ფხოვის მთებს სარტყლად რომ არტყია, ქარი ვარ, გრიგალი, ჭიუხში მბორგავი, ლუხუმი – გველი რომ მოურჩენს ნატყვიარს, ჭიუხის კიდეზე ყინულის გორგალი.

ჯურხაის ხმალი ვარ, მტრის სისხლით ნაპოხი, ნაქსოვი პერანგი-ფოლადის რგოლებით, მეხი ვარ, ზეციდან საავდროდ ნაქუხი, საზღვრისკენ მზირალი უშიშას' თოლები.

ვინრო კალაპოტში, ზვირთები ასისა² უგულო ლოდების ცივ ტალღით ამცრელი, ხატის კარს მისული დამლოცი თასისა, ამ მთის და ხეობის უებრო დამცველი.

ეს მე ვარ, უბელო თეთრონის მხედარი, გული დაუდგომელ ზღვასავით ლელავდეს, მთებში ვარ, ცას ვუმზერ ცხოვრებაც ეგ არი – აქ ვიყო და მთებზე ბილიკებს ვზვერავდე.

ფხოვის მთებს, როდესაც სიბნელე დაძალავს, მხრებს მოეხურება ნაბადი მწყემსური კალამს შევარჩეებ სანერად ამ ძალას, ქვეყნის სიყვარულში ნანროთობი ხეცსური.

წიგნოცს

შენი სუნთქვა ვარ, ნიავე ჩუმი, შენი ზვაგების გრილი, ბრაზი, მაგ მდინარეთა უტყვი დუღუნი და მაღალ მთებზე ყინულის ხაზი.

ზენა ქარი ვარ, ნისლის მდევარი, და ქარაფებზე წვეთთა წკარუნი, შენზე მლოცველი, ბარის მძევალი, ლოდი, ხავსებით გადაფარული.

ხან ჩანჩქერი ვარ, კლდეთა დალალი, ხან მდინარეზე ხიდი, მაგარი, ქიმზე წამდგარი ფიჭვი – „ალამი“, ხან კი ფრიალო – „ქარის ლაგამი“.

შენი ვარ, შენი, განუყოფელი, დაუდუმები ამ მთებში ქნარი, ხან გაცრეცილი მწერი სოფელი, ხან დაქცეული ვარ ნასოფლარი.

ხან ავდარი ვარ, მრუმე ღრუბლები, ხან ალიონი, ცა, მოწმენდილი დაუსრულები ამ მთებში გზები, აუსრულები გულის ნადილი.

შენი ციხე ვარ აუღებელი, ალპურ მდელიოზე პირიმზე ლალი, ხან კი ქვითკირის ძველი კედელი, ანდა კედელში მოხრილი თალი.

ხან ბალახებზე ცვარის ვარ მძივი, მიმოფანტული ალპურ მდელიოზე, მე საუკუნოდ შენი ვარ შვილი, შეყვარებული საქართველოზე!

1 უშიშა (უშიშა ოჩიაური) – გმირი, რომელმაც არაერთ-გზის თავი გამოიჩინა მეზობელ ტომებთან ბრძოლაში. 2 ასა – მდინარე არხოტის თემში (პირიქითა ხეცსურეთი).

თამაზ ბურჭულაძე

„ახს წინ მიწის ზღვარს მსჯელობ“

„მისი ფიქრია, რომ ვით უკეთ მან უპატრონოს თვისსა მამულსა, თვისთა შეილთა...“

ნიკოლოზ ბარათაშვილი

„ამას... ეკატერინე აღუდგა...“

გაერთიანებულ საქართველოს მხოლოდ ორად მოკეცავდა, მას კი სურდა, ოთხად მაინც მოეკეცა“.

მიხეილ ჯავახიშვილი

„ერეკლე ხვდებოდა.. ეს გოლიათი (რუსეთი) ირან-ოსმალეთისკენ მოიწვედა და დღეს თუ ხვალ, მაინც გადმოვიდოდა სამხრეთ კავკასიაში.“

ნიკო ბერძენიშვილი

ნაოცნებარი რეალობად ეჩვენა, ესმა – სულგანაბული ყურს უგდებდა მეტეხი დესპანს... „დარბაისელნი, სულ ჩაინგრა საზღვარი ლიხი და ალბათ დროა, ახალ ქართლის ვნეროთ თარიღი.“

ალმართში ხვნის და დაღმა ფარცხვის ვიარეთ ბნელით, გამრთელდეს ვითმეთ, რაც ოდესღაც ჩვენივე ხელით, ილეთ წყალობა – გაიერთეთ ლიხთ-იმერეთი, ქერს უბრუნდება ვაჟიშვილი უძლები ერთი... არ დააყოვნებს მართალ საქმის უფალიმც შველას... ნიკოფსიიდან გონიომდე მოვიდეს ყველა!“

...თითქოს შეესხა ხორცი, თითქოს შთაბერეს სული ეცრემლებოდა საუკუნე რას სამი სრული! კრწანისის ცეცხლით, რვაას ერთიც, არ იყო ჯერაც, მაგრამ მოვტვინეთ მაინც ისე, ჩვენზე რომ ჯერ არს!

მოხუც ერეკლეს უამური ფიქრები სდევდა – არ ნელდებოდა სახლეული შფოთისგან სევდა! საუკუნეთა რიგებს უცებ გაუფრთხათ რული.. ჩრდილო პალმირას მონაბერი იგრძნეს ფარული.

„ჩვენსას ძლივს ვუვლით, ვითათბირებთ მიწყევ ნეტავ რას – მივეპატრონით შემდგომ როგორ უცხო ქვეყანას?“ თავის კანტურას გვიღვედა რა... შეესმა დოგმად! „იოქრობირა“ გულმოცემით შემდეგ ზოგ-ზოგმა,

უცნობ რებუსის ლაბირინთი ვერც ცნეს ვერც იგნეს... ბედოვლათურმა იჯეჯილა სიგანით სიგრძეს! „ვა თავის მოჭრავ, თუ გყავს სადმე ჩვენი სადარი! ნამოვარდნილა მამინ თურმე დავით სარდალი

ეპოქა ჩვენი შეიქნება მთლად ფურთხის ღირსი, არადა, იტყვის დღეის დღე და იტყვის მერმისი! იმისთვის ღვრიდნენ სისხლს პაპათა პაპანი ჩვენი, რომ უცხოელად მიგვეჩნია დღეს იმერელი?“

ასსა

ქორნილი

მას შემდეგ, რაც პირობითად 25 წელს გადავცდი, ხშირად მესმის ჩემი პერსონის ირგვლივ მსჯელობა და კითხვები, რომლებიც, ეჭვგარეშეა, არცერთი გაუთხოვარი გოგოსთვის, და მით უფრო ჩემნაირი ბალზაკის ასაკის გოგონებისთვის, არ იქნება უცხო: „რატომ არ თხოვდები? როდის უნდა გათხოვდე? ალბათ თავს იფასებ? საუკეთესოს ნუ ეძებ, სიყვარული მთავარი არ არის, შვილები და ოჯახი ყველაზე მნიშვნელოვანია“ და მრავალი და მრავალი სხვა მსგავსი. ადამიანების ნაწილი, რომლებიც წარმოთქვამენ მსგავს ფრაზებს გულგრილობით გამოირჩევიან და დროის გაყვანის მიზნით მსჯელობდნენ, ხოლო მეორე, გაცილებით უფრო მცირე ნაწილი, მართლაც გულით განიცდიდს და სურს, რომ ბედნიერი ვიყო.

დღეს დილით კარადას ვალაგებდი და სრულიად მოულოდნელად დედას საქორწინო კაბას ნავაწყდი.. მაშინვე დაუფიქრებლად მოვირგე და დიდხანს ვიტრიალე სარკის წინ. დედა და მამა გავაოგნე, ისეთი გახარებული გამოვეცხადე. მამამ კაბა მაშინვე იცნო, დედამ კი გულდანყვევით აღნიშნა, თუ როგორი გამხდარი იყო მაშინ. მე კი ერთადერთი აზრი მიტრიალებდა თავში, რომ მეცვა მათი სიყვარულის ისტორია, ისტორია, რომლის

წყალობითაც მოვევლინე ქვეყანას. ამ ალმატეზული გრძნობით გადიდგულეებულმა ამაყად გადავიღე უამრავი ფოტო სარკის წინ და სიმშვიდეს მივეცი თავი.

გავისხენე, რომ წლების წინ როდესაც პატარა ვიყავი ხშირად წარმოვიდგენდი ჩემს ქორწინს, როგორ ვიდექი საკურთხევის წინ ულამაზეს თეთრ კაბაში გამონყობილი. მიწოდდა, დიდი სიყვარულით გავეთხოვილიყავი და მსოფლიოში ყველაზე ლამაზი პატარძალი მრქმეოდა. მართალია, ნამდვილად არ ვიყავი და არ ვარ ყველაზე ლამაზი, მაგრამ იმ ბავშვურ წარმოდგენებში ყველაფერი იდეალურად იყო – ჩვენ სიგიჟემდე გვიყვარდა ერთმანეთი, გყავდა 6 შვილი, თეთრი ძაღლი, თეთრი კატა და გვექონდა დიდი სახლი, სადაც ვცხოვრობდით მარტონი. მე ყოველთვის კარგ განწყობაზე ვიყავი და ჩემს მეუღლეს ბედნიერი ვეგებებოდი, როდესაც იგი სამუშაო დღის შემდეგ დადლილი ბრუნდებოდა შინ. ისიც, მომეტებულად მონატრებული და ბედნიერი, ძლიერად მიკრავდა გულში... სხვაგვარი მომავალი არასოდეს მესახებოდა, არ ვოცნებობდი სამსახურზე, წარმატებაზე, წინსვლაზე, გამდიდრებაზე...

ახლა, როცა ვუფიქრებები, თუ ვინ ვიყავი და ვინ გავხდი, განა ვინმე მენატრება... მხოლოდ საკუთარი თავი, წლების წინანდელი. ჩვენ დაუსრულებლად ვიბრძვით რალაცისთვის, რაც არ არის მნიშვნელოვანი, დაულაღავად ვახმარებთ მთელ ჩვენს ძალასა და ენერჯიას იმას,

რაც მეორეხარისხოვანია, ხოლო ამასობაში ცხოვრება დაუნდობლად გარბის და ყველაზე მნიშვნელოვანი უკან რჩება, რეალობა კი მხოლოდ სასტიკი სამყაროა, თავისი მკაცრი და დაუნდობელი წესებით.

შესაძლოა იყო პირველი, შეიძლება იყო გამარჯვებული, შესაძლოა მწვერვალზეც ახვიდე... მაგრამ ერთი წამით რომ გაჩერდე და უკან მოიხედო, მიხვდები, რომ ყველაფერი, რაც მატერიალურია, რისი დათვალაც, გაზომვაც და აწონვაც შეგვიძლია, წარმავალი და ხანმოკლეა.

დღეს უკვე დიდი ვარ და ამ ხნის მანძილზე ჩემი ღირებულებები მრავალგზის შეიცვალა, თუმცა ჩემში ისევე, როგორც ყველა ადამიანში, ჯერ ისევე ცოცხლობს ის პატარა გოგონა, რომელიც გულის სიღრმეში ისევე ოცნებობს თეთრ ლამაზ კაბაზე, ბევრ სტუმარზე ქორწინოში და ყვავილებზე საკურთხეველთან, 6 შვილზე, თეთრ კატაზე, თეთრ ძაღლზე და დიდ სახლზე, სადაც ვიცხოვრებთ მარტონი...

ყველა ადამიანის გულში არის სკივრი, რომელიც იტყვის უამრავ ტკივილს და სიხარულს, თუმცა ძნელია ღიმილი მოდიოდეს გულიდან, როდესაც სკივრში მხოლოდ ტკივილია და არის კიდევ ერთი რამ... ჩვენ ხშირად ხელოვნურად ვკეტავთ ჩვენს სკივრს, რადგან გვეშინია, გვეშინია იმისა, რომ ისევე გვატკენენ, ისევე დაგვცინებენ, ისევე გვილატებენ და მაშინ სკივირიდან ამოსული ყველა ტკივილი ერთად მოგვიღებს ბოლოს...

წონა დათვაზვილი

მთავარი რედაქტორი ივანე ამირხანაშვილი
მთავარი რედაქტორის მოადგილე ელისაბედ მებრძევილი
ფინანსური მენეჯერი ქატიკან დამატარაშვილი
კომპიუტერული უზრუნველყოფა: ბელა გველესინი, მზია პარპაძე
დინამიკური-დამკავალდონებელი, გავრცელების სამსახური პოლდემარ ჰანსი

„ლიტერატურული საქართველოს“
საბანკო ანგარიშის ნომერი:
საქართველოს ბანკი,
GE43BG000000161665862

ბაზიმი ბაბუღის 2 კმბაში მბოხელ
დაბეჭდილია შპს
„საარის“ სტამბაში
მისამართი:
თბილისი, თევდორე
მღვდლის 57
ISSN 2720-8540
9 772720 854003